მარქსის სახ. საქართ. ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეათე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის (ბ)
ცენტრ. კომიტეტის
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპ.
№ 16, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
დღის 12 საათიდან 5 საათამდე და
საღამოს 8 საათიდან 12 საათამდე.
ტელეფ.
რედაქტორის . . . 14—76
რედაქტორის მოადგ. 23—17
მდივნის . . . . . 10—58
მასიური განყოფილ. 22—44

მთავარი კანტორა
თბილისი რუსთაველის პროსპ., № 84,
ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—1 მ., ტექსტის შიგნით—2 მ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო ვადასახადს, თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტისშეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ღირება 20 %-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მ. „კომუნისტი“-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43.

პარასკევი, 5 სექტემბერი 1930 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 207 (2855)

დღიური

- გლეხთა მოძრაობის ზრდა ჩინეთში.
- დააპატიმრეს გერმანიის კომპარტიის შვეიცარიის ორგანიზაციის მდივანი.
- ტევფიკ რუშდი-ბეი ახალი იმპერიალისტური ომის საფრთხის შესახებ.
- ოდესაში ჩავიდა საფრანგეთის მუშათა დელეგაცია.
- საკავშირო ცაკის მესამე სესია შეიკრიბება 24 ოქტომბერს.

გადამწყვეტი ბრძოლა ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესრულებისათვის

პარტიისა და მთელი მუშათა კლასის ყველა ძალები საწარმოო-საფინანსო გეგმის შესრულებისა და ხუთწლედის მესამე წლის პროგრამის უზრუნველყოფისათვის

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის მოწოდება

ყველა პარტიულ, სამეურნეო, პროფესიონალურ და კომკავშირულ ორგანიზაციებისადმი

მოსკოვი, 3 სექტემბერი. ერთი თვის შემდეგ იწყება ახალი სამეურნეო წელი — ხუთწლედის მესამე წელი. ეს მომავალი წელი მთელ რიგ რთულ და საპასუხისმგებლო სამეურნეო და პოლიტიკურ ამოცანებს აყენებს. ამ წელს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ხუთწლედის შესასრულებლად ოთხ წელში და მან უნდა უზრუნველყოს გლეხურ მეურნეობათა არა ნაკლებ ნახევრის გადასვლა სოციალისტურ გზაზე, კოლექტივიზაციის გზაზე.

ხუთწლედის მესამე წელი მოასწავებს ახალ ბუმბერაზულ ნაბიჯს საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაციის საქმეში. მარტო 1930-31 წლის ნამატი პროდუქცია გაუთანაბრდება ომის წინა დროის მთელ სამრეწველო პროდუქციას. ხუთწლედის მესამე წელში დამთავრებულ და უკვე ექსპლოატაციაში შესულ სტალინგრადის სატრაქტორო ქარხნის, როსტოვის სასოფ.-სამეურ. მანქანათმშენებლობის ქარხნის და სხვა ახალ ქარხნებს გარდა უნდა უზრუნველვყოთ ისეთი გიგანტების შეუფერხებელი მშენებლობა, როგორიცაა „მაგნიტოსტროი“, რომლის აშენებაზე ერთი წლის განმავლობაში 200 მილიონ მანეთზე მეტი უნდა დაიხარჯოს, როგორიცაა „კუზნეცკსტროი“, ნიჟეგოროდის ავტოქარხანა, ხარკოვის და ჩელიაბინსკის სატრაქტორო ქარხნები, მძიმე მანქანათმშენებლობის ურალის გიგანტი, უდიდეს ქიმიურ კომბინატების პირველი რიგი — ბერეზნიკის, ბობრიკის და სარატოვის კომბინატები და სხ. ამ ქარხნების დიდი უმრავლესობა, რომლებიც თავისი სიმძლავრით აღემატება ყველაფერს, რაც ჩვენს ქვეყანაში მოიპოვებოდა, უნდა ამუშავდეს ხუთწლედის მესამე წელში — ნაწილი მთლიანად და ნაწილი პირველ რიგში. გარდა ამისა, მომავალ წელში დაიწყება ისეთი ქარხნების მშენებლობა, როგორიცაა ნიჟნე-ტაგილის და მარიუპოლის მეტალურგიული ქარხნები, დნეპროკომბინატი მთელ რიგ უდიდესი ახალი ქარხნების შემადგენლობით; 1930-31 წელში ჩვენ უნდა მივაღწიოთ პირველ მნიშვნელოვან შედეგებს საბჭოთა კავშირის ქვანახშირის და ლითონის ბაზის — ურალ-კუზნეცკის კომბინატის მშენებლობაში.

მომავალი წლის პროგრამამ განსაზღვრავს შემდეგი გადამწყვეტი ციფრები: 7 ნახ. მილიონი ტონა თუჯი, 74 ნახ. მილიონი ტონა ქვანახშირი, 2 ნახ. მილიარდი მანეთის ახალი მანქანები, გარდა ამისა, 845 მილიონი მანეთის სასოფ.-სამეურ. მანქანები და 745.000 ცხენის ძალის ახალი ტრაქტორები. მძიმე ინდუსტრიის განვითარების წარმატებას და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის ბაზის ზრდას (ნათესის გაფართოება, ბამბის, ჭარხლის და მთელ რიგ სხვა ტეხნიკურ კულტურების მოსავლის გადიდება) უზრუნველყოფენ მსუბუქი მრეწველობის ზრდის უფრო სწრაფ ტემპს, ვიდრე წინა წლებში იყო. სხვა ღონისძიებების გატარებასთან ერთად ეს ქმნის პირობებს ფართო მოხმარების საგნებით მომარაგების გაუმჯობესებისა და საქონლის ნაკლებობის სიმწვავის შესანელებლად.

ამ საწარმოო პროგრამის შესრულება მოითხოვს მთელი სამეურნეო მუშაობის გადაჭრით გაუმჯობესებას. მრეწველობის მუშაობის ყველა თვისობრივი მაჩვენებლები, უწინარეს ყოვლისა თვითღირებულების და შრომის ნაყოფიერების მაჩვენებლები, საგრძნობლად უნდა გაიზარდოს წლის განმავლობაში და აუცილებელი სიზუსტით უნდა შესრულდეს. უამისოდ ვერ უზრუნველვყოფთ წარმოების იმ გაშლას, კაპიტალურ სამუშაოთა იმ უდიდეს გეგმას, რომლებიც დასახულია 1930-31 წლისათვის. მრეწველობის განვითარების ეს პროგრამა განუყრელად არის დაკავშირებული ტრანსპორტის (რკინის გზის და წყლის ტრანსპორტის) უდიდეს დავალებებთან; ამ უდიდესი დავალებების შესრულება შეუძლებელია ისე, თუ საფუძვლიანად და სასწრაფოდ არ გაუმჯობესდა ტრანსპორტის მთელი ორგანიზაცია და თუ აქტიური მონაწილეობა არ მიიღეს ამ საქმეში რკინისგზელების და წყლის ტრანსპორტის მუშების მთელმა მასამ და ტეხნიკურმა პერსონალმა.

მომავალ 1930-31 წელში ჩვენ უნდა უზრუნველვყოთ აგრეთვე სოფლის მეურნეობის სოციალისტური სექტორის — საბჭოთა მეურნეობების და კოლმეურნეობების განვითარების ბოლშევიკური ტემპები, ისეთი ორგანიზაციების უდიდეს საწარმოო პროგრამების შესრულება, როგორიცაა „ზერნოტრესტი“, „სკოტოვოდი“, „სვინოვოდი“, და სხვ., სოფლად გაშლილი სოციალისტური მშენებლობა უნდა უზრუნველვყოთ სასოფ.-სამეურ. მანქანების, ტრაქტორების და ქიმიური სასუქის წარმოების შესახებ მოცემულ დავალებების სრული განხორციელებით.

მთელი ამ ბუმბერაზული სამეურნეო პროგრამის შესრულება შესაძლებელია მხოლოდ მუშათა კლასის ყველა ძალების, ყველა პარტიული ორგანიზაციების, ყველა პროფკავშირების, მთელი კომკავშირის და ყველა სამეურნეო ორგანოების აქტიური და დაუყოვნებლივი მობილიზაციით. ამის შეუგნებლობა მოასწავებს ძირითადი ბოლშევიკური მოვალეობის დავიწყებას სოციალიზმის მშენებლობის წარმატებით უზრუნველყოფის საქმეში და წარმოადგენს ნამდვილ დანაშაულს პარტიის წინაშე, უწინარეს ყოვლისა ამ ორგანიზაციების ხელმძღვანელების მხრით.

პარტიის გენერალური ხაზის აღიარება სიტყვით და საქმით კი თავის დროზე გადამწყვეტი ზომების მიუღებლობა მთელი მუშათა კლასის დასარაზმავად ამ სამეურნეო პროგრამის შესასრულებლად არ შეეფერება ბოლშევიკებს და წარმოადგენს ყველაზე ცუდი სახის მემარჯვენე ოპორტუნიზმს პრაქტიკაში.

მხოლოდ მუშაობის დაუყოვნებლივ გაჩაღებით მრეწველობის მომავალი წლის საწარმოო პროგრამის შესრულების მოსამზადებლად შეიძლება უზრუნველვყოთ ინდუსტრიალიზაციის განვითარების იმ ბოლშევიკური ტემპების განხორციელება, რომლებიც პარტიის მე-16 ყრილობამ მიიღო.

მომავალი წლის სამრეწველო-საფინანსო გეგმის შესრულების მთავარ პირობას წარმოადგენს 1929-30 წლის სამრეწველო - საფინანსო გეგმის შესრულება. ხუთწლედის მესამე წლის ბუმბერაზული საწარმოო პროგრამის შესრულების ბოლშევიკური მომზადება გამოიხატება მიმდინარე წლის სამრეწველო-საფინანსო გეგმის აუცილებლად შესრულებაში.

ხუთწლედის მეორე წელი სოციალისტური ინდუსტრიის უდიდესი მიღწევების წელია. მსხვილმა სოციალისტურმა მრეწველობამ 10 თვის განმავლობაში 27 პროცენტით გაადიდა თავისი საერთო პროდუქცია და გვიჩვენა ზრდის სარეკორდო ტემპები მთელ რეკონსტრუქციულ პერიოდში. მძიმე ინდუსტრიამ — სოციალიზმის ამ საფუძველმა — ამავე პერიოდში თავისი წარმოება 39,5 პროცენტით გაადიდა. კაპიტალური მშენებლობის მოცულობა 10 თვის განმავლობაში 2,4—2,5 მილიარდი მანეთით განისაზღვრება.

მაგრამ ამ წარმატებების და მიღწევების გამო ჩვენ მხედველობიდან არ უნდა გავუშვათ ის სერიოზული შეფერხება, რომელმაც თავი იჩინა მრეწველობის მიერ დაწესებული გეგმის შესრულების მიმდინარეობაში.

სამრეწველო პროდუქციის 10 თვის განმავლობაში 27 პროცენტით ზრდა მოწმობს მკვეთრ ჩამორჩენას გეგმით გათვალისწინებული ზრდიდან — 32 პროცენტიდან. არ სრულდება არა მარტო მსუბუქი ინდუსტრიის გეგმა, რაც მიმდინარე წელს რამდენადმე ნედლეულის ნაკლებობით აიხსნებოდა, არამედ, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, თვალსაჩინოდ შეუსრულებელი რჩება მძიმე ინდუსტრიის საწარმოო პროგრამაც. მრეწველობის მუშაობის აშკარა შესუსტებამ უკანასკნელ თვეებში შექმნა პარტიისა და ხელისუფლების მიერ მიღებული წლიური საწარ. პროგრამის ჩაშლის პირდაპირი საფრთხე. ბოლშევიკური ტემპების ნაცვლად მრეწველობის მთელ რიგ დარგებში ამ უკანასკნელ დროს ადგილი აქვს ტემპების სამარცხვინო შენელებას და იმედის დამყარებას ოპორტუნისტულად თვითდინებაზე.

აშკარად არადამაკმაყოფილებელია აგრეთვე კაპიტალური მშენებლობის მიმდინარეობა. კაპიტალური მშენებლობის გეგმა პირველ სამ კვარტალში შესრულებულია ნახევარზე ნაკლებად.

მრეწველობის საწარმოო დავალებათა შეუსრულებლობის უმნიშვნელოვანეს მიზეზს, განსაკუთრებით მის ძირითად დარგებში წარმოადგენს ჯეროვანი ენერგიისა და ინიციატივის უქონლობა შინაგან რესურსების მობილიზაციის საქმეში: არსებული მოწყობილობის არასაკმაოდ გამოყენება, ცვლების დაბალი კოეფიციენტი, (გამოტოვებულია) ენერგიის უქონლობა საწარმოს „ვიწრო ადგილების“ დაძლევისათვის. მოწყობილობის ხშირი გაცდენა მატერიალურ-ტეხნიკური მომარაგების მოუგვარებლობისა და მოუწესრიგებლობის გამო, მრავალრიცხოვანი ავარიები დანაშაულებრივი დაუდევრობისა და ცუდი ტეხნიკური კონტროლის გამო, სისტემატიური რაციონალიზატორული მუშაობის არ არსებობა და შინასაქარხნო დაგეგმვის მეტად არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა. ნაცვლად ბოლშევიკური ბრძოლისა კონსერვატიზმთან საწარმოების ტეხნიკურ - საწარმოო ხელმძღვანელობაში, ნაცვლად რევოლიუციონური სიფხიზლისა მავნებლების მიმართ, ნაცვლად მოწინავე მუშების აქტივობის მობილიზაციისა საწარმოების მუშაობის გაშლისათვის ხელის შესაწყობად, სამეურნეო მუშაკები ხშირად მისჩანჩალებენ სპეციალისტების მცონარე ნაწილს, ხოლო ზოგჯერ ნამდვილ მავნებლებსაც და ჯეროვან დახმარებას არ უწევენ ინჟენრებისა და ტეხნიკოსების უფრო მოწინავე ნაწილს და სწყდებიან მუშათა აქტივს, ე. ი. პრაქტიკულად მუშაობენ ბიუროკრატიული მეთოდებით კმაყოფილდებიან.

ყოველივე ამის ყველაზე უარყოფითმა შედეგებმა თავი იჩინეს საერთო და სასოფლო - სამეურნეო მანქანათ-მშენებლობაში და აგრეთვე შავ მეტალურგიასა და ქვა-ნახშირის მრეწველობაში. ასე, მაგალითად, მომავალ წელს მანქანათ-მშენებლობის ორჯერ გადიდების გამოაშკარავებული შესაძლებლობა ცხადჰყოფს, თუ რამდენად დიდია ჩვენი საწარმოების სიმძლავრის გამოუყენებელი რეზერვები. გადიდებულ დავალებათა წარმატებით შესრულება ისეთი საწარმოების მიერ, როგორიც არის მაგალითად: ელექტრო-ქარხანა, სამხრეთის მადნეული მრეწველობა (კრივოი როგ), ქაღალდის ძველი ფაბრიკები — წარმოადგენს საწარმოებში შინაგანი რესურსების გამოყენებისათვის ბრძოლის შედეგს.

მაგრამ ასეთი მაგალითები ჯერ კიდევ მეტად მცირეა, ხოლო მრეწველობის შინაგანი რესურსების გამოყენებაში მონაწილეობისა და ბიუროკრატიზმის მაგალითები ყოველ ნაბიჯზე გვხვდება.

მრავალრიცხოვანი ფაქტები აშკარად გაზვიადებული მოთხოვნებისა საიმპორტო მოწყობილობაზე მრეწველობის შინაგანი რესურსების გამოყენების ცდების გარეშე, წარმოადგენენ ყველაზე მკაფიო მაგალითს იმისას, რომ სამეურნეო ხელმძღვანელნი ბიუროკრატიულად ეპყრობიან თავიანთ მოვალეობას. ეს ფაქტები ხშირად გამოხატავენ რწმენის უქონლობას სოციალისტური ინდუსტრიის შესაძლებლობაში, ამავე დროს კი იშვიათი არ არის აშკარად უძლური ცდები გაამართლონ სამრეწველო დავალებათა შეუსრულებლობა იმპორტის ნაკლებობით. ჩვენს პარტიულ, პროფესიონალურ და სამეურნეო ორგანიზაციებს, ზოგიერთი ქარხნების, მაგალითად ლენინგრადის ამხ. სტალინის სახელობის ლითონის ქარხნის (ტურბინების მშენებლობის გაფართოება) მაგალითის მიხედვით, რომ ნამდვილი ინიციატივა გამოეჩინათ ჩვენი ქარხნების საწარმოო რესურსების გამოყენების საქმეში, მაშინ ჩვენი მრეწველობა მიიღებდა დამატებით შესაძლებლობებს გეგმების არა თუ მთლიანად, არამედ თვალსაჩინო გადაჭარბებითაც შესრულებისათვის.

მთელ რიგ შემთხვევებში, როგორც მაგალითად: ნავთის მრეწველობაში, ურალის მადნეულ მრეწველობაში, ფერადი ლითონების მრეწველობაში, საწარმოო გეგმის შეუსრულებლობას პირველ რიგში იწვევს მოსამზადებელ სამუშაოთა — ბურღვის გამორკვევის, მაღაროების გათხრის, აშკარად არადამაკმაყოფილებელი მიმდინარეობა, რაც საფრთხეს უქმნის ინდუსტრიის სათანადო დარგების შემდგომ განვითარებას. ასეთი მდგომარეობა მეტადრე შეუწყნარებელია მრეწველობის ამ დარგების განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო.

განსაკუთრებული მნიშვნელობა სამრეწველო გეგმის შესრულებისათვის მიმდინარე წელს ჰქონდა სამეურნეო ვითარებაში მომხდარ ცვლილებებს, რომლებმაც განსაკუთრებით დიდი გავლენა იქონიეს მუშა-ხელის საკითხზე და უწინარეს ყოვლისა მისი შემადგენლობის ცვალებადობის საკითხზე.

სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის უდიდესმა გაქანებამ, ამასთან დაკავშირებით წარმოებაში მუშათა ყველა ძველი კადრებისა და ახალ მუშათა, განსაკუთრებით სოფლიდან მოსულ მუშათა უდიდესი ფენის ჩაბმამ, ამასთან ერთად გაშლილმა საკოლმეურნეო და საბჭოთა მეურნეობების მშენებლობამ, ამავე დროს გადიდებულმა მოსავალმა — ყოველივე ამან უდიდესი ცვლილებები შეიტანა იმ პერიოდთან შედარებით, როდესაც უმუშევართა კადრები სოფლად ჯერ კიდევ შედარებით თვალსაჩინო იყო, ხოლო წვრილ ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობებში განსაკუთრებით მწვავედ იჩენდა თავს თავისუფალი მუშა-ხელის სიჭარბე.

ეს ცვლილებები მხედველობაში ვერ მიიღეს სამეურნეო ორგანოებმა და პროფკავშირებმა. ამავე დროს კი, ამ ცვლილებებთან დაკავშირებულია, ერთის მხრივ, სამრეწველო საწარმოებში ისეთ ახალ მუშათა ჩაბმა, რომელთაც გავლილი არა აქვთ მსხვილი წარმოების სკოლა და ხშირად გამსჭვალულნი არიან წვრილმესაკუთრული და მატერიალური განწყობილებებით, ხოლო, მეორეს მხრივ, ამ მუშათა განსაზღვრული ნაწილის სოფლად წასვლა, განსაკუთრებით მოსავლის აკრეფის სამუშაოთა და მოსავლის განაწილების პერიოდში. შექმნილი ვითარების ნამდვილად გათვალისწინების, საჭირო ზომების მიღების (პროლეტარული საზოგადოებრიობის განვითარების, მუშათა მომარაგების ორგანიზაციის სათანადოთ შეგუების, წარმოების საუკეთესო მუშაკთა დაჯილდოვების ხაზით და სხვ.), საწარმოებში მუშათა შემადგენლობის შენარჩუნების, მტაცებლურ, საწარმოსათვის შემთხვევით ელემენტებთან (მოხეტიალეებთან და სხვ.) გადამჭრელი ბრძოლის ნაცვლად სამეურნეო ორგანოებმა, პროფკავშირებმა, აგრეთვე პარტიულმა ორგანიზაციებმა სრულიად შეუწყნარებელი პასივობა გამოიჩინეს ამ საქმეში და მით დაუშვეს მუშა-ხელის შემადგენლობის ცვალებადობის თვალსაჩინო განვითარება.

ცალკე უნდა აღინიშნოს შრომის სახალხო კომისარიატის ზოგიერთი ორგანოების და აგრეთვე ზოგიერთი პროფკავშირების ბიუროკრატიული დამოკიდებულება სამეურნეო ამოცანებისადმი.

საკმაოა ითქვას, რომ მუშების საგულისხმო ნაკლებობის დროს ფაბრიკებში, ქარხნებში, მაღაროებსა და მშენებლობაში ყველა სამრეწველო რაიონებში შრომის სახალხო კომისარიატის ორგანოები უკანასკნელ დრომდე კმაყოფილდებოდნენ „ცნობების“ ბეჭდვით ასეულ ათას უმუშევართა შესახებ, აძლევდნენ მათ ათეულ მილიონობით მანეთის დახმარებას „უმუშევრობის გამო“ და არ აწარმოებდნენ ბრძოლას მტაცებლურ ელემენტებთან, მოხეტიალეებთან, რომელნიც უარს ამბობდნენ მუშაობაზე და სხვ.

არანაკლები ბიუროკრატიზმი და ახალი ამოცანების გადაჭრის უუნარობა გამოიჩინა სამომხმარებლო კოოპერაციამ, რომელმაც ვერ ჩაატარა თავისი მუშაობის სათანადო გარდაქმნა წარმოებაში მუშათა შემადგენლობის განმტკიცების ამოცანასთან შეფარდებით, ვერ დარაზმა თავისი საწარმოო შესაძლებლობანი მუშათა მომარაგების ნამდვილად გაუმჯობესებისათვის და ვერ გაშალა მუშათა და მუშა-ქალთა მასიური კონტროლი კოოპერაციის ყველა ორგანოების მუშაობაზე. პასუხისმგებლობა ამისათვის რამდენიმე შრომის სახალხო კომისარიატის ორგანოებსაც ეკისრება.

იმის ყველაზე მკაფიო გამოხატულებას, რომ სამეურნეო ორგანოებმა და პროფკავშირებმა დაბნეულობა გამოიჩინეს და თავის დროზე ვერ მიიღეს ზომები საბრძოლველად მუშათა შემადგენლობის ცვალებადობასთან, რაც ძირს უთხრის შრომის დისციპლინას და დეზორგანიზაცია შეაქვს წარმოებაში, უნდა ჩაითვალოს ის მდგომარეობა მუშა-ხელის ირგვლივ, რომელიც შეიქმნა ახალ სამეურნეო ვითარებასთან დაკავშირებით მოსკოვისა და ლენინგრადის საწარმოებში და რომელმაც გამოიწვია საწარმოო პროგრამების უდიდესი შეფერხებანი.

მთავარ და გადამწყვეტ ნაკლად სამეურნეო მუშაობაში რჩება მუშათა კლასის სწრაფად გაზრდილი აქტივობის დარაზმვისა დ მის სათავეში ჩადგომის უუნარიანობა.

მიუხედავად სოციალისტური შეჯიბრებისა და დამკვრელობის ბუმბერაზული გაქანებისა ფაბრიკებსა და ქარხნებში, ჩვენი სამეურნეო, პროფესიონალური, კომკავშირული და პარტიული ორგანიზაციები ხშირად ჩამორჩენილნი არიან ამ საქმეში, ხოლო ზოგჯერ ოპორტუნისტულად მისჩანჩალებენ პროლეტარულ აქტივს (მაგალითი სორმოვო და სხვები).

სოციალისტური შეჯიბრებისა და დამკვრელობის განვითარებას ხელს უწყობს საწარმოო პროგრამის დავალებათა მიყვანა საამქრომდე, ბრიგადებამდე და ცალკე დაზგამდე. მეორეს მხრივ, პროლეტარული აქტივობის განვითარებისა და დამკვრელთა საწარმოო მიღწევების გამოყენების, მათი რაციონალიზატორული ინიციატივის საფუძველზე და აგრეთვე პრაქტიკაში მუშათა წინადადებების ნამდვილად გამოყენებით რეზერვებისა და საწარმოო სიმძლავრის გამოყენების საქმეში, სოციალისტური შეჯიბრება და დამკვრელობა უფრო მაღალ საფეხურზე გადადის. ეს გამოხატულებას პოულობს იმაში, რომ ფაბრიკებისა და ქარხნების მუშები ადგენენ შემხვედრ სამრეწველო - საფინანსო გეგმას, რომლის მნიშვნელობასაც წარმოადგენს საწარმოს რესურსების მეტი ეკონომია საწარმოო პროგრამის განხორციელების დროს, პროდუქციის ხარისხის ამაღლება და განსაკუთრებით სამრეწველო მშენებლობის ბოლშევიკური ტემპების შემდგომი დაჩქარება. შემხვედრ სამრეწველო-საფინანსო გეგმას განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა, როგორც სოციალისტურ მშენებლობაში ყველა მუშების ნამდვილად ჩაბმის მეთოდს, როგორც კონტრ-რევოლიუციონურ მავნებლობასთან ბრძოლის საშუალებას.

მაგრამ, სინამდვილეში, მრავალ შემთხვევაში პარტიული და სხვა საქარხნო ორგანიზაციები არა თუ სათანადოთ არ უჭერენ მხარს მუშათა ინიციატივას შემხვედრი სამრეწველო - საფინანსო გეგმის გამომუშავებაში, არამედ სათანადოთაც არ რაზმავენ სოციალისტურ შეჯიბრებას მის სხვადასხვანაირ და ახალ ფორმებში (ბოლომდე მიმყოლი დამკვრელი ბრიგადები, საზოგადოებრივი ბუქსირი და სხვ.). ხოლო უამისოდ შეუძლებელია უზრუნველყოფილ იქნას ბოლშევიკური ტემპები გაშლილი სოციალისტური ინდუსტრიისათვის.

ჯერ კიდევ მრავალრიცხოვანია ცრუ დამკვრელობის მაგალითები მრეწველობაში და ტრანსპორტზე; ჯერ კიდევ მცირე არ არის ფორმალურ-ბიუროკრატიული დამოკიდებულება შეჯიბრებისადმი, პარტიის წევრთა ჯერ კიდევ არა მცირე ნაწილს არ ესმის კომუნისტების როლი და მოვალეობა საწარმოში, როგორც ინიციატორებისა სამრეწველო - საფინანსო გეგმის შესრულებისათვის ბრძოლაში.

სამეურნეო მუშაკებს, რომელნიც სოციალისტური მშენებლობის ნამდვილად მოწინავე ადგილებზე დგანან, ჯერ კიდევ საკმაოდ ხშირად არა აქვთ შეგნებული განსაკუთრებული პასუხისმგებლობა თავიანთი საქმისათვის. არა აქვთ შეგნებული, რომ აუცილებლად სავალდებულოა ერთმმართველობის მტკიცედ გატარება საწარმოში შეუერთონ იმის უნარს, რომ მთელ თავიანთ მუშაობაში დაეყრდნონ პარტიულ, პროფესიონალურ და კომკავშირულ ორგანიზაციებს და მუშათა და მუშა ქალთა მთელ კომუნისტურ და უპარტიო აქტივს.

სოციალისტური შეჯიბრებისა და დამკვრელობის უდიდესმა დეფექტებმა თავიანთი გამოხატულება ჰპოვეს გამოაშკარავებულ საწარმოო შეფერხებებში და მიმდინარე წლის სამრეწველო - საფინანსო გეგმის ჩაშლის უაღრესად სერიოზული საფრთხის შექმნაში.

მრეწველობაში შექმნილი მდგომარეობა მოითხოვს გადამჭრელი და დაუყოვნებლივი ზომების მიღებას მთელი პარტიისა და მთელი მუშათა კლასის ძალების მობილიზაციისათვის პარტიის მიერ მიმდინარე წლისათვის მიღებული სამრეწველო გეგმის შესასრულებლად. ეს მით უფრო საჭირო და მით უფრო გადაუდებელია, რომ სამრეწველო - საფინანსო გეგმაში გამოაშკარავებული შეფერხების ლიკვიდაცია წარმოადგენს ძირითად პირობას ხუთწლედის მესამე წლის საწარმოო პროგრამის შესრულების უზრუნველყოფისათვის. აქედან გამომდინარეობენ პარტიისა და მთელი მუშათა კლასის შემდეგი ძირითადი ამოცანები:

1) პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების, პროფკავშირებისა და სამეურნეო ორგანოების ყველა ძალები უნდა მოხმარდეს სოციალისტური შეჯიბრებისა და დამკვრელობის საქმის განვითარებას, ამ საქმეში მუშათა ინიციატივის ყველა ფორმებისათვის (ბოლომდე მიმყოლი დამკვრელი ბრიგადები, საზოგადოებრივი ბუქსირი და სხვ.) დახმარების გაწევას, ყველა ძალები უნდა მოხმარდეს შემხვედრი სამრეწველო - საფინანსო გეგმის გაშლას ფაბრიკებში, ქარხნებში, მაღაროებში, მშენებლობებში, რკინისგზის და სანაოსნო ტრანსპორტში.

ცენტრალური კომიტეტი მთლიანად და სავსებით უჭერს მხარს საკავშირო პროფსაბჭოს ინიციატივას სექტემბრის განმავლობაში პროფკავშირთა გაშლილი კამპანიის ორგანიზაციის შესახებ შემხვედრი სამრეწველო - საფინანსო გეგმისათვის და პირველ ოქტომბერს დამკვრელის საკავშირო დღის გამართვისათვის. ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავს, რომ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ კამპანიაში დაუყოვნებლივ, და ამასთან არა სიტყვიერად, არამედ ნამდვილად ჩაებმიან ყველა პროფკავშირული ორგანიზაციები, ეს კამპანია გადაიქცევა ნამდვილ საშუალებად სამრეწველო გეგმაში შეფერხებათა ლიკვიდაციისათვის და უზრუნველჰყოფს საწარმოო პროგრამის შესრულებას.

2) დაუყოვნებლივ გატარებულ უნდა იქნან ღონისძიებანი, რომელნიც უზრუნველჰყოფენ შრომის დისციპლინის გადაჭრით განმტკიცებას და ნამდვილ ბრძოლას უთავბოლობასთან და სამუშაოს გაცდენასთან. ამ ღონისძიებებმა უნდა უზრუნველჰყონ უსწრაფესი გარდატეხა შრომის ნაყოფიერების ამაღლების და სამეურნეო ხელმძღვანელობაში ერთმმართველობის ნამდვილად განხორციელების საქმეში, რის გარეშეც შეუძლებელია მრეწველობაში შექმნილ სიძნელეთა გადალახვა.

3) უზრუნველყოფილ იქნას ინჟენრებისა და ტეხნიკოსების საწარმოო-ტეხნიკური ინიციატივის განვითარება, ყოველმხრივ გაძლიერდეს მუშათა კლასის ახალი კადრების შექმნა, გაბედულად და უყოყმანოდ იქნას დაწინაურებული სამეურნეო პოსტებზე მოწინავე მუშები და, განსაკუთრებით, სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზატორი - მუშები, რომლის დროსაც დაძლეულ იქნას სიზანტე, ბიუროკრატიზმი და ოპორტუნისტული უნდობლობა მუშათა კლასის ძალის მიმართ

4) საწარმოებში მუშათა შემადგენლობის ცვალებადობის წინაალმდეგ ბრძოლის მიზნით, გატარდეს ისეთ ღონისძიებათა სისტემა, რომლებიც უზრუნველყოფენ მუშების მიმაგრებას საწარმოზე. ასეთი ღონისძიებებია პროლეტარული საზოგადოებრივობის სათანადოდ განვითარება, გატარება მუშათა თვითდავალდებულებისა პროლეტარული საზოგადოებრივობის წინაშე, რომ იმუშავებენ მოცემულ საწარმოში განსაზღვრულ ვადაზე არა ნაკლები ხნის განმავლობაში, საზოგადოებრივი ზეგავლენის ყოველნაირ ღონისძიებათა გამოყენება თვით ბოიკოტის გამოცხადებამდე წარმოების ბოროტ დეზერტირთა წინაალმდეგ, აგრეთვე ისეთი სახის პრემიების და მომარაგების სისტემის შემოღება, რომელიც მუშებს წაახალისებს იმ მხრით, რომ უფრო ხანგრძლივი ვადით დარჩეს ქარხანაში.

ვინაიდან ზოგიერთი საკანონმდებლო ნორმები, კერძოდ, შრომის ბირჟის დებულება, არ შეეფერება ახლანდელ სამეურნეო პირობებს, დაუყოვნებლივ გადაისინჯოს ეს ნორმები იმ თვალსაზრისით, რომ გაუქმებულ იქნას მისი ის ნაწილი, რომელიც აბრკოლებს წარმოების დეზერტირების წინაალმდეგ ბრძოლას და სხვა, ამასთან ერთად უზრუნველყოფილ იქნას გაძლიერებული ჩაბმა წარმოებაში მუშა - ახალგაზრდობისა, აგრეთვე მუშების ცოლების და სხვა მშრომელთა.

5) მუშათა მომარაგების საქმის მოგვარებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს სამრეწველო - საფინანსო გეგმის შესრულების საქმეში. განაწილების ორგანიზაციის გასაუმჯობესებლად კოოპერაციამ უნდა გაშალოს მომარაგების ისეთი ფორმები, რომლებმაც გაამართლეს თავიანთი თავი და ყველაზე უფრო უზრუნველყოფენ საწარმოო მუშათა ინტერესებს (დახურული განმანაწილებლები, მუშა-მეპაიების მიმაგრება მაღაზიებზე, დაუნდობელი ბრძოლა ქურდობის წინაალმდეგ კოოპერატიულ აპარატში, რეპრესიების გაძლიერება ბარათების და ტალონების საქმეში ჩადენილ ბოროტმოქმედებისათვის და სხვა) და გაძლიერდეს სამრეწველო რაიონებში ქალაქის განაპირა მეურნეობების ორგანიზაცია (ბოსტნების, მერძევეობის და მესაქონლეობის მეურნეობანი).

პარტიულმა, პროფესიონალურმა, კომკავშირულმა და სამეურნეო ორგანიზაციებმა ყოველმხრივ უნდა შეუწყონ ხელი მუშათა თვითმოქმედებას ამ საქმეში, განამტკიცონ კოოპერაცია და ყოველმხრივ გააძლიერონ მუშების და მუშა - ქალების კონტროლი კოოპერატიული აპარატის მუშაობაზე.

6. პრესამ თვითკრიტიკის გაშლის საფუძველზე დიდი მუშაობა ჩაატარა მუშათა მასების დარაზმვის საქმეში სამრეწველო - საფინანსო გეგმის შესასრულებლად. ამასთან ერთად, ბევრ შემთხვევაში პრესა დაკმაყოფილდა ზერელე საკამპანიო აგიტაციით, ვერ მიაღწია ბრძოლის გაცხოველებას სამეურნეო მუშაობის გადამწყვეტ და კონკრეტულ ნაკლოვანებათა წინაალმდეგ და ვერ შესძლო თავის დროზე დაერაზმა მასები იმ ახალი საკითხების ირგვლივ, რომლებსაც აყენებენ სამეურნეო პირობებში მომხდარი ცვლილებები.

7. გადამწყვეტი ბრძოლა მუშაობის ტემპების შენელების წინაალმდეგ, რამაც საზაფხულო შვებულებებთან დაკავშირებით მთელ რიგ სამეურნეო ორგანოებში დაწესებულებათა უპატრონოდ მიტოვების მახინჯი სახე მიიღო და რაც ერთ - ერთ სერიოზულ დაბრკოლებას წარმოადგენს სამრეწველო - საფინანსო გეგმის შესრულების და ხუთწლედის მესამე წლისათვის მზადების საქმეში. ამგვარი სადემობილიზაციო განწყობილების, ამ აშკარა ოპორტუნისტული მოვლენის დაუყოვნებლივ და გადაჭრით აღმოფხვრის გარეშე ცარიელ სიტყვებად დარჩება პარტიული ძალებისა და მუშების მობილიზაცია ჩამორჩენის სალიკვიდაციოდ და საწარმოო დავალებათა შესასრულებლად.

ასეთია დღევანდელი დღის უმნიშვნელოვანესი ამოცანები.

მიმდინარე წლის საწარმოო პროგრამა და ხუთწლედის მესამე წლის სამეურნეო გეგმა წარმოადგენენ სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკულ პროგრამას და გაშლილ შეტევას კაპიტალისტური ელემენტების წინაალმდეგ მთელ ფრონტზე.

საწარმოო დავალებათა შესრულებაში გამორკვეულ უდიდეს ნაკლოვანებათა მიუხედავად სოციალიზმის მშენებლობა ძლევამოსილად მიდის წინ და დაუნდობლად ანადგურებს თავის გზაზე კლასობრივ მტრების (კულაკების კონტრევოლიუციონური მავნებლების და ბურჟუაზიული რესტავრატორების, მათ რიცხვში გრომანის, კონდრატიევის და სუხანოვის ტიპის რესტავრატორებისაც) წინაალმდეგობის ცდებს. მემარჯვენე პანიკიორები, კულაკთა ეს დამქაშები, და ტროცკისტული ელემენტები, რომლებიც გუშინდელ „მემარცხენეებიდან“ საქმით მემარჯვენე ოპორტუნისტების ფაქტიურ ამყოლ - დამყოლებად გადაიქცნენ, აგრეთვე მემარჯვენეებთან და ტროცკისტებთან შემარიგებლები ყველა ჯურისა, — წარმოადგენენ პროლეტარიატზე ბურჟუაზიული გავლენის გამომხატველებს და ამიტომ ყოველგვარი ისეთი ოპორტუნისტული განწყობილებების შეჭრა პარტიის რიგებში, რომლებიც ასუსტებენ პროლეტარიატის ბრძოლის უნარს მის გაშლილ შეტევაში კაპიტალისტური ელემენტების წინაალმდეგ, გადამწყვეტ ბოლშევიკურ წინაალმდეგობას უნდა შეხვდეს. ეს ძირითად პირობას წარმოადგენს სოციალიზმის ძლევამოსილი წინსვლელობისათვის, ის უზრუნველყოფს სოციალისტური მშენებლობის ბოლშევიკურ ტემპებს და მით წარმოადგენს ამ მშენებლობის გზაზე მდგომ დაბრკოლებათა დაძლევის საწინდარს.

ჩვენს წინაშე მდგომ დაბრკოლებათა დაძლევა პირველ ყოვლისა დამოკიდებულია ჩვენს მუშაობაზე და იმაზე, თუ რამდენად გვეცოდინება თანმიმდევარი დაუნდობელი ბრძოლა უთავბოლობის, უმომჭირნეობის და ბიუროკრატიზმის წინაალმდეგ ჩვენს ორგანოებში და განსაკუთრებით, რამდენად გამოვიჩენთ უნარს დავრაზმოთ მუშათა კლასი, რომელიც წარმოადგენს კომუნიზმისათვის ბრძოლის საქმეში საჭირო რევოლიუციონური ენერგიის სწრაფ მოზარდ და დაუშრეტელ წყაროს.

სამრეწველო - საფინანსო გეგმა საფრთხის წინაშე იმყოფება. ამით საფრთხის წინაშე დგება ხუთწლედის მესამე წლის პროგრამა. გამოვიტანოთ აქედან ბოლშევიკური დასკვნა: პარტიის მთელი ძალები და მუშათა კლასის მთელი ძალები მოვახმაროთ სამრეწველო - საფინანსო გეგმის შესრულებას და ხუთწლედის მესამე წლის პროგრამის უზრუნველყოფას.

**საკავშირო კომპარტიის (ბ)
ცენტრალური კომიტეტი**

1-ლი ოქტომბერი—დამკვრელთა დღე

საკავშირო პროფსაბჭოს დადგენილება

მოსკოვი, 4 აგვისტო. მთავრდება ხუთწლედის მეორე წელი, დიადი გარდატეხის წელი, რომელმაც მძლავრად აამოქმედა მუშათა მასები თავიანთი ლოზუნგის „ხუთწლედი — 4 წელში“ განსახორციელებლად.

სოციალისტური მრეწველობის განვითარების უდიდეს მიღწევებთან ერთად, რომლებიც მოპოვებულია მიმდინარე სამეურნეო წელიწადში, საკავშირო პროფსაბჭო აღნიშნავს, რომ მიმდინარე წლის სამრეწველო - საფინანსო გეგმის შესრულების მსვლელობაში თავი იჩინა მთელმა რიგმა სერიოზულმა შეფერხებებმა, რომლებიც საფრთხეს უქმნიან სამეურნეო წლის წარმატებით დამთავრებას და ინდუსტრიალიზაციის ბოლშევიკური ტემპების განხორციელებას ხუთწლედის მესამე წელში. ამ შეფერხებების მთავარ მიზეზად პრეზიდიუმს მიაჩნია ის, რომ ვერ მოახერხეს მუშათა მასების მძლავრი შრომითი ამოქმედების გაძღოლა და ორგანიზაცია.

ამავე დროს, გაშლილი სოციალისტური შეჯიბრებისა და დამკვრელობის მსვლელობაში, რომელიც უზრუნველჰყოფს მუშათა კლასის გადამწყვეტ წარმატებას სოციალისტურ მშენებლობის მთავარ დარგებში, მასების ინიციატივით წამოყენებულია სამრეწველო - საფინანსო გეგმის გადამეტებით შესრულებისათვის ბრძოლის კონკრეტული ფორმები (საზოგადოებრივი ბუქსირი, ბოლომდე მიმყოლი დამკვრელი ბრიგადები და სხ.), რომლებიც გამოცდილებით არის შემოწმებული.

ახალ დიდ ნაბიჯს, რომელიც უზრუნველჰყოფს მრავალმილიონიან მასების უშუალო მონაწილეობას სოციალისტურ მშენებლობაში, წარმოადგენს შემხვედრი სამრეწველო საფინანსო გეგმა.

მრეწველობის ზოგიერთ დარგში სამრეწველო - საფინანსო გეგმის შესრულების მხრივ ჩამორჩენილობის საპასუხოდ მუშათა მასების მიერ შემხვედრ სამრეწველო - საფინანსო გეგმის წამოყენება მოასწავებს სოც. შეჯიბრების აყვანას უმაღლეს საფეხურზე და უზრუნველჰყოფს სოციალისტური მეურნეობის ყველა რეზერვების და საწარმოო შესაძლებლობათა მაქსიმალურად გამოაშკარავებას და გამოყენებას, ლახვარს სცემს მავნებლობას და წარმოადგენს საუკეთესო პასუხს ყველა პანიკიორებისა და ოპორტუნისტებისათვის.

მუშათა კლასის ყველა ძალების მობილიზაციის, მიმდინარე წლის სამრეწველო - საფინანსო გეგმის შესრულებაში ჩამორჩენილობის ლიკვიდაციის, სოც. შეჯიბრების ყველა ფორმების მაქსიმალურად გამოყენებისა და მუშათა მასების საუკეთესოდ მომზადებისათვის ხუთწლედის მესამე გადამწყვეტი წლის დარაზმულად შესახვედრად, საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. ხუთწლედის მესამე წლის შეხვედრა აღინიშნოს დამკვრელის საკავშირო დღის მოწყობით 1930 წლის 1 ოქტომბერს.

დამკვრელის საკავშირო დღე, რომელიც მოეწყობა ყველა ქარხნებში, ფაბრიკებში, მაღაროებში, ტრანსპორტზე, დაწესებულებებში, კოოპერაციაში, საბჭოთა მეურნეობებში და კოლმეურნეობებში უნდა ჩატარდეს ხუთწლედის მეორე წლის წარმატებით დამთავრებისთვის მასების ფართო-მობილიზაციის, მუშაობის გაუმჯობესებისათვის, მუშაობის ხელის შემშლელ სუსტი შრომის დისციპლინის, მუშა - ხელის ცვალებადობის და დეზორგანიზაციის წინაალმდეგ გადამწყვეტ ბრძოლის, კოოპერატიულ და მომარაგების ორგანოების მუშაობაში გადამწყვეტი გარდატეხისათვის, პროფკავშირების აქტივობის გაძლიერებისათვის და მუშათა მომარაგების საქმის გაუმჯობესებისათვის ბრძოლის ნიშან ქვეშ.

2. დამკვრელის საკავშირო დღემ, რომელიც წარმოადგენს მშრომელთა აქტივობის საყოველთაო მობილიზაციის დღეს მუშათა ფართო მასების უშუალო მონაწილეობით შემუშავებულ ხუთწლედის მესამე წლის სამრეწველო - საფინანსო გეგმის (შემხვედრი სამრეწველო - საფინანსო გეგმა) მთლიანად შესრულებისათვის, უნდა გამოიწვიოს მუშათა კლასის ახალი რაზმების ჩაბმა დამკვრელთა მოძრაობაში (ხუთწლედის მესამე წლის დამკვრელთა გაწვევა), უნდა განამტკიცოს და ყოველ საწარმოსათვის მისაწვდომი გახადოს მასების გამოცდილებით შემოწმებული სოც. შეჯიბრების ახალი უმაღლესი ფორმები (საზოგადოებრივი ბუქსირი, ბოლომდე მიმყოლი ბრიგადები და სხ.), უნდა უზრუნველჰყოს სოც. შეჯიბრების ხელშეკრულებების მასიურად დადება ბრიგადებსა, საამქროებსა და საწარმოებს შორის შემხვედრ სამრეწველო - საფინანსო გეგმიდან გამომდინარე ახალ მაჩვენებლების საფუძველზე და იმ საუკეთესო საწარმოთა და დამკვრელების დაჯილდოება, რომლებმაც წარმატებით შეასრულეს ხუთწლედის მეორე წლის სამრეწველო-საფინანსო გეგმა.

საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ ყველა პროფორგანიზაციებმა სექტემბერი მაქსიმალურად უნდა გამოიყენონ, რათა გადაჭრით წასწიონ წინ სამრეწველო-საფინანსო გეგმის შესრულების საქმეში ჩამორჩენილი საწარმონი, საამქროები და ბრიგადები, განსაკუთრებით ქვანახშირის, ლითონის და ტრანსპორტის დარგში საზოგადოებრივი ბუქსირის და ბოლომდე მიმყოლ ბრიგადების მოწყობით მუშათა წინადადებების, გამოგონებების და სხვ. [illegible] გასაშლელად საწარმოებში და სხ.

საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმი მოუწოდებს მუშებს, საინჟენრო - ტეხნიკურ მუშაკებს და ყველა მშრომელებს, მოიკრიბონ მთელი ძალები ხუთწლედის მეორე წლის წარმატებით დასამთავრებლად და ახალი სამეურნეო წლისათვის მოსამზადებლად. (ადს).

ორშაბათს, 8 სექტემბერს, საქ. კ. პ. (ბ) ც. კ.-ი იწვევს

აფხაზეთის, აჭარისტანის, სამხრეთ-ოსეთის საოლქო კომიტეტების და საქ. კ. პ. (ბ) ყველა რაიკომების მდივნების თათბირს.

დღის წესრიგში:

1. საკოლმეურნეო მშენებლობის საკითხები.
2. დარაიონების საკითხები ოლქების ლიკვიდაციასთან დაკავშირებით.
3. გლეხური ბაზრის მდგომარეობა.

მოწვეულნი არიან საქ. კ. პ. (ბ) საოლქო კომიტეტების და რაიკომების მდივნები.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანი ლ. ლოლობერიძე.

დაწვრილებითი ცნობები ბუდაპეშტის ამბების შესახებ

ინგლისის პროფბიუროკრატებმა ტრედუნიონების ყრილობაზე არ დაუშვეს უმუშევართა დელეგაცია

შეერთ. შტატების მთელ რიგ ქალაქებში გაიმართა უმუშევართა დიდი დემონსტრაციები

ბუდაპეშტის ამბები

ვენა, 3 სექტემბერი. დამატებითი ცნობებით, ბუდაპეშტში გუშინ ბრძოლები ხდებოდა ქალაქის მთავარ ქუჩებში, სადგურებში და ქალაქის გალთან. შეტაკების ცეცხლში იყო გახვეული ბუდაპეშტის ერთი მესამედი ნაწილი. სოციალ-დემოკრატების ლიდერები, ხელისუფლება და მთელი ბურჟუაზია იმედოვნებდნენ, რომ დემონსტრაცია ჩატარდებოდა მშვიდად, მსგავსად საპირველმაისო დემონსტრაციისა, რომელიც გაიმართა სოციალ-დემოკრატიული რეცეპტით. ნამდვილად კი გუშინდელმა ამბებმა გამოაშკარავა სოციალ-დემოკრატების სრული დამარცხება: მუშათა მასები გამოეხმაურნენ მხოლოდ კომპარტიის ლოზუნგებს. მასიურ დაპატიმრებათა მიუხედავად, ბუდაპეშტის მუშათა უბნები გუშინ დილით დაფარული იყო კომპარტიის მოწოდებებით, რომლებშიაც მუშებს მოუწოდებენ გადააქციონ სოციალ-დემოკრატების მიერ ნაკარნახევი „უსიტყვო გასეირნება" რევოლიუციონურ მასიურ ბრძოლად. სოციალ-დემოკრატები გუშინ აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ პოლიციის „გამაფრთხილებელ ღონისძიებებში". წესრიგის დასაცავად დაარსებულ იქნა გაერთიანებული კომიტეტი, რომელშიაც შევიდნენ როგორც პოლიცია, ისე სოციალ-დემოკრატებიც. გუშინ ბუდაპეშტში იმართებოდა მასიური გაფიცვები. მუშაობდნენ მხოლოდ კომუნალური და სატრანსპორტო საწარმოები. პოლიციასთან პირველი შეტაკების მიზეზი იყო მუშათა აღშფოთება და ის, რომ აკრძალულ იქნა სატრანსპორტო საწარმოთა გაფიცვა. რინგის ქუჩებზე და მთავარ გზა-ჯვარედინებზე დემონსტრანტებმა გააჩერეს ტრამვაის ვაგონები, გადააყირავეს ავტობუსები და გამოუშვეს ფურგონებში შებმული ცხენები და მოითხოვდნენ, რომ გაფიცვას შეერთებოდნენ შოფერები და ტრანსპორტის მუშები. ქალაქის სამ რაიონში დემონსტრანტებმა ამოთხარეს გზატკეცილი და ააგეს ბარიკადები. პოლიციამ შესძლო ბარიკადების დაპყრობა მხოლოდ ხიშტების საშუალებით იერიშის მიტანის შემდეგ, რამაც 20 წუთს გასტანა. ერთ ჟანდარმს მუშებმა გამოსტაცეს თოფი. დემონსტრანტებმა ჟანდარმს მისი ხიშტით მრავალი ჭრილობა მიაყენეს.

ბურჟუაზიულ კვარტალში დემონსტრანტები ცხენოსანი პოლიციის იერიშებს ქვებით უპასუხებდნენ და ასე იცავდნენ თავს. პოლიცია თავდაპირველად იძულებული გახდა უკან დაეხია. მაგრამ აქ პირველად ჩაერია ბრძოლაში ჯარი, რომელმაც ტყვიამფრქვევებისა და ჯავშნიან ავტომობილების საშუალებით ნამდვილი იერიში მიიტანა დემონსტრანტებზე და ასტეხა ძლიერი სროლა.

სასოფლო-სამეურნეო მუზეუმის მახლობლად, სადაც უცხარესი ბრძოლები იმართებოდა, ბრძანებებს იძლეოდა პირადად სამხედრო მინისტრი გემბეში, რომელიც გამოეცხადა პოლიციის ოფიცრებს, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის სტრანიავსკისა და რამდენიმე სოციალ-დემოკრატი დეპუტატის თანხლებით. სოციალ-დემოკრატების ლიდერები პოლიციას ანიშნებდნენ დემონსტრაციის მონაწილე ამა თუ იმ მუშას და ცდილობდნენ დემონსტრანტების დაწყნარებას შემდეგი განცხადებებით: „ჩვენი მიზანი მიღწეულია—დაბრუნდით თავ-თავიანთ სახლებში". მაგრამ დემონსტრანტების რიგებიდან საპასუხოდ გაისმოდა: „ჩვენი მიზანი ჯერ კიდევ არ არის მიღწეული. ძირს სოციალ-ფაშისტები, ფაშისტები და ბურჟუაზია. გაუმარჯოს ბელა კუნს". პოლიციელები ამოღებული ხმლით ეკვეთნენ დემონსტრანტებს და დაუწყეს ცემა ქალებს, ინვალიდებსა და მოზარდთ. ბრძოლის დამთავრების შემდეგ ქალაქის გალის მიდამოები და ანდრაშის პროსპექტი მიტოვებული ბრძოლის ველის სურათს წარმოადგენდა. ბურჟუაზიულ კვარტალებში გათელილია ბაღები, დარბეულია რესტორანები და კაფეები. ქუჩებში, სისხლში ეყარნენ დაჭრილები. არასრული ცნობებით, ბუდაპეშტში მსუბუქად დაჭრილია 400, მძიმედ—74. ამათგან 10 სასიკვდილოდაა დაჭრილი, 8 მოკლულია. დაპატიმრებულია 242 დემონსტრანტი, რომელთაგან 200 კაცს მიესაჯა რვა-რვა დღე პატიმრობა, ხოლო 40 პასუხისგებაში აძლევენ სახელმწიფოს დაცვის კანონის თანახმად. პასუხისგებაში აძლევენ აგრეთვე 249 დაჭრილ დემონსტრანტს, რომლებიც საავადმყოფოებში იმყოფებიან.

უნგრეთის მთავრობის ზედმეტი ორგანოები გუშინდელი ამბებისათვის მთელს პასუხისმგებლობას აკისრებენ სოციალ-დემოკრატ. პარტიას, რომელსაც ისინი ბრალს სდებენ იმაში, რომ მან ვერ შესძლო თავის დაპირებათა შესრულება, რის გამო დემონსტრაციის ხელმძღვანელობა გადავიდა კომუნისტების ხელში. გაზეთები აღნიშნავენ, რომ გუშინ კომუნისტებმა რამდენიმე საათით გააცოცხლეს 1919 წლის კომუნის აჩრდილი (ადს).

ინგლისის პროფბიუროკრატების ყრილობა

ნოტინგემი, 3 სექტემბერი. გენერალური საბჭოს მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათის დროს ერთმა დელეგატმა მუშამ საკმაოდ გააკრიტიკა ყრილობის თავმჯდომარის რეაქციონური სიტყვა. მუშას არ მისცეს ლაპარაკის საშუალება და ძალით ჩამოათრიეს ტრიბუნიდან. „მემარცხენე ოპოზიციამ" ხმა არ ამოიღო ყრილობის იმ დადგენილების წინააღმდეგ, რომლითაც უმუშევართა დეპუტაცია არ იქნა დაშვებული ყრილობაზე. ყრილობა შეუდგა გენერალური საბჭოს ეკონომიური პოზიციის განხილვას. ამ საკითხის ირგვლივ ლაპარაკის დროს ბევინმა აღნიშნა, რომ გენერალური საბჭოს ხაზი მთლიანად არ ეთანხმება ბივერბრუკის ხაზსა. გენერალური საბჭო მხარს უჭერს ხალხთა თვითგამორკვევას და წინააღმდეგია დომინიონების პოლიტიკური დამორჩილებისა. მაგრამ რამდენადაც კაცობრიობამ ფეხი შესდგა ისეთ პერიოდში, როდესაც მანქანური ტეხნიკა არის გაბატონებული ნედლეულზე, იმდენად არ შეიძლება ანგარიში გაეწიოს ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა ავსტრალია და კანადა, რომლებიც დამოუკიდებლობას მოითხოვენ.

ბივერბრუკის ხაზისაგან ფორმალურმა გამიჯვნამ ბევინი ვერ იხსნა უბრალო დელეგატების კრიტიკისაგან. პირველმა ორატორმა, შოტლანდიის მაღაროს მუშამ განაცხადა, რომ გენერალური საბჭო ყველა ძირითად პოლიტიკურ საკითხებში ადგას კონსერვატორებისათვის მხარის დაჭერის გზას. გენერალური საბჭო ფაქტიურად სამუდამოდ უარს აცხადებს სოციალიზმისათვის ბრძოლაზე.

ნოტინგემი, 3 სექტემბერი. ის შენობა, რომელშიაც ტრედუნიონების გენერალური საბჭოს სხდომები მიმდინარეობს, უმუშევრებით არის გარშემორტყმული. უმუშევრები ძლიერ აღელვებული არიან და მტრულად ხვდებიან დელეგატებს. ქალაქის ცენტრალურ მოედანზე გაიმართა მუშათა დიდი მიტინგი. მიტინგზე სალაპარაკოდ გამოსულმა კომუნისტებმა მუშებს მოუწოდეს იბრძოლონ ლეიბორისტულ პარტიის წინააღმდეგ და გამართონ საპროტესტო დემონსტრაცია ტრედუნიონების ბიუროკრატების ყრილობის წინააღმდეგ.

ნოტინგემი, 3 სექტემბერი. ინგლისის ტრედუნიონების ყრილობაზე მაღაროს მუშათა ფედერაციის სახელით კუკმა შეიტანა რეზოლუცია სამთო მრეწველობის ყველა მუშათა გაერთიანების შესახებ მაღაროს მუშათა მთლიან კავშირში. ეს რეზოლუცია, რომელსაც საფუძვლად საწარმოო პრინციპი უდევს, ხმის უმრავლესობით უარყოფილ იქნა (ადს).

ნოტინგემი, 3 სექტემბერი. ბირდის საპროგრამო სიტყვა წარმოადგენდა ენერგიულ მოწოდებას სოციალისტური ცრუმორწმუნეობის უკუგდებისაკენ. ბირდი მოითხოვდა სოციალიზმის, როგორც ნაადრევი და უტოპიური ლოზუნგის, ლიკვიდაციას და კაპიტალიზმის განმტკიცებისა და ბურჟუაზიასთან თანამშრომლობის გზაზე გაბედულად გადასვლას. მისი სიტყვის მთელი დედა-აზრი მდგომარეობდა იმის მტკიცებაში, რომ ლეიბორისტულმა პარტიამ და ტრედუნიონებმა თავიანთი პოლიტიკური ამოცანები არ უნდა დაუკავშირონ სოციალიზმის იდეას. განსაკუთრებით მწვავედ მიუდგა ბირდი უმუშევრობის პრობლემას. მან აღიარა, რომ უმუშევრობის ოფიციალური ციფრი—ორი მილიონი სრულებითაც არ გამოხატავს შრომის ბაზარზე არსებულ ნამდვილ მდგომარეობას, რადგან უმუშევრობის სწორი რეგისტრაციის შემთხვევაში ეს ციფრი უნდა გადიდდეს. უმუშევრობის ზრდა ბირდმა გამოაცხადა კანონიერ მოვლენად, ვინაიდან საუკუნის უკანასკნელ მეოთხედს ახასიათებს ისეთი გამოგონებანი და სამეცნიერო აღმოჩენანი ზრდა, რომლებიც მიზნად ისახავს უფრო სწრაფად და მასიურად დაამზადონ საქონელი. ბირდის პროგრამა წარმოადგენს წარმოებაში მშვიდობიანობისა და ბურჟუაზიასთან თანამშრომლობის პროგრამას. ბირდი განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევს ინდუსტრიალურ კონფერენციებს. დასასრულ, ბირდი შეეხო იმპერიის შინა-მთლიანობის როლს ინგლისის ეკონომიურ დაბრკოლებათა დაძლევის საქმეში. მან აღნიშნა, რომ „არ შეიძლება ფეტიშად გადაიქცეს ვაჭრობის თავისუფლების პრინციპი" (ადს).

ვარშავის კონფერენციის შედეგები

გაზ. „ტაგ"-ი ვარშავის აგრარულ კონფერენციის შესახებ

ბერლინი, 3 სექტემბერი. მემარჯვენე გაზეთი „ტაგ"-ი სწერს, რომ ვარშავის აგრარული კონფერენცია სინამდვილეში პოლიტიკურ ხასიათს ატარებდა. გაზეთი აცხადებს, რომ კონფერენციაზე შეგნებულად არაფერი იყო ნათქვამი საბჭოთა კავშირის შესახებ, მაგრამ ვარშავაში შექმნილი აგრარულ-პოლიტიკური ბლოკი მიმართულია არა მარტო გერმანიის, არამედ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგაც (ადს).

საარჩევნო სამზადისი გერმანიაში

მხარს უჭერენ კომუნისტების კანდიდატებს

ბერლინი, 3 სექტემბერი. ხულენდორფში (ვიურტენბერგი) გაიმართა ვიურტენბერგის რვა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის ოპოზიციონერ დელეგატთა კონფერენცია. კონფერენციამ დაადგინა მიმართოს მოწოდებით ყველა სოციალ-დემოკრატ ამრჩეველს და ურჩიოს შექმნან ერთიანი ფრონტი კომუნისტებთან ფაშიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად და 14 სექტემბერს ხმა მისცენ კომპარტიის კანდიდატებს.

დააპატიმრეს ბავარიის კომპარტიის ორგანიზაციის მდივანი

ბერლინი, 3 სექტემბერი. დააპატიმრეს ბავარიის კომპარტიის ორგანიზაციის მდივანი ამხ. ბუხმანი. დაპატიმრების მიზეზად წამოყენებულია ის, რომ ბუხმანმა „პრესაში შეურაცხყო ეკლესია". „ეკლესიის შეურაცხყოფის" ბრალდება შეთითხნეს 1929 წელს, და პოლიციამ იგი გამოიყენა ახლა, როდესაც ბუხმანის კანდიდატურა წამოყენებულ იქნა რეიხსტაგის არჩევნებში (ადს).

აჯანყება მაროკოში

საფრანგეთის ჯარების შეტაკება მაროკოელებთან

პარიზი, 4 სექტემბერი. ოფიციალური ცნობით, საფრანგეთის მაროკოში მოხდა მოწინავე კოლონიალური ნაწილების ბრძოლა ადგილობრივ ტომების დიდ შეიარაღებ. ძალებთან. ოფიციალური ცნობის თანახმად, ადგილობრივი მკვიდრნი ძალიან დაზარალდნენ და უკან დაიხიეს. საფრანგეთის ჯარის მსხვერპლი შემდეგია: მოკლულია ერთი ოფიცერი, მოკლულია და უკვალოდ დაიკარგა 8 უნტერ-ოფიცერი და 18 ლეგიონერი, დაიჭრა 2 ოფიცერი, 1 უნტერ-ოფიცერი და 10 ლეგიონერი. საფრანგეთის დამხმარე ჯარებში მოკლულია 24 და დაჭრილი 12.

როგორც ჰავასის სააგენტო იუწყება, საფრანგეთის სარდლობამ მაროკოში გამოაქვეყნა ცნობა, რომ საფრანგეთის ჯარებს თავგამოდებული ბრძოლები მოუხდათ ჯიშების აჯანყებულ ტომთან. ჯიშები იძულებულნი გახდნენ დიდი ზარალის შემდეგ უკან დაეხიათ. ფრანგებს მოუკლეს 46 კაცი და დაუჭრეს 22 (ადს).

საფრანგეთის მუშათა დელეგაცია ოდესაში

ოდესა, 3 სექტემბერი. ჩამოვიდა საფრანგეთის მუშათა დელეგაცია 12 კაცის შემადგენლობით. დელეგაციამ დაათვალიერა რამდენიმე მსხვილი საწარმო. დელეგაციის თავმჯდომარემ—ქვის მთლელმა მუშამ ტომბიმ საფრანგეთის პროლეტარიატის სახელით მისასალმებელი სიტყვით მიმართა ოდესის მუშებს და განაცხადა, რომ საფრანგეთში დაბრუნების შემდეგ დელეგატები გააცნობენ საფრანგეთის მუშებს საბჭოთა კავშირის უდიდეს მიღწევებს სოციალისტურ მშენებლობაში. (ადს).

თევფიკ რუშდი-ბეის განცხადება

სტამბოლი, 3 სექტემბერი. პრემიერ ისმეტ-ფაშასთან ახლოს მდგომი გაზეთი „ინკილაბ"-ი აქვეყნებს საგარეო საქმეთა მინისტრის თევფიკ რუშდი-ბეის განცხადებას ახალი იმპერიალისტური ომის საფრთხის შესახებ. სანამ არ შესწყდება სახელმწიფოთა შეჯიბრება შეიარაღებაში,—სწერს რუშდი-ბეი,—სანამ არ გადაწყდება სახელმწიფოთა შორის არსებული სადაო საკითხები, სანამ არ დაკმაყოფილდება ურთიერთ პრეტენზიები, მანამ მსოფლიო მუდამ ომის საფრთხეში იქნება, ეხლანდელ მდგომარეობას შეიძლება ომისათვის მზადების პერიოდი ვუწოდოთ (ადს).

გლეხთა აჯანყებები ჩინეთში

შანხაი, 4 სექტემბერი. გაძლიერებული თეთრი ტერორის მიუხედავად აჯანყებულ გლეხთა მოძრაობა ჩინეთში თანდათან უფრო ვითარდება. ხუნის მაზრაში, ძჟეძიანის პროვინციის სამხრეთ - აღმოსავლეთ ნაწილში, მოქმედებს გლეხთა შეიარაღებული რაზმი, რომელშიაც 800 კაცზე მეტი ითვლება. მაზრის ბევრ ადგილას ეს რაზმი ენერგიულ ბრძოლას აწარმოებს გომინდანის ადგილობრივ განყოფილებებთან, თავს ესხმის პოლიციას, იარაღს აყრევინებს რეაქციონურ ჯარებს და მთელ რიგ პუნქტებში ქმნის საბჭოთა ხელისუფლების ორგანოებს. იუნკანისა და უსის მაზრებში წითელმა რაზმებმა იარაღი აჰყარეს კულაკთა თავდაცვის რამდენსამე რაზმს. ძიანსუსის პროვინციის სუნძიანის მაზრის ბევრ ქალაქში გამოჩნდნენ წითელი გვარდიის რაზმები. (ადს).

მუშათა გამოსვლები

ტულონის მუშების დიდი დემონსტრაცია

პარიზი, 3 სექტემბერი. უნიტარული პროფკავშირების ორგანიზაციის და ტულონის არსენალის მუშათა რევოლიუციონური პროფორგანიზაციის მიერ მოწვეულ მიტინგს დაესწრო ტულონის არსენალის რამოდენიმე ათასი მუშა. მიტინგმა დაადგინა მოითხოვოს ხელფასის საყოველთაო გადიდება და სოცდაზღვევის ანარიცხების გაუქმება. მიტინგის დამთავრების შემდეგ არსენალის მუშებმა გამართეს დემონსტრაცია, რომელსაც შეუერთდა მრავალი ათასი მუშა, დემონსტრაციის მონაწილეთა საერთო რიცხვმა მიაღწია 10.000 კაცს (ადს).

უმუშევართა დემონსტრაციები ჩრდ.-ამერიკის შეერთებულ შტატებში

ნიუ-იორკი, 3 სექტემბერი. „დეილი უორკერ"-ის ცნობით, პროფკავშირული მთლიანობის ლიგის მიერ 1 სექტემბერს ჩიკაგოში გამართულ დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო 10.000 კაცმა, ხოლო გარიში (ინდიანას შტატი) 5.000 კაცმა.

არც ერთი დღე არ უნდა დაიკარგოს

ცენტრალურმა კომიტეტმა მოწოდებით მიმართა ყველა პარტიულ, სამეურნეო, პროფესიონალურ და კომკავშირულ ორგანიზაციებს სრული მომზადებით შეხვდნენ მომავალ სამეურნეო წელს—ხუთწლედის მესამე წელს. ეს მიმართვა, უწინარეს ყოვლისა, გამოწვეულია იმით, რომ ადგილობრივ პარტიულ, პროფესიონალურ და სამეურნეო ორგანიზაციებში და მთელ რიგ ცენტრალურ აპარატებში ჯერ კიდევ არ აქვთ საკმაოდ შეგნებული პასუხისმგებლობა იმ ამოცანებისათვის, რომლებიც დასახულია ჩვენს წინაშე ამ მესამე წელში. ჩვენ ნამდვილად, ბოლშევიკურად არ გაგვიჩაღებია მოსამზადებელი მუშაობა ახალი სამეურნეო წლისათვის.

„ბოლშევიკური მზადება ხუთწლედის მესამე წლის გრანდიოზულ საწარმოო პროგრამის შესასრულებლად—ნათქვამია ცენტრალური კომიტეტის მიმართვაში—გამოიხატება მიმდინარე წლის სამრეწველო-საფინანსო გეგმების აუცილებლად შესრულებაში".

ამავე დროს, ამ უკანასკნელ თვეებში მთელ რიგ მთავარ სამრეწველო რაიონებში შემჩნეულია იმ შეუპოვარი ბრძოლის შესუსტება, რომელსაც აწარმოებდა მთელი ჩვენი ქვეყანა მიმდინარე წლის სამრეწველო-საფინანსო გეგმისათვის. მრეწველობის უმნიშვნელოვანეს დარგებში ამ უკანასკნელ დროს ადგილი აქვს წარმოების რამდენადმე შემცირებას, რაც საფრთხეს უქმნის დასახულ გეგმის მთლიანად შესრულებას.

წარმოების ეს შემცირება შედეგია იმის, რომ ადგილობრივმა ორგანიზაციებმა და აგრეთვე ბევრმა ცენტრალურმა ორგანომ ვერ მიიღეს მხედველობაში ის ცვლილებები, რომლებიც მოხდა სამეურნეო მდგომარეობაში. მთელ რიგ შემთხვევებში ჩვენ ვერ შევძელით საკმაო სისწრაფით შევგუებოდით ამ ცვლილებებს, რის გამო ახალი დამატებითი სიძნელეები შეიქმნა. და ეს იმ დროს, როცა საერთო მდგომარეობა ყველაზე უფრო მეტად ხელსაყრელია სოციალისტური შეტევის გასაშლელად და ყველაზე უფრო მეტად ხელს უწყობს სამეურნეო მშენებლობას სწრაფი ტემპებით.

მუშათა მასების გაძლიერებული აქტივობა, რაც სოციალისტური შეჯიბრების უმაღლეს საფეხურზე აყვანაში გამოიხატება, მუშათა კლასის მტკიცე ნებისყოფა—იბრძოლოს ინდუსტრიალიზაციის მაღალი ტემპებისათვის, რასაც ადასტურებს შემხვედრ სამრეწველო-საფინანსო გეგმის ირგვლივ ფართოდ გაშლილი კამპანია, როგორც პურის, ისე ტექნიკურ კულტურების—ბამბის, შაქრის ჭარხლის და სხვათა კარგი მოსავალი, სოფლად შეცვლილ სოციალური ურთიერთობის პირობები—ყოველივე ეს ძლიერ უწყობს ხელს სამეურნეო განვითარების ტემპების დაჩქარებას.

ჩვენ საშუალება მოგვეცა კიდევ უფრო დავაჩქაროთ არა მარტო მძიმე ინდუსტრიის განვითარება, არამედ აგრეთვე საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობების მშენებლობის საფუძველზე მსუბუქი მრეწველობის ნედლეულის ბაზისის განმტკიცებით უკვე უახლოეს თვეებში შეგვეძლია მივაღწიოთ მნიშვნელოვან შედეგებს ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის წარმოების გაძლიერების საქმეში. ახლო მომავალში სავსებით ხელსაყრელი პერსპექტივები გვაქვს სურსათ-სანოვაგის მომარაგების გაუმჯობესების დარგში, მეცხოველეობის პროდუქტების გამოკლებით.

მომავალ წელში თითქმის 50 პროცენტით უნდა გაიზარდოს სამრეწველო წარმოება, ნამატი პროდუქცია რაოდენობით უთანაბრდება ომის წინა დროის წარმოებას. ეს გეგმები მთელი ჩვენი სამეურნეო მდგომარეობის შედეგია და დასაბუთებულია ჩვენი წინანდელი მიღწევებით ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის, სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის და საწარმოო ძალების განვითარების საქმეში.

ამიტომ გეგმის არა მთლიანად შესრულება სამრეწველო მშენებლობის მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს დარგში აიხსნება არა ობიექტიური მიზეზებით და დაუძლეველი სიძნელეებით, არამედ იმით, რომ მაქსიმალურად ვერ გამოვიყენეთ ყველა შესაძლებლობანი, საკმაო ხელმძღვანელობა ვერ გავუწიეთ მასების გაძლიერებულ აქტივობას, მხედველობაში ვერ მივიღეთ სამეურნეო მდგომარეობაში მომხდარი ცვლილებანი და თავის დროზე ვერ შევეგუეთ ამ ცვლილებებს.

ამის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს მუშა-ხელის ირგვლივ შექმნილი მდგომარეობა. იმ გარემოებამ, რომ პროფესიონალურმა ორგანიზაციებმა და სამეურნეო მუშაკებმა, განსაკუთრებით შრომის კომისარიატის ორგანოებმა თავის დროზე ვერ შეიგნეს ისეთი ფაქტის უდიდესი პოლიტიკური და ეკონომიური მნიშვნელობა, როგორიცაა უმუშევრობის სრულიად მოსპობა, და შესაფერისად ვერ გარდაქმნეს მუშაობა, გამოიწვია მუშა-ხელის ცვალებადობის ზრდა, რაც მუშაობის ძლიერ შეფერხების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი გახდა დონბასში და სხვა მთელ რიგ დიდ მშენებლობებში.

სამეურნეო წლის დამთავრებამდე ერთ თვეზე ნაკლები დარჩა, ეს დრო მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ იმისათვის, რომ ავინაზღაუროთ უკანასკნელი თვეების დანაკლისი და სრულად მომზადებული შევხვდეთ ხუთწლედის მესამე წელს. ამისათვის კი საჭიროა დაუყოვნებლივ მოვუღოთ ბოლო იმ დაბნეულობას და სადემობილიზაციო განწყობილებას, რომელსაც ვამჩნევთ ზოგიერთ ადგილას. უამისოდ ხომ შეუძლებელია ბოლშევიკურად დავრაზმოთ მასები საბრძოლველად და ხელმძღვანელობა გავუწიოთ მათ. სამრეწველო-საფინანსო გეგმისათვის ბრძოლის ტემპების შესუსტება ამჟამად არ შეიძლება სხვანაირად იქნას შეფასებული, თუ არა მემარჯვენე ოპორტუნიზმის გამომჟღავნება პრაქტიკაში. საჭიროა გადაჭრით და დაუზოგავად შევებრძოლოთ გულგატეხის განწყობილებას, რომელიც არსებითად მემარჯვენე გადახრის წყაროებიდან გამომდინარეობს.

სწორედ მემარჯვენე უკლონისტები და მათი ბანის მიმცემი ტროცკისტები ხატავენ საქმეს იმგვარად, რომ სამეურნეო სიძნელეები გამომდინარეობენ ინდუსტრიალიზაციის იმ ტემპებისაგან, რომლებიც ჩვენს ძალებს აღემატება; მათ არ სურთ შეიგნონ, რომ მხოლოდ მთელ ფრონტზე სოციალისტური შეტევა წარმოადგენს ამ სიძნელეების გადალახვის საშუალებას.

ეჭვს გარეშეა, მემარჯვენე ოპორტუნისტები და ტროცკისტები გამოიყენებენ ჩვენს შეფერხებებს სამრეწველო-საფინანსო გეგმის ცალკე დარგებში შემდგომი ბრძოლისათვის პარტიის გენერალური ხაზის წინააღმდეგ. ეს ცდები ულმობელად უნდა უკუვაგდოთ. მემარჯვენე ოპორტუნისტული მერყეობა ამცირებს ჩვენს ბრძოლის უნარიანობას, ხელს უშლის მუშათა კლასის ძალების მობილიზაციას და წარმოადგენს დაბრკოლებას ჩვენს ბრძოლაში სამრეწველო-საფინანსო გეგმისათვის.

ულმობელი ბრძოლა მემარჯვენე და „მემარცხენე" ოპორტუნიზმთან მის ყოველ გამოხატულებაში, მემარჯვენე ოპორტუნისტულ განწყობილებათა დაძლევა—ხუთწლედის მესამე წლისათვის მომზადების წარმატებით გაშლის და მიმდინარე წლის სამრეწველო-საფინანსო გეგმის წარმატებით შესრულების აუცილებელი პირობაა. ეს განსაკუთრებით უნდა გვახსოვდეს ეხლა, როდესაც ჩვენ ხუთწლედის გადამწყვეტ წელში შევდივართ.

საჭიროა პარტიის და კომკავშირის მთელი ძალების და მუშათა კლასის მთელი ძალების დაუყოვნებელი მობილიზაცია. ამაში, როგორც გამოცდილებამ გვიჩვენა, ჩვენი წარმატების საწინდარი.

პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები მოვალენი არიან არ დაჰკარგონ არც ერთი დღე და აამოძრავონ მუშათა აქტივობისა და ინიციატივის ახალი ტალღა. გადაჭრით უნდა აღმოვფხვრათ უდისციპლინობა და მუშაობის ტემპის შენელება. ამას გვავალებს ახალი სამეურნეო წლის დასაწყისამდე დარჩენილი დროის სიმცირე. სექტემბერში მაქსიმალურ შედეგებს უნდა მივაღწიოთ. უნდა ავუხსნათ მუშებს შექმნილი ვითარება და უნდა მივაღწიოთ პროლეტარული აღფრთოვანების ახალ აზვირთებას ბრძოლაში ინდუსტრიალიზაციის ტემპებისათვის.

„სამრეწველო-საფინანსო გეგმა საფრთხეშია. ამით საფრთხეში ვარდება ხუთწლედის მესამე წლის პროგრამა"—ნათქვამია ცენტრალური კომიტეტის მიმართვაში. ჩვენზე, პარტიულ და კომკავშირულ ორგანიზაციებზე და სამეურნეო მუშაკებზე, დამოკიდებულია ამ საფრთხის აცილება. უნდა შევსძლოთ მასების სათავეში ჩადგომა და მთელი ძალღონე მოვახმაროთ სოციალისტური შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესებას და შეჯიბრებაში მუშათა კლასის სულ ახალი და ახალი ფენების ჩაბმას. უნდა გვახსოვდეს, რომ მიმდინარე წლის შედეგების მიხედვით პარტია შეაფასებს მომავალი, მესამე წლისათვის მუშაობის უნარს. თვეზე ნაკლებიღა დარჩა და საჭიროა მით უფრო მეტი ენერგია.

ჩვენ მაქსიმალურად უნდა მოვახდინოთ არსებულ საწარმოო შესაძლებლობათა მობილიზაცია. აქ მოკლე ვადაში შეიძლება თვალსაჩინო შედეგების მიღწევა. დღემდე ხომ ჯერ კიდევ მეტად დაბალია ღამის ცვლათა ნაყოფიერება, დღემდე არ ხდება ცვლიდან ცვლისათვის, დაზგების შეუფერხებლივ გადაცემა, დღემდე არ არის მუშახელის სწორად განაწილება წარმოებაში. მარტო ამ დეფექტების აღმოფხვრა უკვე თვალსაჩინო ეფექტს იძლევა. მხოლოდ ამისათვის საჭიროა სამეურნეო მუშაკებისა და ადგილობრივი ორგანიზაციების მეტი ყურადღება.

უმნიშვნელოვანესი მორიგი ამოცანების რიცხვში ცენტრალურმა კომიტეტმა ცალკე აღნიშნა მუშა-ხელის შემადგენლობის ცვალებადობასთან ბრძოლის ამოცანა. იმის გამო, რომ ამ სფეროში ჩვენ ვითარების ცვლილებები მოვახდინეთ, მივიღეთ ახალი შეფერხებანი. მაგრამ ხომ სწორედ აქ არის შესაძლებელი თვალსაჩინო შედეგების მიღწევა უახლოეს მომავალში იმ პირობით, თუ შევსძლებთ ამ მოვლენასთან ბრძოლის გაძლიერებას, თუ ამ ბრძოლაში ჩავაბამთ თვით მუშათა კლასს და მთელ მუშაობას გარდავქმნით შეცვლილ ვითარებასთან შეფარდებით.

ცენტრალური კომიტეტის მიმართვა აღნიშნავს, რომ პარტიის წევრთა ჯერ კიდევ არა მცირე ნაწილს შეგნებული არა აქვს კომუნისტების როლი და მოვალეობა საწარმოში. ეს შეფასება ავალებს უჯრედებს გადამჭრელ გარდატეხას მიაღწიონ მუშაობაში. კომუნისტები სამრეწველო-საფინანსო გეგმისათვის მებრძოლთა წინა რიგებში უნდა იყვნენ. განა ის ფაქტი, რომ დონბასში კომუნისტების ჯერ კიდევ მეტი ნაწილი ზედაპირის სამუშაოებშია ჩაბმული, არ ამტკიცებს იმას, რომ პარტიის წევრებს შეგნებული არა აქვთ კომუნისტების მოვალეობა გეგმისათვის ბრძოლაში?

და, დასასრულ, საჭიროა მეტი ყურადღება მუშის საჭიროებისადმი. სასურსათო სიძნელენი გვავალებენ მივიღოთ ყოველი ზომა ყველა შესაძლებლობის მობილიზაციისათვის მუშათა მომარაგების გასაუმჯობესებლად. ჩვენში ხშირად მუშაობის უუნარობას პირდაპირ ფარავენ საერთო მითითებით სურსათისა და ფართო მოხმარების საქონლის ნაკლებობაზე. ამიტომ ადგილობრივმა ორგანიზაციებმა მაქსიმალური ყურადღება უნდა მიაქციონ კოოპერატიული აპარატის მუშაობას, რომლის უმსგავსო დეფექტები ხშირად ხელს უშლიან სამრეწველო-საფინანსო გეგმისათვის ბრძოლის წარმატებას. უნდა გავშალოთ მუშათა ფართო კონტროლი კოოპერატიული აპარატის მუშაობაზე, მაგრამ ამავე დროს საჭიროა კოოპერაციისათვის დახმარების გაწევა როგორც პარტიული, ისე პროფკავშირული ორგანიზაციებისა და სამეურნეო მუშაკების მხრივ.

სამრეწველო - საფინანსო გეგმისათვის ბრძოლის გამოცდილებამ გვიჩვენა რამდენად ბევრის გაკეთება შეიძლება, თუ მოვახდენთ მასების აქტივობის მობილიზაციას და მოვაგვარებთ მათდამი ხელმძღვანელობას. დეე გაუხარდეთ ჩვენს მტრებს ცალკე შეფერხებანი ჩვენი სამეურნეო მშენებლობის ფრონტზე. საბჭოთა კავშირის მუშათა კლასმა გვიჩვენა, თუ რამდენად დიდია მისი შემოქმედებითი ენერგია. ეხლაც, პარტიის ხელმძღვანელობით, ჩვენ მივაღწევთ სრულ გამარჯვებას ბრძოლაში მიმდინარე წლის სამრეწველო-საფინანსო გეგმისათვის და ამით უზრუნველვყოფთ სოციალისტური მრეწველობის განვითარების ახალ უმაგალითო ტემპებს ხუთწლედის მესამე წელს—სოციალიზმის მტრების სავალალოდ.

„პრავდა", 4 სექტემბერი.

„პურისათვის ბრძოლა - სოციალიზმისათვის ბრძოლაა" (ლენინი).

დაკონტრაქტებული პურეული მთლიანად უნდა ჩაბარდეს სახელმწიფოს

ახალციხის ყოფილი მაზრის რაიონებში 1-ლი სექტემბრისათვის შეგროვილი იყო დაკონტრაქტებული პურის მხოლოდ 15 პროცენტი

ლაგოდეხის რაიონმა 65 პროცენტით შეასრულა პურის დამზადების გეგმა

დაკონტრაქტებული პურის ჩაბარება უნდა დაჩქარდეს

უკანასკნელ დღეების განმავლობაში პურეულის დამზადების ტემპი ოდნავ გაუმჯობესდა. ძირითადი მარცვლეულობის რაიონმა — კახეთმა, სადაც უნდა დამზადდეს 440.000 ფუთი პურეული, პირველ სექტემბრისათვის დამზადების მთლიანი გეგმა 60 პროცენტით შეასრულა. დამზადებას გაუმჯობესება ეტყობა თბილისის ოლქშიაც. დანარჩენ რაიონებშიც დაკვრითი მუშაობა მიმდინარეობს დამზადების ჩამორჩენილი ტემპების გამოსასწორებლად.

პურის დამზადების მიმდინარეობას საგრძნობლად აფერხებს საკონტრაქტაციო დავალებების დროზე შეუსრულებლობა: სტალინისის რაიონში პურეულის კონტრაქტაციით ჩაბარების გეგმა 20 პროცენტითაც არაა შესრულებული. ახალციხის ყოფილი მაზრის ფარგლებში კონტრაქტაციით უნდა დამზადებულიყო 23811 ფუთი პურეული, სინამდვილეში კი პირველ სექტემბრამდის დამზადებულია 3631 ფუთი. დაახლოვებით ასეთი მდგომარეობაა ყოფილ თბილისის და გორის ოლქებშიც. როგორც ირკვევა, პურის ჩაბარებას გაურბიან ზოგიერთი მეურნეობანი, რომელთაც კოოპერატიულ ორგანოებისათვის პურის ჩაბარების ვალდებულება იკისრეს და საამისო ავანსებიც მიიღეს.

იმ მეურნეობებს, რომელთაც საკონტრაქტაციო ვალდებულება მიიღეს ახლავე უნდა განემარტოთ დაკონტრაქტებული პურეულის დაუყოვნებლივ ჩაბარების აუცილებლობა.

არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ისეთი მდგომარეობის მოთმენა, როდესაც კონტრაქტაციის დამდები მეურნეობანი თავიანთ მოვალეობათა შესრულებამდე ყიდიან პურს კერძო ბაზარზე. ყოველმა მეურნემ მოსავლის აღებისთანავე უნდა გაასწოროს სათანადო ორგანოებთან საკონტრაქტაციო ანგარიშები. ამიერ - კავკასიის ვაჭრობის სახალხო კომისარიატი წინადადებას იძლევა სასტიკი ზომები მიიღონ იმ კონტრაქტანტების წინააღმდეგ, რომელთაც პური კერძო ბაზარზე გააქვთ და მას არ აბარებენ ხელშეკრულების თანახმად.

გარდა ამისა არის უამრავი შემთხვევები, როდესაც ბალეწვას აგვიანებენ კონტრაქტაციით გათვალისწინებული მოსავლის ჩაბარების დაგვიანების მიზნით. ასეთი მოვლენის დაუშვებლობასთან ერთად ყველა მეურნეობებს წინადადება უნდა მიეცეთ, რათა ბალეწვის დამთავრებიდან არა უმეტეს ორი კვირის განმავლობაში დაკონტრაქტებული ნათესების პური ჩააბარონ კოოპერატიულ ორგანოებს.

ამისათვის თვითეულ სოფელში მოწვეული უნდა იქნას მეურნეების კრებები, რომელთაც კონტრაქტაცია აქვთ დადებული; გამორკვეული უნდა იქნას თუ რა მიზეზები აფერხებენ დღემდე პურის ჩაბარებას და თვითეულ მათგანს უნდა მიეცეთ მინიმალური ვადები პურის ჩასაბარებლად.

პურის დამზადების გეგმაში კონტრაქტაციას უდიდესი ადგილი უჭირავს (ამიერ - კავკასიაში დასამზადებელი პურის მთელი რაოდენობის 40 პროცენტი შეგროვებული უნდა იქნეს კონტრაქტაციის წესით). ამისათვის დამზადების ხელისშემწყობ კომისიებმა, კოოპერატიულ ორგანიზაციებმა და პირველ რიგში სოფლის საბჭოებმა უნდა მიიღონ ენერგიული ზომები ამ ჩამორჩენილი საქმის გამოსასწორებლად. რაიონის აღმასკომებმა უნდა მოისმინონ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ სად როგორ მიმდინარეობს დაკონტრაქტებული პურეულის ჩაბარება და ყველა ძალები უნდა მიაშველონ ამ დარგში ჩამორჩენილ სოფლებს.

დრო არ ითმენს. მოსავლის აღება თითქმის უკვე დამთავრებულია. წლევანდელი საშუალოზე კარგი მოსავალი შესაძლებლობას აძლევს კონტრაქტანტებს სახელმწიფოს წინაშე დავალება პირნათლად შეასრულონ.

უნდა მივიღოთ ყველა ზომები დაკონტრაქტებული პურეულის დაუყოვნებლივ ჩასაბარებლად. სხვანაირად შეუძლებელია პურის დამზადების გეგმის შესრულების უზრუნველყოფა.

ა—ი.

კონტრაქტაცია ჩამორჩა

(ახალციხის მაზრა)

ახალციხის მაზრამ აგვისტოს გეგმა 58 პროცენტის გადაჭარბებით შეასრულა: ვაჭრობის სახალხო კომისარიატის საორიენტაციო ციფრი აგვისტოსათვის იყო 7 ათასი ფუთი პური, ხოლო მაზრამ კი დამზადა 11078 ფუთი. რასაკვირველია, მისასალმებელია ასეთი ტემპი და შედეგი ადგილობრივ ორგანიზაციათა მუშაობისა. მაგრამ საინტერესო ხდება იმის გაგება, თუ რომელი სექტორი რამდენადაა ჩაბმული პურის დამზადების საქმეში. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს კონტრაქტაცია, კოლმეურნეობანი და კულაკური მეურნეობა.

მთლიანად მაზრამ უნდა მოგვცეს 40.000 ათასი ფუთი ხორბალი. ამ რაოდენობიდან კონტრაქტაცია იძლევა უდიდეს ნაწილს, ანუ 23.811 ფუთს, კოლმეურნეობანი—400 ფუთს, ხოლო დანარჩენი ნაწილი ანუ 15.789 ფუთი მოდის კულაკურ მეურნეობებსა და თავისუფალ დამზადებაზე.

აღსანიშნავია, რომ მთელი ამ რაოდენობიდან ე. ი. 11.078 ფუთიდან კონტრაქტაციაქმნილ მეურნეობებმა ჩააბარეს მხოლოდ 3.631 ფუთი ანუ 15 პროცენტი კონტრაქტაციიდან მისაღებ მთელი მოსავლისა, — ეს მაშინ, როცა თავისუფალი დამზადება იძლევა 7.447 ფუთს ანუ 48 პროცენტზე მეტს მთელი დასამზადებელი პურეულისა.

რას გვეუბნება ეს ციფრები?

თუ დაგროვებამ ამ პროპორციით იარა, უნდა მივიღოთ ასეთი შედეგი: ან ვერ შესრულდება გეგმა მთლიანად, რასაც გამოიწვევს კონტრაქტაციის გაუნაღდებლობა, ან გეგმა შესრულდება, მაგრამ უმთავრესად თავისუფალი დამზადების ხარჯზე. ცხადია, ასეთი მოვლენა დამაკმაყოფილებლად არ შეიძლება ჩაითვალოს. პურის დამზადების გეგმა ჯერ კიდევ ბევრ ადგილას არაა დაყვანილი კონტრაქტაციაქმნილ მეურნეობამდე, რაც ეწინააღმდეგება ცეკას 26 აგვისტოს დადგენილებას.

შეუძლებელია დაუშვათ, რომ საკონტრაქტაციო ვალდებულება მხოლოდ ქაღალდზე იწერებოდეს და საქმით იგი ვალდებულებათ არავის მიაჩნდეს.

გარდა ამისა ახალციხის მაგალითი მეორე რამეზედაც გვითითებს: თუ სამთვიან კამპანიაში პირველ 15 დღე უკვე თითქმის 50 პროცენტს იძლევა თავისუფალი დამზადებისას, ეს იმას ნიშნავს, რომ საშუალო გლეხთა მასების განწყობილება დამზადებისადმი ზედმიწევნით კარგია; ხოლო თუ ჩვენ საკონტრაქტაციო ვალდებულებებს აუცილებლად დავიყვანთ კონტრაქტაციაქმნილ მეურნეობებამდე და სოფლებამდე, მაშინ ჩვენ გაცილებით გადავაჭარბებთ ვაჭრობის სახკომის საგეგმო ნორმებს.

სწორეთ ამ გარემოებაზე მივუთითებთ ჩვენ, ახალციხის სარაიონო ხელისუფლებას. საერთო შედეგის მიხედვით ტემპი დამაკმაყოფილებელია, მაგრამ საჭიროა იგი ყოველ სექტორზე ერთნაირად ვრცელდებოდეს. თუ ეს ასე მოხდა, მაშინ სრული გარანტია გვექნება ვსთქვათ, რომ დასახული გეგმა დიდის გადაჭარბებით და დანიშნულ დროზე იქნა შესრულებული.

გ. რიონიძე.

მიბაძეთ ლაგოდეხის რაიონს

(ლაგოდეხი)

ლაგოდეხის რაიონში პურის დამზადების კამპანიის ფართოდ გაშლისათვის მასიური მუშაობა ივლისის პირველ რიცხვებში დაიწყო.

პირველად ლაგოდეხში მოწვეული იქნა რაიონის პარტაქტივის კრება. ამ კრებაზე განიხილეს რაიონის საკონტროლო ციფრი, რომელიც ითვალისწინებდა—140 ათასი ფუთი პურის დამზადებას.

კრებამ, პურის დამზადების ეს რაოდენობა მიიღო საორიენტაციოდ, ვინაიდან არსებული საკონტროლო ციფრი გასულ წელთან შედარებით გადიდებულია 100 პროცენტით.

რაიონული პარტაქტივის კრების შემდეგ ყველა უჯრედებში და საბჭოებში ჩატარდა კრებები, სადაც მოხსენებები კეთდებოდა პურის დამზადების მნიშვნელობაზე. შემდეგ სოფლებში მოწვეული იქნა ღარიბთა კრებები მოჯამაგირეებთან ერთად. ჩატარებულია აგრეთვე გლეხქალთა შორის სპეციალური საუბრები — პურის დამზადების კამპანიის მნიშვნელობაზე.

ყველა ამის შემდეგ მოწვეულ იქნა სასოფლო ყრილობები, სადაც განიხილეს და მიიღეს რაიონის მიერ განაწილების საკონტროლო ციფრები.

გეგმების დამტკიცების შემდეგ, ყრილობაზე გამოჰყვეს პურის დამზადების დამხმარე კომისიები და ბრიგადები. ბრიგადებში გამოყოფილ იქნენ გლეხის ქალები, საბჭოს წევრები და სოფლის აქტივი, რომლებმაც ურთი-ერთ შორის გაინაწილეს ფუნქციები. ქალებს დაევალათ მეთვალყურეობა პურის დამამზადებელ პუნქტებზე, ტომრების დაკერება, სამრეწველო საქონლის განაწილებაზე მეთვალყურეობა და სხვა.

გარდა ამისა ყველა სოფლებში გამოსვლა იწყო კედლის გაზეთების სპეციალურ ნომრებმა, სადაც შუქდებოდა პურის დამზადებასთან დაკავშირებული საკითხები და მისი შემაფერხებელი მიზეზები.

გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება. სოფელი-სოფელს იწვევდა შეჯიბრებაში და კოლექტივი-კოლექტივს. უკანასკნელ ხანებში მოწყობილი და წახალისებული იქნა ინდივიდუალური შეჯიბრებაც. ს. ბეშკენტის და შრომის (სოფელია) კერძო მეურნე გლეხები ერთიმეორეს იწვევდნენ პურის მეტი რაოდენობით ჩაბარებაში.

მასიური მუშაობის ამ ახალ ფორმებმა და მისმა მოხერხებულად გატარებამ შეაძლებინა ლაგოდეხის რაიონს პურის დამზადების ტემპების გაუმჯობესება (პირველ სექტემბრისათვის მთელს რაიონში დამზადებულია საერთო გეგმის 66 პროცენტი).

ლაგოდეხის რაიონმა ეს მიღწევები უნდა განამტკიცოს და გააფართოვოს; მეზობელ რაიონებმა კი ლაგოდეხელ მუშაკების ეს სასარგებლო გამოცდილება ფართოდ უნდა გამოიყენონ.

„კომუნისტი"-ს ბრიგადა.

წითელი ქარავნებით

(ლაგოდეხის რაიონი)

ლაგოდეხის რაიონში პირველი აგვისტო გამოცხადებული იყო პურის დამზადების დღეთ. ამ დღეს რაიონი საზეიმო ხასიათს ატარებდა; ყველგან ნახავდით გამოფენილ წითელ დროშებს და დამზადებული პურის დიდ ქარავნებს, პურის ჩაბარება ხდებოდა მასიურად.

აფენის, ვარდისუბნის და ლაგოდეხის სასოფლო საბჭოებმა მოაწყვეს წითელი ქარავნები. პურის ტომრებით სავსე ურმებს გლეხობა წითელი დროშებით და სიმღერებით აცილებდა დამამზადებელ პუნქტებამდე.

28 აგვისტოს, ყარსუბნის გლეხებმა, კომორგანიზაციის და საბჭოს ინიციატივით, მოაწყვეს წითელი ქარავანი. ამ დღეს სოფ. ყარსუბნის გლეხობამ დამამზადებელ პუნქტს ჩააბარეს—1.500 ფუთი პური.

წითელი ქარავნების მოწყობა გრძელდება; მასიური ენტუზიაზმი იზრდება; დამზადების გეგმა გადაჭარბებით სრულდება.

გაზ. „კომუნისტის" ბრიგადა.

დამზადებულია 92.886 ფუთი, გეგმა შესრულებულია 66 პროცენტით

(ლაგოდეხის რაიონი)

საკონტროლო ციფრების მიხედვით, ლაგოდეხის რაიონმა უნდა დაამზადოს 140 ათასი ფუთი პური. დამზადების ეს რაოდენობა განაწილებულია რაიონში შემავალ რვა სასოფლო საბჭოებზე შემდეგნაირად: კაბალის სასოფლო საბჭომ უნდა დაამზადოს 5.000 ფუთი პური, ბაისუბნის საბჭომ—20.000 ფუთი, ბუდიონოვკის საბჭომ—10.000 ფუთი, ვარდისუბნის საბჭომ—25.000 ფუთი, ლელიანის საბჭომ—20.000 ფუთი, ყარსუბნის საბჭომ—20.000 ფუთი და აფენის საბჭომ—30.000 ფუთი.

სასოფლო საბჭოებზე განაწილებული საკონტროლო ციფრები თავის მხრივ განაწილებულია საბჭოებში შემავალ სოფლებზე.

სოფლებამდე გეგმები თავის დროზე იყო დაყვანილი. პურის დამზადების მასიური კამპანია გაიშალა 5 ივლისიდან, რაც შესაძლებლობას აძლევს რაიონს 140 ათასი ფუთი პური თავის დროზე და უფრო ადრეც შეაგროვოს. პირველ სექტემბრამდე რაიონს დამზადებული ჰქონდა 92886 ფუთი პური. საკონტროლო ციფრები აღნიშნულ დროისათვის შესრულებული იყო 66 პროცენტით.

თუ შევადარებთ პურის დამზადების ტემპებში, ლაგოდეხის რაიონს —თელავის და ყვარელის რაიონებთან, დავინახავთ, რომ ლაგოდეხის რაიონი, ზემო აღნიშნულ რაიონებს (განსაკუთრებით თელავის რაიონს) გაცილებით წინ უსწრებს.

„კომუნისტი"-ს ბრიგადა.

ვასრულებთ გეგმას

(ქვემო მაჩხაანი, სიღნაღის რაიონი)

ქიზიყში წელს ნაკლები მოსავალი მოვიდა. განსაკუთრებით ალაზნის ველზე საშუალო მოსავალი უდრიდა 30 პროც. ქვ. მაჩხაანის სამომხმარებლო კოოპერატივის რაიონში შემავალ სოფლებში (სასოფლო საბჭოს ტერიტორია) უნდა დამზადდეს გეგმით 20.700 ფუთი პური.

თვითეულ სოფელს აქვს მიცემული თავისი საკონტროლო ციფრი. დამზადება პირველ ხანებში მიმდინარეობდა ნელი ტემპით, უკანასკნელ 10 დღის განმავლობაში დამზადების ტემპი გაიზარდა.

გეგმით გათვალისწინებულ 20.700 ფუთიდან 30 აგვისტოსათვის დამზადებული არის 17.613 ფუთი.

თუ ავიღებთ პროცენტების მიხედვით დამზადებული არის მთელი გეგმის 81 პროც.

ამჟამად დამზადება სუსტად მიმდინარეობს სოფ. არბოშიკში, მირზაანში და ქვ. მაჩხაანში. ადგილობრივ პარტუჯრედების ხელმძღვანელობა ხსენებულ სოფლებში სუსტი არის. რაიონიდან მიმაგრებულ ამხანაგების გამოცვლა ძალიან ხშირად ხდება, რაც არ არის სწორი. კვირაში ორჯერ იცვლება მიმაგრებული ამხანაგი.

კომკავშირის უჯრედებმა თავიანთი დასახული გეგმა პურის დამზადებაში ვერ შეასრულეს. პროფ. კავშირების მუშაობა და დახმარება პურის დამზადებაში სრულიად არა სჩანს და მათ არც არაფერი გაუკეთებიათ.

სამომხმარებლო კოოპერატივის აპარატი მოქნილი არის. პურის მიმღები პუნქტები დილიდან საღამომდის მუშაობენ. სამრეწველო საქონლის გაცემის ნორმები დაცული არის. იმედი გვაქვს, რომ დამზადების გეგმას ამ დღეებში შევასრულებთ.

უზუნდარელი.

ს. ოსიაურის სახ.-სამ. არტელი ზეიმით აბარებს პურს სტალინისის დამამზადებელ პუნქტს

„თვითმომარაგებას" ეწევა

(გორი)

დიდი ხანია, რაც ე. შიშნიაშვილი იმყოფება გორის ოლქში ცეკავშირის ინსტრუქტორის სახით, მაგრამ მის საქმიანობაზე არავინ არაფერი იცის. სამაგიეროთ მას იცნობენ, როგორც უმოქმედოს კოოპერატ. მუშაკთა შორის.

ამის დასამტკიცებლად მოვიყვანოთ ზოგიერთი ფაქტები.

მოსავლის აკრეფისა და პურის დამზადების მიმდინარე კამპანიის ჩასატარებლად გორის პარტრაიკომის მიერ სხვა მომუშავეთა შორის ე. შიშნიაშვილიც კოოპერაციის ხაზით მიმაგრებული იყო ერთ - ერთ პურის საწარმოო რაიონზე, მაგრამ დავალების შესრულების ნაცვლად შიშნიაშვილი ნათესავებში დასეირნობდა.

დავასახელოთ მეორე მაგალითი.

პურის დამამზადებელ ბრიგადამ კოოპერატივის სამრეწველო სამომხმარებლო საქონლით მომარაგების საქმის გამორკვევის დროს 26 ივლისს სოფელ ახალსოფლის კოოპერატივში შემთხვევით აღმოაჩინა ერთი „საიდუმლო" ყუთი, რომელიც სხვადასხვა დეფიციტიანი საქონლით იყო გავსებული.

ყუთში აღმოჩნდა 10 კილო ნატეხი შაქარი, 10 კილო ბრინჯი, 16 მეტრი საუკეთესო ხარისხის „მადაპოლამის" მიტკალი და 5 ნაჭერი საპონი, რომელსაც გორის „ეპოს" საწყობის გამგე ნოე ანდღულაძეს გამოუგზავნია ახალსოფლის კოოპერატივის საქონელთან ერთად შიშნიაშვილის სახელზე — მისი (შიშნიაშვილის) ნათესავზე გადასაცემად.

სხვათა შორის ამ „საიდუმლო ყუთის" აღმოჩენას დაესწრნენ — გორის პარტკომის მდივანი ამხ. კალანდაძე, „ეპოს" გამგეობის თავმჯდომარე მამულაშვილი და სხვა პ.-მგ. ამხანაგები.

ამრიგად შიშნიაშვილს კოვზი ნაცარში ჩაუვარდა. ამ ამბავმა მოსახლეობაში დიდი აღშფოთება გამოიწვია კოოპერატივების უღირს მუშაკების მიმართ. გლეხები ამბობენ: საქონელს თვითონ ინაწილებენ და ჩვენ კი უარს გვეუბნებიანო.

ჩვენ გვგონია, როცა შიშნიაშვილმა შორეული მოკეთისათვის ასეთი კომბინაციის გაკეთება შესძლო, იგი ახლო ნათესავისათვის უფრო „ხვავიან მომარაგებას" ჩაატარებს.

საუბედუროდ შიშნიაშვილი პარტიის კანდიდატია. საჭიროა მას საბოლოოდ „გაუსწორდეს ანგარიში".

ავანგარდი.

მუშკორთა სრულიად საკავშირო ლაშქრობა ხუთწლედის მესამე წლის შესახვედრად

არც ერთი მუშკორი და არც ერთი დამკვრელი მუშა მუშკორთა ლაშქრობის გარეშე

მუშკორთა განგაშისათვის მზადება ადგილებზე

მუშკორთა საკავშირო ლაშქრობა, ხუთწლედის მესამე წლის შესახვედრად უკვე დაიწყო. გაზ. „ტრუდ"-ის მოწოდებას ლაშქრობის შესახებ, თბილისის ფაბრიკა-ქარხნების მუშკორები აღფრთოვანებით შეხვდნენ, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ადგილობრივი პარტიული და პროფესიონალური ორგანიზაციები რატომღაც გულცივად ეკიდებიან მუშკორთა ლაშქრობის საკითხს.

„ტრუდ"-ის მოწოდების გამოქვეყნებისთანავე, ფაბრიკა-ქარხნებთან არსებულ კედლის და ნაბეჭდ გაზეთების სარედაქციო კოლეგიები შეუდგენ მუშკორთა განგაშისათვის მზადებას. მოიწვიეს მუშკორთა აქტივის კრება მუშკორთა საგუშაგოების ჩამოსაყალიბებლად, მაგრამ ცუდი ხელმძღვანელობის გამო ეს კრებები ბევრ ადგილას ჩაიშალა. თვით სტალინის სახელობის ორთქლმავალთა და ვაგონების შემკეთებელ ქარხანაშიაც კი, რომელიც აერთიანებს დაახლოებით 3.500 მუშა-მოსამსახურეს და სადაც მუშათა შემადგენლობის 90 პროც. დამკვრელად ითვლება, მუშკორთა საერთო კრებაზე გამოცხადდა მხოლოდ 5 მუშა. კრებას არც პროფორგანოს და არც პარტიული ორგანოების წარმომადგენელი არ დასწრებია. ამიტომ კრება გადაიდო მეორე დღისათვის. ასევე მოხდა მთელ რიგ სხვა ფაბრიკა-ქარხნებშიც.

მიუხედავად ასეთი დაბრკოლებებისა, ადგილობრივმა კედლის გაზეთების სარედაქციო კოლეგიებმა შესძლეს დაეარსებინათ მუშკორთა საგუშაგოები განგაშის ასატეხად.

4 სექტემბრისთვის ასეთი საგუშაგოები დაარსებული იყო შემდეგ საწარმოებში: ტყავის ფაბრიკაში, ბამბის ფაბრიკაში, თამბაქოს ფაბრიკა „პროლეტარ"-ში, როზა ლუქსემბურგის სახელობის ფაბრიკაში, თბილისის დეპოში, სავაგონო პარკში, ორთქლმავალთა და ვაგონების შემკეთებელ ქარხანაში, ტრამვაიში, ფეხსაცმელების ფაბრიკაში, საპონზეთის ქარხანაში, კალინინის სახელობის ქარხანაში, მაუდის ფაბრიკაში, მოძრაობის დარგში, მკერავის მეორე ფაბრიკაში და ძეხვების ფაბრიკაში. ამგვარად შეიძლება ითქვას, რომ თბილისის დიდ საწარმოების უმრავლესობაში, მუშკორთა საგუშაგოები უკვე ჩამოყალიბებულია, თუმცა ბევრ მათგანში ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული ლაშქრობის ხელმძღვანელი შტაბი. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ამ საგუშაგოების დაარსება არ მომხდარა მასიურად, ბევრმა მუშამ არც კი იცის რა არის მუშკორთა ლაშქრობა და რისთვის არის იგი საჭირო. ასე, რომ ამ მასიური კამპანიის პირველი ხუთდღიური ჩატარდა ფართო მასების მობილიზაციის გარეშე.

მეორე ხუთდღიურში დაუყოვნებლივ უნდა გამოსწორდეს ეს ნაკლოვანებანი. ლაშქრობის ადგილობრივმა შტაბებმა ფართოდ უნდა გააცნონ მუშებსა და, განსაკუთრებით კი, მუშა დამკვრელებს, მუშკორთა საკავშირო ლაშქრობის ამოცანები. თვითეულმა მუშამ უნდა იცოდეს რისთვის არსდება მუშკორთა საგუშაგოები საწარმოებში, რისთვის სტეხენ განგაშს მუშკორები და სხვ.

თვითეული დამკვრელი — მუშკორია და თვითეული მუშკორი—დამკვრელი. ამიტომ მუშკორთა საგუშაგოებში ფართოდ უნდა იქნან ჩაბმული დამკვრელი მუშებიც. — არც ერთი დამკვრელი მუშა და არც ერთი მუშკორი, მუშკორთა ლაშქრობაში მონაწილეობის გარეშე!—ფართო მუშათა მასების მობილიზაცია ლაშქრობის ირგვლივ, უზრუნველჰყოფს 1930-31 წლის საფინანსო სამრეწველო გეგმის დაზგამდე დაყვანას და მის გადაჭარბებით შესრულებას.

გ. ნ.

ცენტრალური შტაბის მეორე ბიულეტენი

მოსკოვი, 4 სექტემბერი. საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხეებიდან „ტრუდ"-ს მოსდის მუშკორთა მოწოდების გამოძახილი. მუშკორთა ლაშქრობასთან შეერთების შესახებ ცნობა მიღებულია „ბაკინსკი რაბოჩი"-ს, „ლენინგრადსკაია პრავდა"-ს, „ბორბა"-ს (სტალინგრადი), „კრასნი სევერ"-ის (ვოლოგდა) რედაქციებისაგან, დონბასის კუზბასის, ამხ. სტალინის სახელობის ქარხნის (ზლატოუსტი), ქარხანა „კრასნი ოქტიაბრ"-ის (სტალინგრადი) და სხვა ადგილების მუშკორებისაგან. ურალში „ურალსკი რაბოჩი"-ს ხელმძღვანელობით დიდი ენთუზიაზმით და უდიდესი ენერგიით სწარმოებს სოციალისტური შეტევა, რომლის გასატარებლად დარაზმულია ოლქის ყველა მუშკორები და კედლკორები. „ბორბა"-ს რედაქცია „ტრუდი"-ს რედაქციასთან არსებულ ცენტრალური შტაბის შემადგენლობაში გზავნის სტრაქტორო ქარხნის ერთ მუშკორს. „ჩერვონი ლუზნენ"-ის რედაქცია იუწყება:

„პირველმა დღეებმავე დაამტკიცეს, რომ მუშკორთა ლაშქრობამ სავსებით გაამართლა თავისი თავი. მუშკორების აქტივობა ორმაგი გახდა, კედლის გაზეთებმა იწყეს გამოფხიზლება, მუშები აქტიურ მონაწილეობას იღებენ საკონტროლო ციფრების განხილვაში, რედაქციამ მობილიზაცია უყო ყველა თანამშრომლებს და მიამაგრა წარმოებას ლაშქრობის ჩასატარებლად იმ ვარაუდით, რომ ყოველ ხუთი დღის შემდეგ წარმოებაში სამუშაოდ გაიგზავნოს რედაქციის ახალი მუშაკი. ყველა საწარმოში იქმნება მუშკორთა ბრიგადები და პოსტები და ეწყობა დეკადა წინადადებების შესაკრებად".

ცენტრალური შტაბი.

ლაშქრობის უახლოესი ხუთდღიურის ამოცანები

(მუშკორთა სრულიად საკავშირო ლაშქრობის ცენტრალური შტაბის მესამე ბიულეტენი)

მოსკოვი, 4 სექტემბერი. მუშკორების პირველი სრულიად საკავშირო განგაშის ღრმად მახლობელი ხუთდღიურის განმავლობაში უნდა გადაიქცეს მუშკორების გაფართოებული ბრძოლა შრომის დისციპლინისათვის და ერთმართველობის განმტკიცებისათვის; უთაურობის, გაცდენის და შრომის დეზერტირობის წინააღმდეგ. მუშკორები უნდა ჩაუდგნენ სათავეში მასიური ზეგავლენის ყველა ღონისძიებათა გამოყენებას შრომითი უთადარიგობის კონკრეტულ მატარებელთა, დღეების გამცდენთა და წარმოების ბოროტ დეზერტირთა წინააღმდეგ, უნდა გამოიყენონ მასიური მუშაობის ყველა ფორმები, რომლებიც ნაცადი არიან მოწინავე საწარმოთა პრაქტიკაში, უნდა გამოაშკარავონ გაცდენის მიზეზები და გამცდენელთა მიმართ დააწესონ მუდმივი კონტროლი, რათა ვერც ერთმა გამცდენელმა ვერ შესძლოს თავი დააძვრინოს პასუხს შეკითხვაზე—რად გააცდინა; მუშკორები აწყობენ გამცდენელთა შავ სალაროს, გამცდენელთა ცოლების კრებებს, პიონერთა დემონსტრაციებს გაცდენის წინააღმდეგ, რევოლიუციონურ ტრიბუნალებს ცეხში, გამცდენელთა სამარცხვინო სკამს, ბოროტ გამცდენელთა ბოიკოტს და სხვა. მუშკორები გამოდიან ინიციატორად მუშათა თვითვალდებულებისა პროლეტარული საზოგადოებრიობის წინაშე, რომ იმუშავებენ მოცემულ საწარმოში განსაზღვრულ ვადაზე არა ნაკლები ხნის განმავლობაში. ყველა ცეხებმა უნდა დაარსდეს კედლის გაზეთები „ხარკოვსკაია ვაგრანკა"-ს ტიპის ან სხვა ისეთი მოწინავე ტიპის მიხედვით, რომელიც საშუალებას იძლევა ყოველდღიურად მოთავსდეს ცოცხალი მასალა.

მუშკორთა ლაშქრობის ცენტრალური შტაბი სთხოვს „ურალსკი რაბოჩი"-ს რედაქციას სასწრაფოდ გადაგზავნოს მასალა მუშკორთა მასიურ მუშაობაზე სოციალისტურ შეტევაში. ყველა სხვა რედაქციებს შტაბი სთხოვს რეგულიარულად გადაუგზავნონ მას ცნობები ყოველი მნიშვნელოვანი ინიციატივის შესახებ და შეიტანონ წინადადებები მუშკორთა სრულიად საკავშირო ლაშქრობაში გამოსაყენებლად.

ცენტრალური შტაბი.

ლაშქრობისათვის მზად ვართ

გუშინ საღამოს, ჩვენი რედაქციის ბინაზე შესდგა გაზეთ „კომუნისტი"-ს დამკვრელ მუშკორებისა და ადგილობრივ კედლის გაზეთების სარედაქციო კოლეგიების წარმომადგენლების გაერთიანებული კრება. კრებაზე მუშკორთა სრულიად საკავშირო ლაშქრობის შესახებ, ხუთწლედის მესამე წლის შესახვედრად, მოკლე მოხსენება გააკეთა ამხ. ვ. ნანუაშვილმა. მომხსენებელმა გააცნო დამსწრეთ გაზეთ „ტრუდი"-ს მოწოდება, მუშკორთა სრულიად საკავშირო ლაშქრობის ამოცანები ხუთწლედის მესამე წლის შესახვედრად და აღნიშნა, რომ არც ერთი მუშკორი და არც ერთი დამკვრელი მუშა არ უნდა დარჩეს ამ ლაშქრობაში მონაწილეობის გარეშე. ლაშქრობის ამოცანაა ფართოდ ჩააბას მუშათა მასები 1930-31 სამეურნეო წლის საფინანსო-სამრეწველო გეგმის და შემხვედრ გეგმის დამუშავებაში, გაძლიერდეს ბრძოლა შრომის დისციპლინის განმტკიცებლად, ერთმმართველობის განხორციელებლად, სამუშაო დღეების უმიზეზოდ გაცდენის წინააღმდეგ და სხვ.

დამკვრელი მუშკორები აქტიურად უნდა ჩაებნენ ადგილობრივ მასიურ მუშაობაში და ხელს უწყობდნენ სამრეწველო გეგმის გადაჭარბებით შესრულებას. საამისოდ ყველა ქარხნებთან და ყველა საწარმოებში უნდა ჩამოყალიბდეს მუშკორთა მეთვალყურე საგუშაგოები, რომლებიც ყოველ ხუთ დღეში სტეხავენ განგაშს წარმოების ამა თუ იმ საკითხებზე. როგორიც არის შრომის დაცემა საწარმოო თათბირების მუშაობა, ლითონთან და სიმულაციასთან ბრძოლა, კულტგანმანათლებელი მუშაობა, მუშათა მომარაგება და სხვ.

კრებაზე სიტყვებით გამოვიდა რამოდენიმე მუშკორი, რომლებმაც სურვილი განაცხადეს ლაშქრობაში მონაწილეობის შესახებ და ამავე დროს აღუთქვეს კრებას, რომ ისინი გარდა თავიანთ თავისა, ფართოდ ჩააბმენ ამ ლაშქრობაში ადგილობრივ დამკვრელ მუშებს და მუშა-კორესპონდენტებს.

კრებაზედვე მუშკორთა მეთვალყურე საგუშაგოები ჩამოყალიბდა შემდეგ საწარმოებთან:

ამხ. სტალინის სახელობის ორთქლმავალთა და ვაგონების შემკეთებელ ქარხანაში, საგუშაგო № 1. გ. ბარბაქაძე, ხ. ჩხეიძე, ქანთარია და გალდავა. საგუშაგო № 2. ამხ. ქოიავა, ჯლარკავა და ხალუქაძე. საგუშაგო № 3. ამხ. ხებრელაშვილი, ნატროშვილი, ჯავახაძე და ზაალიშვილი. სავაგონო პარკი—საგუშაგო № 4. ამხ. ბაზღაძე, გოგიაშვილი და ნოცუბიძე. თბილისის დეპო—საგუშაგო № 5. შალიკო მიქაძე და ვ. თუადოიშვილი. მოძრაობის დარგი—საგუშაგო № 6. ამხ. იოსელიანი, ნაზარბეგოვი, ასიდორე გოგობერიძე და ბარამიძე. ტყავის პირველი ქარხანა—საგუშაგო № 7. ამხ. ყიფიანაშვილი და კირაკოზაშვილი. თბილისის ტრამვაი—საგუშაგო № 8. ამხ. კეკელია და შინატეხელი. პირველი სტამბა—საგუშაგო №9. ამხ. მეფარიშვილი. სტამბა „კოლექტივი"—საგუშაგო № 10. ამხ. აკაკი იმნაძე და მელიძე. კალინინის სახელობის ქარხანა—საგუშაგო № 11. ამხ. შ. ნავთლუღელი. ძეხვის ფაბრიკა—საგუშაგო № 12. ამხ. ჭურხული, აგურის ქარხანა—საგუშაგო № 13.—ამხ. ბოკუჩავა.

დასასრულ კრებამ დაავალა მოგუშაგე მუშა-კორესპონდენტებს, ადგილობრივ დამკვრელ მუშებში და მუშკორებში ჩაატარონ ფართო ახსნა-განმარტება მუშკორთა საკავშირო ლაშქრობის ამოცანების ირგვლივ და ჩააბან თავიანთ რიგებში ახალი დამკვრელები.

ბაღდათის ტყეების დამუშავება

დღეს ბაღდათის რაიონში მიემგზავრება ამიერ-კავკასიის სატყეო ტრესტის სპეციალისტთა კომისია ამხ. ნ. ბრეგვაძის ხელმძღვანელობით. კომისიაში შედიან ტრესტის მთავარი ინჟინერი გ. ჟვალიანი, კონსულტანტი ა. ტრიფონოვი და გერმანიიდან მოწვეული მეტყევე სპეციალისტი შან ბაუერი.

კომისიას დაევალებული აქვს შეისწავლოს ბაღდათის სატყეო აგარაკები და შეიმუშაოს გეგმა ზოგიერთ აგარაკებში სამუშაოების დაწყების შესახებ. ამავე დროს კომისიამ უნდა აარჩიოს ადგილები სახერხი ქარხნების ასაგებად.

ბაღდათის ტყეებში მოიპოება როგორც წიწვიანი, ისე ფოთლოვანი ჯიშები. ამავე ტყეებში არის აგრეთვე ე. წ. სარეზონანსო ნაძვის ჯიში, საიდანაც ამზადებენ სხვადასხვა მუსიკალურ ინსტრუმენტებს. აღნიშნული ტყეების ექსპლოატაცია, რაც გამოიწვევს ერთის მხრივ ადგილობრივ ბაზრის მოთხოვნილებათა და მეორე მხრივ ხე-ტყის ექსპორტის გაძლიერებით, დაწყებული უნდა იქნეს მიმდინარე სამეურნეო წლის დასასრულს, ე. ი. ოქტომბრისათვის.

მომავალ სამეურნეო წელს ბაღდათის ტყეებში სატყეო ტრესტმა უნდა დაამზადოს 100.000 ცალი წიფლის შპალი ამიერ-კავკასიის რკინის გზის უწყებაზე გადასაცემად.

ბაღდათის ტყიდან ხე-ტყის გამოსატანი გზები გაყვანილი იქნება შრომის ბირჟის ხარჯით.

კლუბი-სამკითხველოები

მომავალ წლიდან განათლების სახალხო კომისარიატი სოფლად არსებულ სამკითხველოებს გადააკეთებს კლუბ-სამკითხველოებად.

გარდა ამისა მთელ საქართველოში 1930-31 წელში გაიხსნება 691 ახალი კლუბ-სამკითხველო. ასე რომ 1931 წლის დამლევს საქართველოში სულ იქნება 1382 კლუბ-სამკითხველო.

ეროვნულ უმცირესობათათვის მოეწყობა 97 კლუბ-სამკითხველო, აქედან 29 იქნება სომხური, 12 თურქული, 2 ბერძნული და 1 ქურთული. ყველა კლუბ-სამკითხველოს ექნება საკუთარი ბიბლიოთეკა.

კლუბ-სამკითხველოების მოწყობასთან დაკავშირებით, გაძლიერებული იქნება რადიოფიკაციისა და კინოფიკაციის საქმე.

მომავალ წლიდან საქართველოში მოეწ- 165 წერტი მოეწყობა კოლმეურნეობათა რაიონებში. ყოველ კლუბ-სამკითხველოს-ყობა 690 რადიო ჩადგმული წერტი, აქედან თან დაიდგმება რადიო-მიმღები აპარატი.

გარდა ამისა რაიონებში მოეწყობა მოძრავი კინოები, ხოლო მსხვილ კოლექტივებში მუდმივი კინო-პუნქტები.

მომავალ წელს მთელ საქართველოში მოძრავ კინოთა რიცხვი აყვანილი იქნება 140-მდე. ამასთან ერთად დიდი ყურადღება მიექცევა რევოლიუციონურ და აღმზრდელობითი მნიშვნელობის სურათების გადაღებას, რისთვისაც უკვე მიღებულია ზომები.

„ხუთწლიანი გეგმა—4 წელიწადში"

სოხუმი. 4 სექტემბერი. სახელმწიფო ბანკის ადგილობრივი განყოფილების ცნობებით აფხაზეთში ხელისმოწერა სესხზე „ხუთწლედი 4 წელიწადში" ჩამოყალიბებულია 156.815 მანეთზე. ჩამოუყალიბებელი ხელმოწერილი თანხები დარჩა 52.290 მანეთის. სულ სახელმწიფო ბანკში შეტანილია 9.134 მანეთი. მაზრებიდან პირველი ადგილი უჭირავს კოდორის მაზრას, უკანასკნელი—გაგრის მაზრას. კოლექტიური ხელისმოწერა სოხუმში წარმატებით ჩატარდა. ხელისმოწერამ 24 პროცენტით გადააჭარბა ორი კვირის საშუალო ხელფასის კონტინგენტს.

აგვისტოს განმავლობაში სახელმწიფო ბანკის განყოფილებამ გასცა 4.600 მანეთის მოგება ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხზე (ადს).

ქუთაისი, 4 სექტემბერი. ყოფილი ქუთაისის ოლქის ტერიტორიაზე ხელისმოწერა სესხზე „ხუთწლედი 4 წელიწადში" მთავრდება. ზოგიერთი კოლექტივები და ადგილები ობლიგაციებს ნაღდ ფულზე იძენენ. ცენტრიდან მიღებული 50.000 მანეთის ობლიგაციები საკმაო არ აღმოჩნდა. სესხის გავრცელების კამპანიაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ ყველა საზოგადოებრივი ორგანიზაციები. სესხზე ხელისმოწერამ უკვე 277.600 მანეთი შეადგინა. გამოკვლევამ ცხადჰყო, რომ რეალიზაციის საქმეში ჩამორჩენილნი არიან ჩხარის, ონის და სამტრედიის რაიონები. კერძოდ თითქმის არაფერი გაკეთებულა პატრიკეთის, წყალტუბოს და საზანოს სოფლის საბჭოებში. სესხის საინსტრუქციო მასალა ამ სოფლის საბჭოებში გაუვრცელებლად ეწყო.

მატარებლის დამტვრევა სად. სკრაში

დაიმსხვრა ორთქლმავალი, სა ბარგო ვაგონი და 1 საკლასო ვაგონი

გუშინ დილის 6 საათსა და 26 წუთზე სადგ. სკრაში დაიმტვრა ფოთიდან მომავალი სამგზავრო მატარებელი. თბილისში მიღებული ცნობებით კატასტროფა შემდეგ პირობებში მოხდა:

დილით თბილისისაკენ მომავალი სამგზავრო მატარებელი № 47 შემოვიდა სად. სკრაში. სემაფორი ღია იყო. მოახლოებული ორთქლმავლის წინ მორიგე მეისრემ გადასწია ისარი და გაქანებული ორთქლმავალი გადაიყვანა მეორე ხაზზე, ე. ი. იმ მიმართულებით, რომელიც მეისრის თავისუფალი ეგონა. მატარებლის წინა ნაწილი წავიდა ერთ ხაზზე, ბოლო ნაწილი კი მეორეზე. ორთქლმავალი შეიჭრა მიწაში. გადაბრუნდა და დაზიანდა საბარგო ვაგონი და ერთი საკლასო ვაგონი. დაშავდა რამოდენიმე მოქალაქე.

კატასტროფის შესახებ ცნობის მიღებისთანავე სკრაში გაემგზავრნენ ამიერ-კავკ. რკ. გზ. გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. პ. ორჯონიკიძე, რკ. გზ. სამმართველოს საექსპლოატაციო განყოფილების უფროსი ინჟ. გვერდწითელი და სპეციალური კომისია, რომელსაც უნდა გამოერკვია კატასტროფის მიზეზები.

გუშინ საღამოს კომისია დაბრუნდა თბილისში.

როგორ მოხდა კატასტროფა

ამიერ-კავკ. რკ. გზ. გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. პ. ორჯონიკიძემ, რომელიც ხელმძღვანელობდა კატასტროფის მიზეზების გამომკვლევ კომისიის მუშაობას, ჩვენს თანამშრომელს შემდეგი აცნობა:

— სკრაში მომხდარი კატასტროფა მართლა არაჩვეულებრივია. ორთქლმავალი სანახევროდ ჩაფლულია მიწაში. ხავსებით დამსხვრეულია საბარგო ვაგონი, საიდანაც დაუზიანებელი არ გადარჩენილა თითქმის არც ერთი კილოგრამი ბარგი. ხავსებით დამსხვრეულია აგრეთვე მაგარი საკლასო ვაგონი, რომელსაც ბორბლები ზემოთ აქვს მოქცეული. არც ორთქლმავალი, არც საბარგო ვაგონი და არც საკლასო ვაგონი აღარ გამოდგება.

აღსანიშნავია, რომ საკლასო ვაგონი სავსე იყო მგზავრებით და თითქმის ყველა მათგანი უვნებლად გადარჩა, გარდა 4 მგზავრისა, რომლებიც მსუბუქად დაშავდნენ. ზოგიერთი მგზავრი, რომლებსაც კატასტროფის დროს ზევითა თაროებზე ეძინა, გადმოვარდა და ოდნავ დაშავდა.

უვნებლად გადარჩნენ აგრეთვე მემანქანე და მისი თანაშემწე. მემანქანეთ იყო გამოცდილი მუშა ამხ. დავრიშევი, რომლის გამოცდილებამ უნდა მიეწეროს, რომ მთელი მატარებელი არ დაიმსხვრა. როგორც კი ამხ. დავრიშევს შეუნიშნავს, რომ კატასტროფა აუცილებელია, მას ორთქლი გაუშვია მანქანიდან და მინიმუმამდე შეუმცირებია სისწრაფე. ამის გამო დაჯახება იმდენად ძლიერი აღარ გამოდგა და უკანა ვაგონები გადარჩა.

კატასტროფის დროს სადგურზე მორიგეობდა მოქ. კაპანიძე. მატარებლისათვის ისარის გადაყვანა დავალებული აქვს სადგურის მორიგეებს, მაგრამ მას ისარის გადასაყვანათ საისრო გასაღები გადაუცია დარაჯისათვის და უკანასკნელის გამოუცდელობამ კი გამოიწვია ეს უბედურება.

კატასტროფით გამოწვეული ზარალი საბოლოოდ კიდევ არაა გამოკვლეული, მაგრამ ბარგის ღირებულება რომ არ ვიანგარიშოთ, ორი ვაგონისა და ორთქლმავლის ფასიც დიდ თანხას შეადგენს.

კატასტროფები შრომის დისციპლინის დაცემის მიზეზია

რკინის გზის მუშა-მოსამსახურეებში ჯერ კიდევ სუსტია შრომის დისციპლინა. ამის საილუსტრაციოთ ამხ. პ. ორჯონიკიძემ მოიყვანა შემდეგი ფაქტი:

— დილით, კატასტროფის შესახებ ცნობების მიღებისთანავე თბილისის სადგურზე გამოთხოვილ იქნა მოტო-დრეზინები, რომ სად. სკრაში გამგზავრებულიყვნენ რკ. გზ. სამმართველოს პასუხისმგებელი მუშაკები. დრეზინები სადღაც აღმოჩნდა, მაგრამ შოფერები კი არსად სჩანდნენ. ბოლოს დრეზინები მოიყვანეს შოფერების თანაშემწეებმა, რომლებთაც შეკითხვაზე განაცხადეს, რომ შოფერებს არა სცალიათ. არსებული წესების თანახმად კი შოფერის თანაშემწეებს უფლება არა აქვთ დრეზინები წაიყვანონ, მაგრამ გამოსავალი არ იყო.

შრომის დისციპლინის სისუსტის ადასტურებს აგრეთვე მოქ. კაპანიძის საქციელი. კაპანიძეს თვითონ დაეზარა საქმეზე წასვლა და გაგზავნა გამოუცდელი კაცი, რითაც საფრთხეში ჩააგდო რამოდენიმე ასეული მგზავრის სიცოცხლე.

ამიერ-კავკ. რკ. გზათა გამგეობის თავ-რის მოადგილის ამხ. პ. ორჯონიკიძის განკარგულებით სამსახურიდან მოხსნილია არიან აშკარა დანაშაულებრივი დაუდევრობისათვის შოფერები დარცემლიძე და პარუჩოვი, შოფერების თანაშემწეები—ზალიევი და პილინიუკი და თბილისის სადგურის ნაწილის ზედამხედველი—გოგიტიშვილი.

სასტიკი საყვედური გამოეცხადა გულგრილობისათვის უბნის უფროსს—პრუსიცკის და სამატარებლო ჯგუფის უფროსს—წითაიშვილს.

სად. სკრის მორიგე მოქ. კაპანიძე დაპატიმრებულია.

კატასტროფის ადგილას სად. სკრაში გაყვანილია მოსავლელი ხაზი დაახლოებით 10 საჟენზე. კატასტროფის დროს გადარჩენილი მთელი შემადგენლობა გამოიგზავნა თბილისში სხვა ორთქლმავლით. მოძრაობა დაბრკოლდა მხოლოდ რამოდენიმე საათით.

რა ხდება ადგილებზე

ჯარში გაწვევისათვის მზადება ქალაქში სუსტად ტარდება

სოხუმი, 3 სექტემბერი. 1908 წ. დაბადებულთა გაწვევისათვის მზადება ჯერ საკმარისად არ გაშლილა. განათლების კომისარიატს ჯერ არ შეუდგენია წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციას გაწვეულთა შორის. გაწვეულთა მთელი რიგი რაიონული კონფერენციები ჩაიშალა მომხსენებლების გამოუცხადებლობის გამო (ადს).

პილენკოვო, 3 სექტემბერი. ბაღ-ბოსტნეულის დამზადება სანახევროდ კერძო ვაჭრის ხელშია. კერძო ვაჭრებს რაიონიდან ყოველდღე გააქვთ 600 ფუთი ხილი. ნიგვზის ფასი 24 მანეთამდე ავიდა ფუთზე. (ადს).

იღებენ საბჭოთა ქვეშევრდომობას

სოხუმი, 3 სექტემბერი აფხაზეთის ცაკმა დააკმაყოფილა თურქეთის ქვეშევრდომ 220 სომეხის შუამდგომლობა მათი საბჭოთა მოქალაქეებათ ჩარიცხვის შესახებ.

საყოველთაო სავალდებულო სწავლების და სკოლის პოლიტექნიზაციის კამპანიის ჩატარების შესახებ

საქართველოს კომპარტიის (ბ) ყველა საოლქო და სარაიონო კომიტეტებს

1. საყოველთაო სავალდებულო დაწყებითი სწავლების საკითხების აქტივიზაციისა და კულტურული რევოლუციის ამოცანების ირგვლივ მშრომელთა ფართო ფენებისა და საბჭოთა საზოგადოებრიობის ყურადღებისა და ღონისძიებების მობილიზაციის მიზნით, საქართველოს ს.ს. რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე ა.-წ. 10 სექტემბრიდან 10 ოქტომბრამდე ჩატარდეს კამპანია შემდეგი ლოზუნგით: „ყველა ბავშვები და მოზარდები—მთელი შემცვლელი თაობა საბჭოთა პოლიტექნიკურ სკოლაში".

2. კამპანიის შინაარსი უნდა იყოს:

ა) პრესაში—გაზეთებსა და კედლის გაზეთებში საყოველთაო სავალდებულო სწავლების შემოღებისა და სკოლების პოლიტექნიზაციის პრაქტიკული საკითხების ფართოდ გაშუქება; ამ მიზნით პლაკატების, მოწოდებების, ლოზუნგებისა და სპეციალური ბროშურების გამოშვება;

ბ) ფართო აგიტაცია-პროპაგანდის ჩატარება მოხსენებების, ლექციების და გამოსვლების მოწყობის სახით ყველა წარმოებებში, დაწესებულებებში, საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეობებში, ყველა ქალაქებსა და სოფლებში, თეატრებში, კლუბებში; სათანადო შინაარსის კინო-ფილმების დემონსტრაცია; რადიო-გადაცემა ცნობებით საყოველთაო სავალდებულო სწავლების ფრონტზე მდგომარეობის შესახებ; სააგიტაციო ველო და ავტოგადარბენები და აერო-გადაფრენები; პიონერთა, ოქტომბრელთა და ბავშვთა მასების დემონსტრაცია;

გ) შრომის ბრიგადებისა და სკოლის დამხმარე რაზმების მასიურად და ყველგან მოწყობა (მუშების, ღარიბ და საშუალო გლეხთა მასების, სპეციალისტების, კომკავშირელებისა და პიონერების, უმაღლესი და საშუალო პროფტექნიკური სასწავლებლების და მეორე საფეხურის სკოლების მოწაფეთა ფართო მონაწილეობით) დახმარების გაწევის მიზნით ისეთ საქმეში, როგორიც არის: სასკოლო შენობებისა და მოწყობილობის აშენება და შეკეთება, აგებული შენობების სასკოლო მეცადინეობისათვის გამოყენება, სკოლებისათვის მატერიალური ბაზის შექმნა, სახელოსნოების მოწყობა, სკოლებისაკენ მიმავალი გზების, ბილიკების გაყვანა, ხიდების აგება და შეკეთება, სკოლებისათვის საზამთროდ სათბობის მიწოდება, სკოლებში შესასვლელად ბავშვთა და მოზარდთა სიების შედგენა; სკოლისათვის მასიური დახმარების გაწევა ფიზიკური შრომით შაბათობისა და კვირეულების სახით ისეთი ანგარიშით, რომ მიღწეულ იქნას რეალური შედეგები გარდატეხისათვის სასკოლო მშენებლობისა და მოწყობილობის გაუმჯობესების საქმეში;

დ) სკოლის მატერიალური ბაზის განმტკიცება კაბინეტებით, ლაბორატორიებით, სახელოსნოებით, ბიბლიოთეკებით მომარაგებისა და მოწყობის გაძლიერების მიზნით, ღარიბთა ფონდების შექმნა ღარიბ ბავშვთათვის ტანსაცმლით, ფეხსაცმლით, საერთო საცხოვრებელით, კვებით დახმარების გასაწევად; სკოლის სახარჯებლოდ ფულის შეგროვება და გადარიცხვა, სასწავლო ხელსაწყოებისა და მოწყობილობის, მეურნეობისათვის და სახელოსნოებისათვის საჭირო მოწყობილობის—მაგიდების, ინსტრუმენტების, სასოფლო-სამეურნეო იარაღის შეგროვება; საყოველთაო სავალდებულო სწავლებისა და პოლიტექნიზაციის ფონდში კონცერტების, წარმოდგენების, ლექციების, კინო-ხეანსების და სხვ. შემოსავლის გადაცემა; არ უნდა დარჩეს არც ერთი სამეურნეო, საზოგადოებრივ-კულტურული, პროფკავშირული ორგანიზაცია, არც ერთი ფაბრიკა, ქარხანა, საბჭოთა მეურნეობა, კოლმეურნეობა, არც ერთი კოოპერატიული ორგანიზაცია, რომელიც მიმაგრებული არ იქნეს სკოლებზე და აქტიური (და მატერიალური) მონაწილეობა არ მიიღოს საყოველთაო სავალდებულო სწავლების ამოცანების გადაჭრაში; არც ერთი საწარმო არ უნდა დარჩეს იმის გარეშე, რომ არ მისცეს სკოლას საწარმოო ბაზა და მონაწილეობა არ მიიღოს სასკოლო სახელოსნოების მოწყობაში.

3. ყველა პარტიული, კომკავშირული, პიონერთა ორგანიზაციები, ყველა საბჭ. ორგანოები, ყველა პროფკავშირები უკლებლივ, კოოპერატიული და სამეურნეო ორგანიზაციები, სახელგამი და სხვა გამომცემლობები, ფაბრიკები, საბჭოთა მეურნეობები, კოლმეურნეობები, ქარხნები, კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციები, დაწესებულებები, სასწავლებლები, თეატრები, კლუბები და სხვ. ამუშავებენ გეგმას თავიანთი მორალური და მატერიალური მონაწილეობისას კამპანიაში საყოველთაო სავალდებულო სწავლებისათვის და სკოლის პოლიტექნიზაციისათვის საბრძოლველად.

4. კამპანიის სახელმძღვანელოდ, საბჭოთა საზოგადოებრიობის მობილიზაციისათვის და საგეგმო მუშაობის საწარმოებლად განათლების სახალხო კომისარიატთან იქმნება საყოველთაო სავალდებულო სწავლებისათვის ხელის შემწყობი რესპუბლიკანური შტაბი; შტაბი აერთიანებს განათლების ორგანოებს, პარტიულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს, პროფკავშირებს, კოოპერაციას, სამეურნეო ორგანოებს და მსხვილ წარმოებებს. სარაიონო აღმასკომებთან და სოფლის საბჭოებთან იმავე შემადგენლობით იქმნება ხელისშემწყობი სარაიონო და სასოფლო კომიტეტები. ხელისშემწყობი შტაბების მუშაობა გრძელდება საყოველთაო სწავლებისათვის ბრძოლის მთელი ხნის განმავლობაში.

გარდა ამისა, ყველა საწარმოებთან, დაწესებულებებთან, კოოპერატივებთან, ადგილკომებთან და სხვ. გამოიყოფა სპეციალური სამეულები.

5. ამ დებულებათა საფუძველზე ყველა ქალაქები და რაიონები ამუშავებენ კამპანიის ჩატარების კონკრეტულ გეგმას ადგილობრივ, სეზონურ და სამეურნეო თავისებურებათა მხედველობაში მიღებით. ინიციატივა ხელისშემწყობი შტაბების შექმნაში, საბჭოთა საზოგადოებრიობის დარაზმვაში და გეგმიანობის დაწესებაში ეკისრება განათლების ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოებს კომკავშირთან ერთად.

6. კამპანია საყოველთაო სავალდებულო სწავლებისათვის და სკოლის პოლიტექნიზაციისათვის არავითარ შემთხვევაში არ უნდა ატარებდეს დროებითი კამპანიის ხასიათს, არამედ უნდა გადაიქცეს მშრომელთა მასიურ მოძრაობად, უნდა გადაიქცეს დიად ლაშქრობად კულტურისათვის, ახალი ადამიანისათვის, მეურნეობისა და ცხოვრების ახალ სოციალისტურ ფორმებისათვის.

საქ. კპ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი—**მამულია**.

უმსგავსოებანი ჯულფა-ბაქოს რკინის გზის მშენებლობაში

ამიერ-კავკასიის სახკომსაბჭომ აღნიშნა, რომ ჯულფა-ბაქოს რკინის გზის მშენებლობაში ადგილი აქვს მთელ რიგ დეფექტებს. მშენებლობის წლიური გეგმა შესრულებულია მხოლოდ 48 პროცენტით, დამატებითი სამუშაოებთან ერთად კი— 58 პროცენტით. მუშები არ იყვნენ დაკმაყოფილებული საჭირო საგნებითა და მასალით. არსებობდა მუშების მომარაგების არანორმალური სისტემა, განსაკუთრებით ნახიჩევან- მეჰრეანის უბანზე. მუშაობის პირობები მეტად მძიმე იყო ტროპიკული მალარიის გამო, მუშათა მასებს არ ეწეოდა სათანადო სამსახური პროფკავშირის ხაზით, არ იყო კვალიფიციური ტექნიკური პერსონალის საკმაო რიცხვი და სხვა.

ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციას დაევალა სასწრაფოდ გამოიკვლიოს მთელი მუშაობა და მშენებლობის ხელმძღვანელობის სისტემა ჯულფა-ბაქოს რკინის გზაზე იმ მიზნით, რომ შემუშავდეს არსებული დეფექტების აღმოფხვრის ღონისძიებები და დამნაშავეები პასუხისგებაში იქნან მიცემული.

ამიერ-კავკასიის სახკომსაბჭოს დადგენილებით, ჯულფა-ბაქოს რკინის გზა ჩაირიცხა იმ ახალმშენებლობათა რიცხვში, რომლებიც მუშათა მომარაგების მხრით განსაკუთრებულ მდგომარეობაში იმყოფებიან.

„დროშა" № 16 (40)
გამოვიდა და იყიდება ყველგან
ფასი 15 კაპ.

მეცნიერება და ტექნიკა

რძის მომარაგება და განაწილება შეერთებულ შტატებში

ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში სამრეწველო მესაქონლეობას და განსაკუთრებით მერძეობას დიდი ყურადღება აქვს მიქცეული. ამ ქვეყნის მთელი სასოფლო-სამეურნეო წლიური პროდუქციის ღირებულების 23 პროც. რძის ნაწარმოებზე მოდის.

შეერთებულ შტატების მიწადმოქმედების დეპარტამენტის ცნობით, 1929 წ. შტატებში 23 მილიონი მეწველი ძროხა ითვლებოდა, ე. ი. 5 მოსახლეზე ერთი ძროხა.

მართალია, 1840 წელთან შედარებით ძროხების რიცხვმა იკლო (მაშინ სამ სულზე ერთი ძროხა მოდიოდა), მაგრამ სამაგიეროთ ძროხების წველამ თითქმის 100 პროც. იმატა. 1910 წელს თითო ძროხაზე საშუალოდ 2500 ინგლისური გირვანქა *) რძე



ვაგონ-ცისტერნის გავსება რძით

მოდიოდა წლიურად, 1926 წელს კი 5500 ინგ. გირვანქას მიაღწია.

რძის წლიური პროდუქცია უდრის 120 მილიონ ინგ. გირვანქას, აქედან ნახევარი იხარჯება რძეთ, ნახევარი კი კარაქის, ყველის, გასქელებულ რძის და სხვა ნაწარმოებების გაკეთებას ხმარდება.

ძროხის წველის ზრდასთან ერთად შეერთებულ შტატებში განუწყვეტლივ მატულობს მოთხოვნილება რძეზე. მაგალითად, 1917 წელს სულზე მოდიოდა 42 გალონი **) 1926 წ. —55 გალონი, 1929 წელს კი რძის ხარჯვამ თითო სულზე 58 გალონამდე მიაღწია.

შეერთებულ შტატებში მეურნე ცდილობს წმინდა ჯიშის მეწველი საქონელი იყოლიოს. იმ რაიონებში, სადაც, სპეციალურად მერძეობას მისდევენ, საქონელი უფრო მეტს იწველის, ვიდრე შერეულ მეურნეობის რაიონებში.

ვინ აწვდის რძეს მოსახლეობას

რძის შემწოდებელ ფირმებს საკუთარი სარძეო ფერმები არა აქვთ. მათ მერძეობის რაიონებში აქვთ რძის მიმღები პუნქტები, მიმღებ პუნქტებში რძეს ყიდულობენ წონით და ზომით რძის ხარისხის გასაუმჯობესებლად ცხიმის შემადგენლობის მხრივ ფირმები აძლევენ ჯილდოს სტანდარტით დაწესებულ პროცენტზე მეტ ცხიმისათვის. ამ ღონისძიების მეოხებით იქ, სადაც ეს წესია შემოღებული, ცხიმის პროცენტულმა შემადგენლობამ რძეში იმატა.

რძის მწარმოებელი მეურნეობა თავის ნაწარმოებს რძის მიმღებ პუნქტს აბარებს და მისგანვე იღებს ანგარიშს. თითეულ 20—30 მილის რადიუსში ერთი მიმღები პუნქტია. მიიღებს თუ არა პუნქტი რძეს, ასხამს მას განსაკუთრებულ ჭურჭელში გასაციებლად. დაცლილ ჭურჭელს კი მაშინათვე გზავნიან სარეცხ მანქანაზე, სადაც რეცხავენ, უკეთებენ სტერილიზაციას და შემდეგ აშრობენ გახურებულ ორთქლით. გაციებულ რძეს კი ასხამენ ბიდონებში ან ვაგონ-ტანკებში და ისე გზავნიან ქარხნებში.

რძის დასაცავად გაფუჭებისაგან შეერთებულ შტატებში ყველგან შემოღებულია რძის გაცივება გამოწველისთანავე. წვრილ მეურნეობებში რძეს აცივებენ ცივი წყლით ან ყინულით, მსხვილ მეურნეობებში კი ელექტრონულ საცივეებში (რეფრიჟერატორი). რძის გასაცივებლად საჭიროა 10 გრ. (ცელსი). ამ ტემპერატურაში მავნე ბაქტერიები არ მრავლდება რძეში.

რძის ხარისხზე თვალყურის სადევნებლად შემოღებულია რძის ნიმუშის აღება, რომელსაც ამოწმებენ ლაბორატორიებში. თუ რძეს რაიმე ნაკლი აღმოაჩნდა, ლაბორატორია ამ ნაკლის გამომწვევ მიზეზსაც იძიებს და დროზე ატყობინებს ამას იმ მეურნეობას, რომელმაც რძე მოაწოდა, თან აძლევს რჩევა-დარიგებებს ნაკლის გამოსასწორებლად.

ვაგონი-ტანკები, რომლებითაც იგზავნება რძე მიმღებ პუნქტებიდან ქალაქად, ისეა მოწყობილი, რომ შეიძლება რძე დარჩეს მათში ოთხი დღე-ღამის განმავლობაში უცვლელად, მისი ტემპერატურა მხოლოდ 1—2 გრადუსით მატულობს. ვაგონ-ტანკებიდან რძეს სცლიან საქაჩავით.

ცენტრალურ მიმღებ სარძევეებშიაც დიდი ყურადღებაა მიქცეული სისუფთავეზე და რძის ღირსების თვალყურის დევნებაზე. ყოველი ჭურჭლიდან (ბიდონი) იღებენ რძის ნიმუშს და დაცლის შემდეგ ჭურჭელი იგზავნება სარეცხ მანქანაზე, აქედან კი ავტომობილებით—უკანვე, რძის მიმღებ პუნქტებში.

ცენტრალური სარძევე მიღებულ რძეს ასხამს სარძევე აბაზანებში ან მიმღებ ცისტერნებში. როგორც აბაზანებში, ისე ცისტერნებში მოწყობილია გრეხილი მილები, რომელთა შემწეობით შეიძლება რძის გაცივებაც და გაცხელებაც.

რძის გასაწმენდათ ჭუჭყისა და ნაგავისაგან საწურავს ანუ ფილტრს ხმარობენ. რძეს ცივად ან შემთბარს (37 გრ. ცელსის) სწურავენ. საწურავად ხმარობენ ბამბას ან საგანგებოდ ამ მიზნისათვის დამზადებულ ქსოვილს. შემთბარ რძის გაწურვა უკეთეს შედეგებს იძლევა.

უპასტერიზაციოთ ცენტრალური სარძევეები რძეს არ მისცემენ მომხმარებლებს. პასტერიზაცია იგივე რძის გაცხელებაა იმ ზომამდე, რომ რძეში ადამიანისათვის მავნებელი ბაქტერიები უვნებელი გახდეს. პასტერიზაციის შემდეგ რძე აუცილებლად უნდა გაცივდეს და შემდეგ დადგეს.

პასტერიზაციის და გაციებისათვის საჭიროა გამთბობი და გამციებელი აპარატები და რძის დასამშვიდებლად (30 წუთი მაინც) აბაზანები.

რძის გათბობა და გაცივება მილების საშუალებით ხდება, რომლებშიაც საჭიროების მიხედვით ხან ცხელი და ხან ცივი წყალი ჩქეფს.

რძის გასაცხელებელი აპარატი სხვადასხვაგვარია. ზოგ აპარატში რძე ლულებში გადის, რომლებიც ცხელ წყალშია მოთავსებული. ამ შემთხვევაში წყალი ყოველთვის უფრო ცხელი უნდა იყოს, ვიდრე ის სითბო, რა სითბოს რძის მიღებას აპირებენ. ყველა მანქანაზე მოწყობილია ავტომატიური ტერმომეტრები რძისა და წყლის სითბოს გასაგებათ.

თანახმად გამოკვლევისა, სამუშაო დრო მსხვილ ცენტრალურ სარძევეებში უფრო ნაყოფიერადაა გამოყენებული, ვიდრე პატარებში. მაგალითად, ცენტრალურ სარძევეში, რომლის სიმძლავრე 3000 გალონს არ აღემატება, ერთი მუშა ერთ საათში საშუალოდ 439 გალონ რძის გატარებას ასწრებს, 15000 გალონის ძალის სარძევეში კი—1500 გალონს, ე.ი. 3-ჯერ მეტს.

რძის გასაცივებლად იხმარება საგანგებო საცივრები, რომლებიც აგრეთვე შესდგება მილებისაგან. ზოგ საცივარში მილები ღიად მოსჩანს, ზოგში კი დაფარულია. მილებ ღია საცივრებში გასაციებელი რძე ჰაერის გავლენის ქვეშაა, ამიტომ ჰაერი რაც შეიძლება სუფთა უნდა იყოს. ოთახის ჰაერი რძის ხარისხზე არ მოქმედებს. რძეს აცივებენ ცივი წყლით ან წუთხით ან კიდევ ნიშადურის მარილით.

მსხვილ ცენტრალურ სარძევეებში რძის შესანახავად აცივებენ მექანიკურად, რადგან ამ წესით გაცივება უფრო მოხერხებულია, იძლევა უკეთეს შედეგებს და ყინულზე იაფად ჯდება. მექანიკურ გაცივების დროს ადვილი ხდება ტემპერატურის აწევ-დაწევის თვალყურის გდება საცივრებში და შესაძლებელია მისი მოწესრიგებაც (რეგულირიზაცია), რაც ყინულის ხმარების დროს შეუძლებელია.

სარძევე ბოთლების რეცხვა და მათი ავსება რძით

სამომხმარებლო რძე შეერთებულ შტატებში იყიდება ბოთლებში. ბოთლების რეცხვაზე და რძით ავსებაზე მიდის მეტად დიდი დრო (50 პროც.).

ნახმარი ბოთლები სარძევეში განსაკუთრებულ ყუთებით მოაქვთ. ყუთიდან ამოღებულ ბოთლს რეცხავენ, უკეთებენ სტერილიზაციას და აცივებენ სარეცხ მანქანაში. აქედან ბოთლები ავტომატიურად (თავისით) კონვეიერის (ელევატორის) შემწეობით იგზავნება ჩამომსხმელ აპარატისაკენ. ჩამოსხმის სისტემის მიხედვით ერთ მუშას ერთ საათში შეუძლია აავსოს 750 ცალ ბოთლიდან 1400 ცალ ბოთლამდე.

ა. ნ—ლი.



ცენტრალური სარძევე შიგნიდან

---

*) ინგლისური გირვანქა=454 გრამი.

**) გალონი=3,785 ლიტრი.

ნარჩენების გამოყენება ფორდის ქარხნებში

თანამედროვე ქიმიკოსის ამოცანაა—ბუნებრივი პროდუქტები შესცვალოს ქიმიური, ე. წ. სინთეთიური პროდუქტებით. თანამედროვე ქიმიკოსი ცდილობს გამოიყენოს წარმოების ყველა ნარჩენები, საერთოდ ყველაფერი, რაც დღემდე პრაქტიკულ გამოყენებას ვერ პოულობდა.

ხელოვნური საღებავები და ლაქები —ნატურალურის ნაცვლად, მაგარი ნახშირ-მჟავა—ყინულის მაგიერ, სიმინდის ღეროსა და ნაგულის გამოყენება, გამოყენება სიმინდის ჩალის,—აჰა თანამედროვე ქიმიის მიღწევები. ყველა ეს პროდუქტები მზადდება ნატურალური პროდუქტების ნაცვლად, ვინაიდან ხარისხით ისინი სჯობიან ნატურალურს და ამავე დროს მათი დამზადება იაფი ჯდება; ეს პროდუქტები ან ნარჩენებიდან მზადდება, ან ნაკლებ ღირსი და შრომის მოთხოვნელ დასამზადებლად, ვიდრე ნატურალური პროდუქტების გაწმენდა.

თავის მისწრაფებაში—გამოიყენოს ყველაფერი, თანამედროვე ქიმიკოსი ავურს ამზადებს ხის ნახერხებისაგან, სურნელოვან სითხეებს— ქვანახშირის კუპრიდან, ფოლაქებს—მოხდილი რძიდან, ქაღალდსა და ხელოვნურ აბრეშუმს— სიმინდის ღეროებიდან.

ფორდი ავტომობილების დასამზადებლად თავის ქარხნებში ყოველწლიურად ხარჯავს 500.000 ტონამდე რკინის მადანს, 100.000.000 ფუტამდე ხე-ტყეს, 20.000.000 კ. ფუტზე მეტ სარკინის მინას და 1.700.000 ტონაზე მეტ ქვანახშირს. შრომის მეცნიერული ორგანიზაცია ფორდის ქარხნებში შესაძლებლად ხდის გამოყენებულ იქნას საავტომობილო მრეწველობის თითქმის ყველა ნარჩენები.

ასე მაგალითად, ქვანახშირი, სანამ მას პირდაპირი დანიშნულებისათვის გამოიყენებდნენ, იფქვება ისე, რომ გაიცრას საცერში 10-12 მილიმეტრიანი ნასვრეტებით, რის შემდეგ მას ყრიან სხვადასხვა ღუმელებში მთელ რიგ პროდუქტების მისაღებათ: ღუმელებში ნახშირი კოქსდება თითქმის 20 საათის განმავლობაში, რის შემდეგ ნახშირი გამოაქვთ ღუმელებიდან, აცივებენ და სცრიან. მსხვილ ნაჭრებს გზავნიან მექანიკურ სამჭედლოებში და ღუმელებში, წვრილ ნაჭრებს იყენებენ საოჯახო საჭიროებისათვის. გაზიდან, რომელიც ნახშირის დაკოქსვის დროს გამოიყოფა, ღებულობენ ქვანახშირის კუპრს, ნავთალინს, მსუბუქ ზეთს და სანათ გაზს.

ქვანახშირის კუპრი იწვის ღუმელებში, როგორც მშვენიერი საწვავი მასალა; გაუწმენდავი ნავთალინი და გოგირდმჟავა ამონიუმი იგზავნება გაყიდვად (უკანასკნელი, როგორც მიწის სასუქი); მსუბუქი ზეთი იწმინდება და მას იყენებენ სამოტორო ბენზინის დასამზადებლად (ეს ბენზინი შესდგება ერთ ნაწილ გაწმენდილ მსუბუქ ზეთიდან და ორ ნაწილ გაზოლინიდან); სანათი გაზის დიდ ნაწილს იყენებენ თვით ფორდის ქარხნებში, დარჩენილი ნაწილი კი იყიდება.

4 სანიმუშო ქარხანა ამზადებს 23.000.000 კვ. სარკინის მინას, რაც წარმოადგენს შეერთებულ შტატებში სარკინის მინის წარმოების ერთ მეხუთედ ნაწილს.

ხის ნახერხის გამოსაყენებლად ფორდს აქვს ქარხანა ხის მშრალად გამოსახდელათ. ამ ქარხნის პროდუქტებს წარმოადგენენ ქვანახშირის ბრიკეტები და ტექნიკური ქიმპროდუქტები: კუპრი, აცეტონი და სხვ.

ფორდის ქარხნებში გამოუყენებელი დამატებითი პროდუქტი იყიდება და აქედან წლიურად ფორდი იღებს 13.000.000 დოლარ შემოსავალს.

ულტრა-იისფერი სხივები ნახშირბადის ჟანგით მოწამვლის წინააღმდეგ

ნახშირბადის ჟანგის (სანათი გაზის ყველაზე შხამიანი ნაწილი) მავნე გავლენა ორგანიზმზე იმაში გამოიხატება, რომ იგი შედის გემოგლობინში (სისხლის მღებავ ნივთიერებაში) და დევნის იქიდან მჟავბადს, რომელიც გემოგლობინმა მიიღო ფილტვებიდან.

0,00 პროც. ნახშირბადის ჟანგის არსებობა ჰაერში საკმაო არის,რომ ამგვარი ჰაერით რამდენიმე საათის განმავლობაში სუნთქვის შემდეგ ორგანიზმი სასიკვდილოთ მოწამლოს. ცხოველები, რომელთაც არა აქვთ გემოგლობინი, არ იწამლებიან ნახშირბადის ჟანგით. ასე მაგალითად, ინგლისელმა მეცნიერმა ხალდანმა 14 დღის განმავლობაში გააჩერა ხოჭო 80 პროცენტით ნახშირბადის ჟანგით გაჟღენთილ ატმოსფერაში და ამ მწერებს მოწამვლის არავითარი ნიშნები არ დასტყობია.

ამავე დროს კი, ძაღლი, რომელიც ისუნთქავდა ჰაერს 1 პროც. ნახშირბადის ჟანგის შემადგენლობით, მეოცე წუთზე მოკვდა. ამავე დროს, როცა ძაღლი მოათავსეს წმინდა მჟავბადში, ნახშირბადის ჟანგის იგივე შემადგენლობით, ძაღლი არ მოკვდა. ეს იმას მაჩვენებელია, რომ ნახშირბადის ჟანგის მავნე მოქმედება შეიძლება გაქარწყლებულ იქნას ორგანიზმის მიერ მჟავბადის საკმაო რაოდენობის მიღებით. ატმოსფერის 50 პროცენტით გაჟღენთვამ ნახშირბადის ჟანგით ვერაფერი ავნო თაგვებს, როცა დანარჩენ 50 პროცენტს მჟავბადი შეადგენდა.

მეცნიერებმა ბერნარდმა და ზიანკამ გამოარკვიეს, რომ ნახშირბადის ჟანგით მოწამლული ორგანიზმის გემოგლობინს 30—60 წუთის განმავლობაში ულტრა-იისფერი სხივებით გაშუქების დროს, ნახშირბადის ჟანგი სრულიად ეცლება სისხლიდან.

ამ ფაქტებზე ამყარებს დოქტორი კოცა (ბრესლაუ, გერმანია) სანათი გაზით ან ნახშირბადის ჟანგით მოწამლულთა გადასარჩენად მის მიერ შემუშავებულ მეთოდს. კოცა აღნიშნავს, რომ ადამიანის ორგანიზმის სისხლის უმეტესი ნაწილი იმყოფება კანის წვრილ ძარღვებში და ამიტომ მასაჟის საშუალებით შეიძლება სისხლის მოძრაობის გაძლიერება და, დაბოლოს, ულტრა-იისფერ სხივებს, საკმაოდ ღრმად შეჭრის დროს, შეუძლიათ სისხლის განთავისუფლება ნახშირბადის ჟანგისაგან.

ამ მოსაზრების სისწორის დამამტკიცებელი ფაქტები დ-რმა კოცამ მიიღო ნახშირბადის ჟანგით ერთნაირად მოწამლულ და ერთნაირ მდგომარეობაში მყოფ ორი ძაღლის გადარჩენის დროს. ერთ-ერთი ძაღლის გადასარჩენად კოცამ გამოიყენა ულტრა-იისფერი სხივებით განათება 40 წუთის განმავლობაში, მეორის მიმართ კი—ჩვეულებრივი მეთოდები, რომლებიც დიდი ხანია ცნობილია მედიცინაში. შედეგად, ზემოხსენებული დროის გასვლის შემდეგ პირველი ძაღლის სისხლში აღმოაჩინეს 50 პროც. ნახშირბადის ჟანგი, მეორის სისხლში—75 პროც. პირველი გონს მოვიდა 9 საათის, მეორე კი მხოლოდ 18 საათის შემდეგ.

სპილენძის ახალი ნადნობი

ამერიკელმა მეტალურგებმა ჯეკობსმა და კარსონმა აღმოაჩინეს სპილენძის ორი ახალი შენადნობი, რომელთაც ახასიათებს შესანიშნავი სიმაგრე და სხვა ძვირფასი თვისებები.

სპილენძი—ერთ-ერთი ყველაზე რბილი ლითონთაგანია და დღემდე ვერ მოახერხეს მისთვის დიდი სიმაგრის მინიჭება.

ერთი ახალი შენადნობი წარმოადგენს სპილენძის ნარევს კრემნიუმთან (სილის ძირითადი შემადგენელი ნაწილი) და მარგანეცთან. ეს შენადნობი იმდენად მაგარია, რომ მისგან შეიძლება სამართლების, მაკრატლების და სხვა ჭრელი ხელსაწყოების დამზადება. მას ვერაფერს აკლებს სიმჟავეები და ჟანგი.

მეორე შენადნობი წარმოადგენს სპილენძის ნარევს კრემნიუმთან და ნიკელთან. ამ შენადნობის სიმაგრე გადამუშავებამდე სულ ცოტათი სჭარბობს სპილენძის სიმაგრეს, მაგრამ საკმაოა რამდენიმე საათის განმავლობაში გახურდეს ლითონი 450 გრად. (ცელსიუსით) ტემპერატურის პირობებში, რომ იგი სიმაგრით გაუტოლდეს საუკეთესო ხარისხის ფოლადს.

ელექტრო-ენერგიის შორ მანძილზე გადაცემის შესწავლა

ინგლისში დაამთავრეს მაღალი დაძაბულობის ლაბორატორიის აგება. ლაბორატორია ეკუთვნის ელექტრო- ტექნიკურ ფირმას — „მეტროპოლიტენ—ვიკკერს". ლაბორატორიის მიზანია მაღალი დაძაბულობის ელექტრო-ენერგიის შორ მანძილზე გადაცემის შესწავლა. როგორც ცნობილია, მაღალვოლტიან გადაცემებისათვის იმდენად ნაკლებკვეთიანობის მავთულებს არჩევენ, რამდენადაც მეტია ამ მავთულში გამავალ ელექტრო-დენის ძაბვა. ასე მაგალითად, ელექტრო-ენერგიის გადასაცემად ნიაგარის ჰიდრო-ელსადგურიდან ნიუ-იორკში საჭირო იქნებოდა 5.250.000 ტონა სპილენძის მავთული, რომ დენის ძაბვა უდრიდეს 1.000.000 ვოლტს. სინამდვილეში გადაცემა ხდება 80.000 ვოლტის დაძაბულობის პირობებში და გადაცემისათვის საჭირო მავთულების წონა შემცირდა 80 ტონამდე, ე. ი. 60-ჯერ.

მაგრამ ვოლტაჟის გადიდებასთან ერთად იზრდება ელექტრო-ენერგიის დაკარგვა ე. წ. „ნელი დაცლის" გზით. მაღალი დაძაბულობის ახალი ლაბორატორიის მიზნად აქვს სწორედ—შეიმუშაოს ყველაზე უფრო ხელსაყრელი ვოლტაჟი შორ მანძილზე გადაცემისათვის. ლაბორატორიას მოეპოვება 1000000 ვოლტიან დენის წყარო, რაც სავსებით საკმაოა პრაქტიკული მიზნებისათვის, რადგან პრაქტიკულად 220.000-ზე მეტ ვოლტიან დენით არ სარგებლობენ. 1.000.000 ვოლტიან ელექტრო-დენით ლაბორატორია იღებს ნამდვილ ელვას, სიგრძით 4 მეტრამდე.

ატმოსფერის ზედა-ფენების შესწავლა რადიო-ზონდების საშუალებით

სლუცკის აეროლოგიურმა ობსერვატორიამ მოახდინა გამოცდა პირველი საბჭოთა რადიო - ზონდის, რომელიც პროფ. პ. ა. მოლჩანოვმა გამოიგონა. რადიო - ზონდმა მიაღწია 8.900 მეტრის სიმაღლემდე. მთელ ამ მანძილზე ზონდზე დამაგრებული მოწყობილობათა ჩვენების გადაცემა გრძელდებოდა სრულიად შეუფერხებლად. მიღება ერთდროულად სწარმოებდა ორი აპარატით. გადამცემი იყო მოკლე-ტალღიანი და მუშაობდა 40 მეტრიან ტალღით. ხელისშეწყობ ყველაზე დიდი მანძილით (45 კილომეტრით) დაცილების დროსაც-კი გადაცემა ისეთივე გარკვეულობით ისმოდა,როგორც დასაწყისში. ორილამპიან მიმღებ აპარატით მიღების დროს გადაცემა მშვენიერად ესმოდა ყველას. ვინც კი ამ დროს იმყოფებოდა ოთახში.

პროფ. პ. ა. მოლჩანოვის მთელი მოწყობილობა (მეტეოროგრაფით და გადამცემით) იწონის ორ კილოგრამამდე. ვინაიდან გადაცემა ძლიერ ხმამაღლა ისმოდა, ამჟამად სწარმოებს ცდები ნაკლებ მძლავრი და ნაკლები წონის გადამცემის დასამზადებლად. რადიო - ზონდის დამზადება მასიურად იწარმოებს სლუცკის აეროლოგიური ობსერვატორიის სახელოსნოებში.

ელექტროლენი

ამერიკის ელექტრო- ტექნიკური კომპანიის —„ჯენერალ ელექტრიკ"-ის ინჟინერებმა შეიმუშავეს ახალი შესადუღებელი გაზის მიღების წესი. ეს გაზი, რომელსაც ამერიკელმა ინჟინერებმა „ელექტროლენი" უწოდეს წარმატებით ასრულებს აცეტილენისა და წყალბადის მაგიერობას. ახალ გაზს იღებენ მაღალი ტემპერატურის ზეგავლენით წყლის ორთქლისა და სინათლის გაზის ნარევზე. აპარატი, რომლითაც ელექტროლენს ამზადებენ, წარმოადგენს ცილინდრისებურ ქვაბს, რომელშიც მაღალი წნევის ქვეშ უშვებენ ორთქლსა და სინათლის გაზს. აპარატს, დიამეტრით 7 ფუტი და სიმაღლით 10 ფუტი, საათში შეუძლია 1500 კუბ. ფუტი ელექტროლენის მიცემა. ელექტროლენი 10-ჯერ უფრო იაფი ჯდება, ვიდრე წყალბადი. მისი წვის ტემპერატურა რამოდენიმედ უფრო მაღალია, ვიდრე წყალბადის. შესადუღებელი გაზის მიღების ახალი წესის აღმოჩენის წყალობით, ფაბრიკა-ქარხნები თავისუფლდებიან წყალბადისა და აცეტილენის შეძენის საჭიროებისაგან. ელექტროლენის მისაღებ ავტომატიურად მომქმედ პატარა დადგმულობას მთლიანად შეუძლია დაფაროს საწარმოს მოთხოვნილება შესადუღებელ გაზზე.

ეროვნული

ქრონიკა

აკადემიკოს ლევინსონ-ლესინგის ჩამოსვლა

გუშინ თბილისში ჩამოვიდა საკავშირო სამეცნიერო აკადემიის წევრი—აკადემიკოსი ლევინსონ-ლესინგი.

ექსპედიცია ქართველი ებრაელების შესასწავლად

საქართველოში ჩამოვიდა სამეცნიერო-საგამომკვლევო ექსპედიცია, რომელიც მოაწყო საბჭოთა კავშირის ხალხთმცოდნეობის ცენტრალურმა მუზეუმმა. ექსპედიციის ჩამოსვლის მიზანია ქართველი ებრაელების შესწავლა. ექსპედიციის მუშაობა შარშან დაწყებული მუშაობის გაგრძელებას წარმოადგენს (ადს).

დასასვენებელი სახლები

1 სექტემბრიდან დასასვენებელ სახლებში გაიგზავნა 785 დაზღვეული. აქედან წაღვერში—420, წყალტუბოში—120, ქობულეთში—80, ბორჯომში—70, გაგრაში—75. გარდა ამისა წაღვერის ბავშთა სახლში გაიგზავნა დაზღვეულთა 30 ბავში.

ნაგებობათა ინსტიტუტის ახალი შენობა

დაიწყო ამიერ-კავკასიის ნაგებობათა ინსტიტუტის შენობის აგება ვაკეზე. მომავალ სამეურნეო წელში უნდა დამთავრდეს ორი მთავარი კორპუსის—ადმინისტრატიულ-ქიმიურის და მექანიკური განყოფილებების აგება. მეორე რიგის სამუშაოებში შედის ჰიდრო-ტეხნიკური კორპუსი და მუზეუმის შენობის აგება.

მთელი შენობის აგება დაჯდება 850.000 მანეთი.

ქობულეთის ელექტროფიკაცია

საქ. საგეგმო კომისიის სამშენებლო-ტეხნიკურმა სექციამ დაამტკიცა ბათომის აღმასკომის მიერ წარმოდგენილი გეგმა კურორტ ქობულეთის ელექტროფიკაციის შესახებ. გეგმის თანახმად ქობულეთში აგებული უნდა იქნას მძლავრი დიზელიანი ელსადგური, რომელიც ენერგიას მიაწოდებს როგორც კურორტს, ისე ადგილობრივ საწარმოებს.

სამხედრო სასწავლებლებში მიღება შეწყვეტილია

სამხედრო სასწავლებლებში შემსვლელთა ცენტრალური შემკრები კომისია, რომელიც საქ. ცაკთან არსებობს, აცხადებს, რომ თავისუფალი ადგილების უქონლობის გამო სამხედრო სასწავლებლებში მიღება შეწყვეტილია.

ფიზკულტურის კურსები

20 სექტემბერს თბილისში იხსნება ფიზკულტურის ინსტრუქტორთა მოსამზადებელი 3 თვიანი კურსები. კურსებზე მიღებული იქნება 130 კაცი.

ახალი საავადმყოფო სტალინისში

საქ. ს. მ. უ. ს. კომუნალურმა განყოფილებამ დაამტკიცა სტალინისში საავადმყოფოს ახალი შენობის აგების პროექტი.

ახალ საავადმყოფოში იქნება 100 საწოლი და მისი აგება დაჯდება 109.000 მანეთი.

ნავთის წყაროები ხარაგოულში

ხარაგოულის რკინის გზის სადგურიდან 3 ნახ. კილომეტრის დაშორებით, სოფ. ფარცხანალში აღმოჩენილი იქნა ნავთის მდიდარი წყაროები.

ნავთი თავისთავად ამოდის მდ. ჩეხეროულის ნაპირებზე და იღვრება მდინარეში.

ეს წყაროები უკვე დაათვალიერეს და გამოიკვლიეს შორაპნის ნავთის ბუდობებზე მომუშავე ინჟინრებმა, რომელთა დასკვნით ხარაგოულის ნავთის წყაროებს აღჭურვილია საუკეთესო ღირსებით და მათი ბუდობები მდიდარია, რასაც მოწმობს მიწიდან ნავთის თავისუფლად დინება.

„საქართველოს ნავთმა" გადაწყვიტა ყოველმხრივ გამოიკვლიოს აღნიშნული წყაროები. ამ მიზნით, ამ დღეებში ადგილობრივ იგზავნება სპეციალური გეოლოგიური ექსპედიცია.

ჟურ. „დროშა" № 16 (40)

გამოვიდა ჟურ. „დროშა" № 16 (40). შინაარსი: ე. წ—ძე—რევოლუციონური პროფ მოძრაობის დროშებით კაპიტალიზმის დასამხობად; ლ. მ.—ახალი საბჭოთა ექსპედიცია არქტიკაში; ი. ი.—ლიბანი; მარტინ — ახალი სახლი (მოთხრობა); გ. ნ—ძე—მოგონება ნიკო ფიროსმანიშვილზე; მ. ერდელი—მეცხრე დანა (მოთხრობა); ნაცრისფერი ქალაქი; ნ. რ—ძე—ფიშების და უოლენების სამფლობელოში; ვასო ბეჭკორია—ექსპედიცია ნავით ფოთიდან ქუთაისამდე; საქართველოს საკოლმეურნეო მოძრავი თეატრი; ქიათურის თეატრი; ვლ. ბერინგი—ერთი ექსპედიციის საიდუმლოება; ლანდა—ფიზკულტურა და სპორტი; უცხოეთის ფოტო-ქრონიკა; ჩვენი ფოტო-ქრონიკა; ჟურნალში მოთავსებულია 30-მდე სურათი და ღირს 15 კაპ.,

ახალი სამკურნალო წყლები

წყალი მოწამვლის წინააღმდეგ

ამ რამდენიმე ხნის წინად სოფ. ნიძვში (ბორჯომის რაიონი), სოკოთი მოიწამლა ერთი გლეხი მთელი თავისი ოჯახის წევრებით.

მიუხედავად სამედიცინო დახმარების თავის დროზე აღმოჩენისა, მოწამლულებს გამოჯანმრთელება არ დაეტყოთ და მათი გადარჩენის იმედი თვით ექიმებსაც დაეკარგათ.

მოხუცებულების რჩევით მოწამლულებს შეასვეს იმავე სოფლის წყაროს წყალი, რომელსაც ჩვეულებრივ სასმელად სოფელი არ ხმარობს. წყალის დალევიდან რამდენიმე საათის შემდეგ მოწამლულები გამობრუნდნენ და მალე სავსებით განიკურნენ.

ამ ცნობის მიღებისთანავე ჯანმრთელობის კომისარიატმა, ადგილობრივ გაგზავნა სპეციალური კომისია, რომელსაც დაევალა სოფ. ნიძვის წყლის ქიმიური თვისებების შესწავლა. თუ გამოკვლევამ დადებითი შედეგი გამოიღო აღნიშნული წყალი ფართოდ იქნება გამოყენებული მოწამვლის წინააღმდეგ.

ნაბეღლარის წყალი

ბახმაროს ქვეით, სოფ. ნაბეღლარში მოიპოვება იშვიათი წყაროები, რომელსაც ადგილობრივი მცხოვრებლები ხმარობენ კუჭ-ნაწლავების სნეულებათა განსაკურნავად. სხვათა შორის ამ რამდენიმე წლის წინად ეს წყაროები აღმოჩენილი იქნა ძროხების საშუალებით. საძოვრებზე გარეკილი ძროხები შორი მანძილიდან ეშურებოდნენ ამ წყაროებისაკენ და წყალს არაჩვეულებრივი რაოდენობით სვამდნენ.

ამ გარემოებას ყურადღება მიაქციეს მცხოვრებლებმა და სპეციალური გამოკვლევის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ნაბეღლარის წყალი მეტად უხდება კუჭ-ნაწლავებით დაავადებულებს, სისხლნაკლულებს, ჰაჟების სნეულებას და სხ.

ამ წყლის ღირსება კიდევ ისაა, რომ იგი საამო სასმელია.

ჯანმრთელობის კომისარიატმა ნაბეღლარის წყაროების თვისებათა და ადგილ-მდებარეობის შესასწავლად გააგზავნა გეოლოგი ავჩენკოვი და ქიმიკოსი კუპცისი.

სამი მილიონი მანეთი კოლმეურნეთა ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებლად

კოლმეურნეთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების მიზნით საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ დაამტკიცა კოლმეურნეობებთან კულტურულ დაწესებულებების მოწყობის გეგმა.

გეგმის თანახმად, უმთავრესად გაიხსნება ისეთი დაწესებულებები, რომლებიც კოლმეურნე ქალებს გაანთავისუფლებს საოჯახო საქმეებისაგან და ამავე დროს უზრუნველყოფს სოფლად ახალთაობის სოციალისტურად აღზრდის საქმეს.

პირველ რიგში კულტურული დაწესებულებები მოეწყობა საჩვენებელ კოლმეურნეობებთან, რისთვისაც 1930—31 წელში დაიხარჯება:

ბაგების მოსაწყობად—681.000 მანეთი, აქედან ბაგებისათვის საჭირო შენობების აგებას მოხმარდება 600.000 მანეთი, ხოლო მათი თეთრეულით და ინვენტარით უზრუნველყოფის საქმეს—81.000 მანეთი. მომავალ წელში საქართველოში კოლმეურნეობებთან სულ გაიხსნება 30 ახალი ბაგა.

საბავშო ბაღები. საჩვენებელ კოლმეურნეობებთან აგრეთვე მოეწყობა საბავშო ბაღები. თვითეულ საბავშო ბაღს ექნება 5-6 ოთახი და შესაფერი მოედანი. ბაღების მშენებლობაზე დაიხარჯება 780.000 მანეთი, ხოლო მათ ყოველმხრივ მოწყობაზე — 120.000 მანეთი. სულ გაიხსნება 30 ბაღი.

საბებიო და საექიმო პუნქტების მოსაწყობად გადადებულია 345.000 მანეთი, აქედან საბებიო და საექიმო პუნქტებისათვის სპეციალური შენობების აგებაზე დაიხარჯება 300.000 მანეთი, ხოლო მოწყობაზე—45.000 მანეთი. სულ გაიხსნება 15 ასეთი პუნქტი. ყოველ პუნქტს ექნება საკუთარი პატარა აფთიაქი.

აბანო-სამრეცხაო. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა კოლმეურნეთა შორის სანიტარულ პირობების დაცვას. ამ მიზნით მომავალ წელს საჩვენებელ კოლექტივებთან მოეწყობა 10 აბანო-სამრეცხაო, რისთვისაც გადადებულია 250.000 მან.

კოლმეურნეთა რაიონული კულტურული სახლი. 5 საკოლმეურნეო რაიონში გაიხსნება კოლმეურნეთა რაიონული კულტურული სახლები. ეს სახლები მოეწყობა გლეხთა სახლის მსგავსად. სახლების გასახსნელად გადადებულია 50.000 მან.

კოლექტივების კლუბები. განზრახულია მომავალ წელს საქართველოში სულ გაიხსნას 15 საკოლმეურნეო კლუბი, რისთვისაც გადადებულია 150.000 მანეთი. გარდა ამისა შეკეთებული და გაფართოებული იქნება არსებული კლუბები. არსებულ კლუბების შესაკეთებლად გადადებულია 37.000 მ.

საკოლმეურნეო სამკითხველოები. ამჟამად კოლმეურნეობებთან არსებობს სულ 26 კულტ-ქოხი (სამკით.), მაგრამ ისინი ვერ არიან შესაფერისად მოწყობილი და მოთავსებული არიან უვარგის ბინებში. მომავალ წელს ყველა ეს ქოხები მოწყობილი იქნება ყოველმხრივ, რაზედაც დაიხარჯება 37.500 მანეთი, გარდა ამისა გაიხსნება 5 ახალი კულტ-ქოხი, რისთვისაც გადადებულია 25.000 მანეთი.

საზოგადოებრივი კვების გაუმჯობესება. კოლმეურნეების ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების საქმეში დიდი მნიშვნელობა ენიჭება საზოგადოებრივ კვებას, რომელიც დღესდღეობით მოუწესრიგებელია. ცხადია კოლმეურნეების კოლექტიურად მუშაობის დროს ძველი ოჯახური წესით კვება უხერხულობასთან ერთად შეუძლებელიც ხდება. საზოგადოებრივი კვების მოუგვარებლობა გარდა ამისა კოლმეურნე ქალებს უსპობს კოლექტივებში ნაყოფიერ მუშაობის საშუალებას. ამ ნაკლის გამოსასწორებლად გადაწყვეტილია მომავალ წლიდან კომუნებთან და არტელებთან მოეწყოს 30 მუდმივი სამზარეულო-სასადილო.

ეს სასადილო-სამზარეულოები სადილებით უზრუნველყოფენ 16.000 კაცს. მათი მოწყობა დაჯდება 74.200 მანეთი.

გარდა ამისა მინდვრებში მუშაობის დროს კოლმეურნეთათვის ცხელი საჭმლის მისაწოდებლად მოეწყობა 50 მოძრავი სამზარეულო, რისთვისაც გადადებულია 40.000 მანეთი.

ამასთანავე მთლიან კოლექტივიზაციის რაიონებში საკოლმეურნეო სკოლებთან გაიხსნება ინტერნატები და, კოლმეურნეთა სკოლები უზრუნველყოფილნი იქნებიან სასწავლო ნივთებით.

აღსანიშნავია აგრეთვე კოლმეურნეთა სუსტ ბავშვებისათვის საკურორტო საექიმო დახმარების გაწევა. ამ მიზნით ბახმაროზე მოეწყობა რესპუბლიკური საბავშო კურორტი. კურორტის მოსაწყობად გადადებულია 50.000 მანეთი.

ამრიგად, მომავალ წელს კოლმეურნეთა ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებლად და კოლმეურნეობებთან კულტურულ დაწესებულებების მოსაწყობად სულ დაიხარჯება 3.023.000 მანეთი.

ახალი სანატორიუმი

ბორჯომი, 4 სექტემბერი. აბასთუმნის სანატორიუმი უკვე დიდი ხანია ველარ იტევს სამკურნალოდ გამოგზავნილ ავადმყოფებს. ასე მაგალითად დიდ სანატორიუმ არაზინდოში, რომელიც გათვალისწინებულია 250 ავადმყოფისათვის, ამჟამად 350 ავადმყოფია. საკურორტო სამმართველოს სამივე სანატორიუმი აგრეთვე ზედმეტად დატვირთულია ავადმყოფებით. ამიტომ გადაწყდა აგებული იქნეს აბასთუმანში კიდევ ერთი დიდი სანატორიუმი 200 საწოლით. სანატორიუმის ასაგებად დასახულია 2 პუნქტი: პირველი—აგაბილაში, (აბასთუმნის საუკეთესო რაიონი) და მეორე—საზაზანო შენობასთან ქვემო აბასთუმანში. გარდა ამისა, აბასთუმნის სხვადასხვა ნაგებობათა შესაკეთებლად, როგორიცაა ე. წ. ქვემო ბაზარი და საცხოვრებელი სახლები, და აბასთუმნის პანსიონატის სასადილოს ასაგებად გადადებულია 60.000 მანეთი (ადს).

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის კულტურისა და პროპაგანდის განყოფილება სთხოვს ამხ. დ. ფ. აროშიძეს გამოცხადდეს ცენტრალურ კომიტეტში.

—:—

საქართველოს კომპარტიის (ბ) ც. კ. განმანაწილებელი განყოფილება სთხოვს ამხ. გრიგოლ შახსუვაროვს (ამიერ-კავკასიის სახ. ვაჭრობა), სარქის პოღოსიანს (საკავშირო კომპ. ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი) არტაშეს ვანციანს (ამიერ-კავკასიის სასოფ.-სამეურნეო ბანკი), ატოიანს (გაზ. „პროლეტარი"), ალექსანდრე იუსუპოვს, გრ. აბრამოვს (ამიერ-კავკასიის სას.-სამ. ბანკი) და ამხ. ბაადაშვილს, შემოიარონ ცენტრალურ კომიტეტში ამხ. ჩარკვიანთან (ოთახი № 47).

———

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრ. საკონტროლო კომისიის საორგ.განყოფილებაში 5 სექტემბერს დღის 3 საათისათვის ამხ. აკოფოვთან გამოძახებული არიან შემდეგი ამხ. ამხ. რუხაძე, ვარლამ (საქ. მიწსახკომი), მკრტიჩიანი (მე-3 სტამბა), ჯენჯღუზოვი (თბ. აღმას.), მუზაფაროვი (საქ. მ. გ. ინსპექცია), იტრიევი ვანო (თბ. სახელოსნო), ლალიაშვილი, ჯაფარიძე აპოლონი (ტფილისის აღმასკომი), ბრეგაძე პავლე; ჩერნიშევსკი (თბ. სახელოსნო), ენუქიძე აკაკი (ალ. სახლთა სამმართველო), ტიგიტაშვილი.

—:—

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის კულტპროპი იუწყება, რომ მსმენელების მიღება კახეთის საბ. პარტსკოლაში დაიწყება მ. წ. 15 სექტემბრიდან, მეცადინეობა—20 სექტემბრიდან.

—:—

დღეს, 5 სექტემბერს, დღის 12 საათზე შესდგება საქ. სახ. სამეურნეო ინსტ. კომუჯრედის ბიუროს სხდომა, წევრების დასწრება აუცილებელია.

რადიო-გადაცემა

პარასკევი, 5 სექტემბერი

დილით: ქალაქის სატრანსლიაციო ქსელით გადაცემული იქნება „მუშათა შეადლე", პროგრამაში კონცერტი და ახალი ამბები.

საღამოთი: ათკილოვატიანი რადიო-სადგურით გადაცემული იქნება: 18 ს. პიონერისა და მოსწავლის საათი; 18 ს. 25 წ. რადიო-გაზეთი ქართულ ენაზე; 19 ს. 5 წ. ამხ. იმედაძის მოხსენება: „პარტიის ამოცანები შემოდგომის თესვის კამპანიაში", ქართულ ენაზე; 19 ს. 30 წ. გაზ. „ენიკენდი" რადიოთი თურქულ ენაზე; 20 ს. საუბარი რადიოტეხნიკაზე რუსულ ენაზე; დროის შემოწმება, გეოფიზიკური ობსერვატორიის ცნობები; 20 ს. 30 წ. რადიო-გაზეთი რუსულ ენაზე; 21 ს. 10 წ. კონცერტის ტრანსლიაცია; უკანასკნელი ცნობები.

შემთხვევები

ხურდა ფულის გადამმალველი

გუშინ დააპატიმრეს სპეკულიანტი ალი კალაშის ძე უსუპოვი (მეჯვ. მისის ქ. № 9), რომელსაც ბინაზე აღმოაჩნდა 26 ნაჭერი სარეცხი საპონი, 19 ხელის საბანი საპონი და 3 ყუთი მაკარონი. მასვე აღმოაჩნდა 58 მ. და 80 კ. ხურდა ფული.

დახრჩობა

მტკვარში ბანაობის დროს დაიხრჩო შოუკა ვარტმანი (პავლოვის ქუჩა № 14), რომლის გვამი არ არის ნაპოვნი.

ძეხვით მოწამვლა

ძეხვით მოიწამლა ვიაჩესლავ ივანეს ძე რაინერისი, (ანანურის შესახვევი № 8), რომელსაც აღმოუჩინეს სასწრაფო სამედიცინო დახმარება და მოათავსეს ქალაქის მეორე საავადმყოფოში.

ქურდობა

გაქურდეს იამა ვარდოიევის ბინა (ვლადიმერის ქუჩა № 20), საიდანაც მოიპარეს 100 მან. საოჯახო ნივთები. შაქრო გოდერძიშვილს (ყირიმის ქუჩა № 22) მოჰპარეს 300 მან. ნივთები,—ვასილ ჯოჯუას სამზარეულოდან მოიპარეს 700 მან. ნივთები.

ვისია ნივთები?

სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა ქურდი ალექსანდრე ივანოვი, რომელსაც აღმოაჩნდა ნაქურდალი შევიოტის შარვალი და შალის ფიჯაკი. პატრონი უნდა გამოცხადდეს სის. სამ. მილიციაში, ოთახი № 7, ამხ. გ. გვენცაძესთან.

ოფიციალური განყოფილება

დადგენილება

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

წანახედით მიყენებული ზარალის გამო აღძრულ დავათა განხილვის წესის შესახებ

სოფლის მეურნეობისათვის წანახედით მიყენებული ზარალის შესახებ აღძრულ დავათა სწრაფი და სწორე გადაწყვეტის უზრუნველსაყოფად სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. საქონლის მიშვებით ნათესისა, ბოსტნისა და სხვ. წახდენის ფაქტის გამორკვევას და მიყენებული ზარალის რაოდენობის განსაზღვრას, დაინტერესებულ პირთა განცხადებით, აწარმოებენ განსაკუთრებული კომისიები, რომელნიც მოეწყობიან თვითეულ სოფელში და აგრეთვე თვითეულ სარაიონო და საოლქო (სამაზრო) აღმასრულებელ კომიტეტთან.

2. 1-ლ მუხლში აღნიშნული კომისიები მოეწყობიან თავმჯდომარისა, ორი წევრისა და 3-დან 5-მდე კანდიდატის შემადგენლობით, რომელთაც ერთის წლის ვადით დანიშნავს: ა) სასოფლო კომისიაში— სასოფლო საბჭო საბჭოს წევრთა რიცხვიდან; ბ) სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის წევრთა ან კანდიდატთა რიცხვიდან; გ) საოლქო (სამაზრო) კომისიაში— საოლქო (სამაზრო) აღმასრულებელი კომიტეტი საოლქო (სამაზრო) აღმასრულებელი კომიტეტის წევრთა ან კანდიდატთა რიცხვიდან.

3. საოლქო (სამაზრო) კომისიის გამგებლობის საგანს შეადგენს გამოარკვიოს წანახედის ფაქტი და განსაზღვროს ისეთი წანახედით გამოწვეული ზიანის რაოდენობა, რასაც მასიური ხასიათი აქვს და რაც მიყენებულია სხვა რაიონის შემადგენლობაში შემავალი სოფლის მცხოვრებთა საქონელს.

სარაიონო კომისიის გამგებლობის საგანია—გამოარკვიოს წანახედის ფაქტი და განსაზღვროს ისეთი წანახედით გამოწვეული ზარალი, რასაც მასიური ხასიათი აქვს და რაც მიყენებულია სხვა, ხოლო ამავე რაიონის შემადგენლობაში შემავალი, სოფლის მცხოვრებთა საქონელს.

სასოფლო კომისიის გამგებლობის საგანია—დაადასტუროს წანახედის ფაქტი და შეაფასოს წანახედით მიყენებული ზიანი ყველა შემთხვევაში, გარდა იმ შემთხვევებისა, რაც საოლქო (სამაზრო) და სარაიონო კომისიების კომპეტენციას მიეკუთვნება.

შენიშვნა: უკეთუ მასიური ხასიათის წანახედი მიუყენებია სხვა ოლქის (მაზრის) საქონელს საზაფხულო საძოვარზე გადარეკისა ან იქიდან უკანვე გადმორეკის დროს ან და საზაფხულო საძოვარზე ყოფნის დროს,—წანახედის ფაქტს გამოარკვევს და მიყენებული ზარალის რაოდენობას განსაზღვრავს სათანადო საიალალო კომიტეტი.

4. სათანადო კომისია (საიალალო კომიტეტი) წანახედის ფაქტის გამორკვევისა და წანახედით მიყენებული ზარალის რაოდენობის განსაზღვრის დროს შეადგენს ოქმს, რომელშიაც აღნიშნულ უნდა იყოს: ოქმის შედგენის დრო და ადგილი, კომისიის (საიალალო კომიტეტის) შემადგენლობა, წახდენილის აღწერა, წახდენილის რაოდენობა და ღირებულება, მიყენებული ზიანის საერთო ოდენობა და ვისია საქონელი, რომელსაც წანახედი მიუყენებია.

5. უკეთუ კომისიის თავმჯდომარე ან წევრი დაინტერესებულია წანახედით მიყენებული ზარალის გამო აღძრული საქმის შედეგით, იგი, მისივე განცხადებით ან დაინტერესებულ პირთა განცხადებით, ჩამოცილებულ უნდა იქნეს კომისიაში მონაწილეობისაგან იმ ორგანოს მიერ, რომელმაც იგი დანიშნა. ამ შემთხვევაში კომისიის შემადგენლობა შეივსება კანდიდატთაგან.

6. საოლქო (სამაზრო) და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს და სასოფლო საბჭოს დაინტერესებულ პირთა საჩივრის მიხედვით შეუძლიანთ შეამოწმონ, თუ რამდენად სწორეა სათანადო კომისიის მოქმედება.

შენიშვნა: საიალალო კომიტეტის მოქმედების სისწორე შეიძლება შემოწმებულ იქნეს იმ საოლქო (სამაზრო) აღმასრულებელი კომიტეტის მიერ, რომლის ხელმძღვანელობასა და დირექტივებსაც იგი ემორჩილება („საიალალო კომიტეტების მოწყობის შესახებ" გამოცემული ამიერ-კავკ. ცენტრ. აღმასრ. კომიტეტისა და ა.-კ. სფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. თებერვლის 18-ის დადგენილების მე-7 მუხლი; (ა.-კ. სფსრ კან. კრ. 1930 წ. მე-4 ნომერი, მუხ. 42).

7. კომისიის მიერ შედგენილი ოქმი განცხადდება ორივე მხარეს და უკეთუ საქმე მორიგებით გათავდა ან მხარენი შეთანხმდნენ ზარალის ანაზღაურების საკითხზე, ამ შეთანხმებას კომისია შეიტანს ოქმში, რომელსაც მხარეები ხელს მოაწერენ.

მორიგების ოქმის ასლს, სათანადო აღმასრულებელი კომიტეტის ან სასოფლო საბჭოს მიერ შემოწმებულს, აქვს სააღსრულებლო ფურცლის ძალა.

8. უკეთუ მორიგება და შეთანხმება არ მოხდა,—ყოველი თანხის სარჩელი წანახედით მიყენებული ზარალის ანაზღაურების გამო, გარდა 15 მანეთზე არა უმეტესი თანხის სარჩელისა, შეიტანება იმ ადგილის სახალხო სასამართლოში, სადაც წანახედი მოხდა, და განიხილება სახალხო მოსამართლის მიერ ერთპიროვნად.

9. საქმე წანახედით მიყენებული 16 მანეთზე არა უმეტესი ზარალის გამო განიხილება სასოფლო საბჭოს მიერ ქვემომდევნო წესების დაცვით.

10. საქმის განხილვა მოხდება საჯაროდ სასოფლო საბჭოს თავმჯდომარისა და ორი წევრის შემადგენლობით და მხარეების დაბარებით.

11. უკეთუ საკრებულოს თავმჯდომარე ან წევრი დაინტერესებულია საქმის დამთავრების შედეგით ან მათ განსაკუთრებული რამ ურთიერთობა აქვს მხარეებთან, ისინი ჩამოცილებულ უნდა იქნენ ამ საქმის გარჩევაში მონაწილეობისაგან, როგორც დაინტერესებულ პირთა განცხადებით, ისე საკუთარი განცხადებითაც, და მათ მაგიერ დაინიშნებიან სასოფლო საბჭოს სხვა წევრები.

12. სასოფლო საბჭოს დადგენილება განხილულ საქმეზე გამოიტანება ხმის უმეტესობით და შესდგება წერილობით; დადგენილებას ხელს მოაწერს საკრებულოს შემადგენლობა, რომელმაც საქმე განიხილა.

13. სასოფლო საბჭოს დადგენილება საბოლოოა და იგი შეიძლება გამონაკლისს შემთხვევაში გადასინჯულ იქნეს ზედამხედველობის წესით სათანადო სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის მიერ ერთი თვის განმავლობაში დადგენილების გამოტანის მომენტიდან, ამასთანავე სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს უფლება აქვს შეაჩეროს დადგენილების აღსრულება, ვიდრე საქმე ზედამხედველობის წესით გადაისინჯებოდეს.

14. სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი, უკეთუ იგი სასოფლო საბჭოს დადგენილებას არასწორედ სცნობს, შესცვლის ამ დადგენილებას ან გააუქმებს და დაუბრუნებს მას სასოფლო საბჭოს, რათა საქმე ხელახლა იქნეს განხილული სხვა შემადგენლობით.

15. უკეთუ წანახედის საქმის განხილვის დროს აღმოჩნდა, რომ დარღვეულია სავალდებულო დადგენილება წანახედის შესახებ ან გამოირკვა, რომ წანახედი განზრახ მოხდა, სასოფლო საბჭო აღძრავს სათანადო ორგანოს წინაშე საკითხს დამნაშავე პირთა ადმინისტრატიული ან სისხლის სამართლის წესით პასუხისგებაში მიცემის შესახებ, ან და, სავალდებულო დადგენილებით ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თითონ დაადებს დამნაშავეს გადასახდელს (სავალდებულო დადგენილებათა გამოცემისა და მათი დარღვევისათვის ადმინისტრატიული წესით გადასახდელის დადების დებულების 22 და 23 მუხლები—კან. კრ. 1930 წ. მე-12 ნომერი, 109 მუხ... და სრულიად საქართველოს ცენტრ. აღმასრ. კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. აპრილის 6-ის დადგენილება სასოფლო საბჭოების პრეზიდიუმების მიერ სატყეო წესების დარღვევისა და განზრახ წანახედის საქმეთა განხილვის წესის შესახებ—კან. კრ. 1930 წ. მე-10 ნომერი, მუხ. 114).

16. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წლის მარტის 5-ის დადგენილება „სასოფლო მეურნეობისათვის მიყენებული წანახედის ფაქტის გამორკვევისა და ამ წანახედით გამოწვეული ზარალის რაოდენობის განსაზღვრის წესის შესახებ" (კან. კრ. 1927 წ. მე-3 ნომერი, მუხ. 38) და დებულება „წანახედით მიყენებული, 15 მანეთზე არა უმეტესი ზარალის გამო აღძრულ საქმეთა სასოფლო საბჭოების მიერ განხილვის წესის შესახებ", რომელიც დებულებაც დამტკიცებულია სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წლის ნოემბრის 11-ის დადგენილებით (კან. კრ. 1929 წ. 23 ნომერი, მუხ. 281)—გაუქმებულ იქნეს.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს
თან. დრ. აღმასრ. ს. ჯუღელი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს მოადგილე
გ. მგალობლიშვილი.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანის თან.
დრ. აღმასრ. თ. ჟღენტი.

1930 წ., ივლისის 9.
თბილისი—სასახლე.

რ. ლიუქს. სახ. კინო (უ. მინიონი)
I-ლი სეანსის დას. 7 ს. 30 წ.
სეზონის საუკეთესო სურათი
წინა დღით
მთ. როლ. ბუჩმა ⅋ დიუსმეტიერი
თეატრში ვენტილიაციაა.

საზაფხულო პალასი
I-ლი სეანსის დას. 7 ს. 30 წ.
საზღვარგარ. მხატვრ. სურათი
კენიგსმარკ
პიერ ბენუას რომანის მიხედვით
მთ. როლებში: გიუგეტა დიუფლო და ჟაკ კატლენი.

საზაფხ. ეთერი
(სახ. ოპ. ბაღი) I სეანს. დ. 8 ს. 30 წ. II ს. 9 ს. 50 წ., III ს. 11 ს. 10 წ.
სეზონის საუკეთესო ფილმი
კავკასიის ტყვე

საზაფხ. აპოლო
(დარბ. ბაღი) I სეანს. დ. 8 ს. 30 წ. II ს. 9 ს. ⅋ 50 წ. III ს. 11 ს. ⅋ 10 წ.
საზღვარგარეთული სურათი
სალამბო
ისტორიული ტრაგედია 7 ნაწილად.

უფასო კინო-ეკრანი
ფუნიკულიორზე
I სეანს. დასაწყ. 9 საათზე.
ახალი ამერიკული კომედია
მაიმუნების თეატრი
გროტესკი 7 ნაწილად.
მთ. როლში ხიდ ჩაპლინი

დღეს, 5 სექტემბრიდან
საზ. კინო-ეთერში
სეზონის საუკეთესო ფილმი
„სოიუზკინო"-ს ნაწარმოები
მ. ლერმონტოვის მოთხრობის მიხედვით
კავკასიის ტყვე
მთ. როლებში: გალინა კრავჩენკო, ბ. ტამარინი, ნ. ვოლოდკო
რეჟისორი ა. ვ. ივანოვსკი. ნ. 1322

ბორჯომიდან თბილისამდე დაიკარგა მე-5-თე გამოცემისათვის დასაბეჭდად გამზადებული წიგნი

ვ. ძიძიგური და ა. გვახარია

„პირველი წიგნი"

მნახველს ვთხოვთ სასწრაფოდ დაუბრუნოს ავტორს:

თბილისი, რაკეტის, 2. ვ. ძიძიგურს, ანდა წარმოადგინოს განათლების სახალხო კომისარიატში ამხ. პ. აფხაძესთან.

მომტანი მიიღებს ჯილდოს. ნ. 1322

საფინგანის სააუქციონო კამერა

აცხადებს, რომ ა/წ. 7 სექტემბერს დილის 11 საათზე ხაზინის ქ. № 3 (ყ. ხაზინის შენობაში) დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

საფინგანისადმი დავალიანების ასანაზღაურებლად გაიყიდება როიალი, შიფონერკები, ბუფეტები, მაგიდები და სხვა საოჯახო ნივთები. ნ. 1320

ა-კ. საგზ. ინსტ-ტი

6 სექტემბერს, საღამოს 5 საათზე, შესდგება ამავე ინსტიტუტის

სტუდენტთა საერთო კრება

დასწრება ა.ლ.კ.კ. წევრების სავალდებულოა. კრება შესდგება მოზ. მაყ. თეატრში, პლეხ. პრ. № 103. 4966

ექიმები და სამკურნალო დაწესებულებები:

ი. ი. ბერიშვილი ვენერიული, საშარდე-სასქესო ორგანოების ხიფილისა და კანის ავადმყოფობა დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 საათ. ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას" (ყ. „ნოე"-ს პირდაპირ. ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8. 25—1

ა. ვ. მიკაბერიძე პარიზში 1923 წ. დაამთავრა „სილამაზის ინსტიტუტი" მასაჟი სახის, კისრის, ხელების და თმის მკურნალობა. ელექტრ. ოროქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19. იღებს დილით 10-დან 3-მდე და საღამოს 5—8-დე. შესასვლელი ძნელაძის შესახვევიდან. 25—1

პროფესორი
გრ. მუხაძე
წასულია თბილისიდან და დაბრუნდება სექტემბრის პირველ რიცხვებში. 13—1

ექიმი
ი. ი. ჭეიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფ.
ღებულობს: დილ. 7—9 საათ. საღამოს 7—9 საათ. მისამართი: კამოს ქ. № 72 (ყოფილი დიდიმთავრის ქ.) 447625—1

ექიმი
გ. ი. შაპენიკოვი
კლარა ცეტკ. ქუჩა № 7.
ვენერიული და კანის სნეულებანი. მიღება საღამ. 6—8 საათამდე. 4825 25—1

დაიკარგა

თბილისის მე-25 შრ. სკოლის

ბეჭედი,

რაც ჩაითვალოს გაუქმებულათ. 4995

საქართვ. წითელი ჯვრის
ამხ. ს. ორჯონიკიძის სახელობის (ყ. გერმანელების)
საავადმყოფო და პოლიკლინიკა
კამოს ქ. № 54, სანაპირო № 15—ტელეფ. № 9—17, 21—99.

საავადმყოფოს განყოფილებები:

ქირურგიული განყ. — — გამგე პროფ. ა. მაჭავარიანი.
თერაპევტიული „ — — „ პროფ. ა. ალადაშვილი
სამეანო „ — — „ პროფ. ი. თიკანაძე
გინეკოლოგიური „ — — „ პროფ. ზ. ლამბარაშვილი
ყურის, ყელის და ცხვირის განყოფ. გამგე ნ. ასპისოვი.
ლაბორატორია — — — „ ექ. ექ. ი. ხათრიძე, ენ. ფალიაშვილი და ვ. ჩიგოგიძე,
მიიღება ყოველგვარი ანალიზები (სეროლოგიური და ბაქტეროლოგიური Wassermann-ის რეაქცია და სხვა)
რენტგენის კაბინეტი — — — ექიმი ზ. ნაზარაშვილი.

პოლიკლინიკა:

ზემოჩამოთვლილ დარგების კაბინეტებში კონსულტანტებათ არიან იგივე პროფესორები: 11 ს.—1 ს
ქირურგიულ კაბინეტში ღებულობს — პროფ. გ. მუხაძე კვირაში სამჯერ: სამშაბ., ხუთშაბათობით და შაბათობით 2—3 ს.
ქირურგიულ კაბინეტში ღებულობს ექ. გ. ჩაჩიკიანი 3—5 საათამდე. ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.
თერაპევტიულ კაბინეტში — — პროფ. შ. მიქელაძე 2—4 საათამდე სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.
შინაგანი, ბავშთა ტუბერკულოზი ექ. ი. ტ. ვორობიოვი 4—5 საათ
გინეკოლოგიურ კაბინეტში ღებულობს ექ. ი. თუმანიშვილი 4—6 ს
ტუბერკულოზის კაბინეტში — დოცენტი ი. აბაკელია 11—1 საათ
ყელი, ყური და ცხვირის კაბინ. 9—11 ექ. დ. ჯაფარიძე, 11—1 ექ. დ. თევზაძე. ⅋ 3—4 პროფ. ნ. ასპისოვი.
თვალის სნეულებათა კაბინეტში პროფ. ვ. მუსხელიშვილი 1—3 საათ
ვენერიულ სნეულებათა კაბინეტში ექ. ა. ჯავრიშვილი 4—6 საათ
ექ. თოფურიძე ვენერიულ სნეულებ. 4—6 საათ.
ნერვიულ სნეულებ. კაბინეტ. მიიღებს პროფესორი ს. ყიფშიძე 3—4 ს.
„ პროფ. მ. წინამძღვარიშვილი 2—3 საათ, ორშაბათი, ოთხშაბათი და პარასკევი.
ნერვიულ სნეულებათა კაბინ. პროფ. ს. ყიფშიძე 2—3 ს. ყოველ დღე
ბავშთა ავადმყოფობის კაბინეტში ექ. მ. უგრელიძე 2—4 საათამდე
კუჭ-ნაწლავებათა დაავადებანი ექ. ი. მეედლიშვილი 2—4 საათამდე.
კბილის სნეულებათა კაბინეტში ექ. ვ. ტოტვენი 12—3 საათამდე.
პოლიკლინიკაში არსებობს ფიზიო-ტერაპევტიული კაბინეტი, სადაც სწარმოებს ფიზიკურ მეთოდებით მკურნალობა.
პოლიკლინიკაში ავადმყოფებს გადახდებათ - ერთი მან.

ამიერ-კავკ.
გინეკოლოგთა და მეანთა
1-ლი ყრილობა

გაიხსნება ქ. თბ. ა/წ. 15 სექტემბერს საღამოს 8 საათზე რუსთაველის თეატრში.

ცენ. საორგ. კომიტ.

---

3 სექტემბერს

ღამით თბილისის კომუნალური მეურნეობის ზოოლოგიური პარკიდან გაიქცა ჯიხვი (გარე ლითხა). მპოვნელს ვთხოვთ მიიყვანოს ზოოლოგიურ პარკში (ლენინის ქუჩა, № 76), თუ ვინმე დამალვა მოინდომა, დამნაშავე პასუხისგებაში იქნება მიცემული.

4992 დირექცია.

ღრმად დამწუხრებული დედა ელისაბედი, ძმა ვლადიმერი, რძალი ნინა, დები კატო და ელენა ტაბიძეები აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის უძვირფასესი

ნატაშა ეგნატეს ასული
ტაბიძე-მარჯანიშვილისა

დაკრძალვა 6 სექტემბერს, 4 ს., ს. მაღლაკის სასაფლაოზე. ნ. 1323

კვირას, 7 სექტემბერს, დღის 2 საათზე ს. ქვენაგვრის (გურია) სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი უდროოდ დაკარგულ ძმების

ლუკა და ვასო ქოქიკაშვილების

ხსოვნის აღსანიშნავად, რასაც გულითადი მწუხარებით იუწყებიან მშობლები: უსტიანე და მართა, მეუღლე პირველის ნადია შვილებით და მეუღლე მეორესი ანიჩკა, ძმები: გიორგი და შალვა ოჯახებით ქოქიკაშვილები. 4997

დამწუხრებული მეუღლე ვერა და შვილი ჟორჟიკა ხოჭოლავები, დისშვილები: მარო, მარუსია, თამარი, თამაზი, გრიშა და ირადო იუწყებიან

ლევან (კალისტრატე) ხოჭოლავას

ტრაგიკულად გარდაცვალებას. გამოსვენება მინკევიჩის ქ. № 7. დაკრძალვა დღეს, 4 საათზე, ავლაბრის სასაფლაოზე—რკინის გზის გადაღმა. 4976

დამწუხრებულნი: ორესტი, ვალიკო, ანეტა (იულია), ქიონია, ვალენტინა და იანვარა იუწყებიან საყვარელ ბიძის

ლევან (კალისტრატე) ხოჭოლავას

ტრაგიკულად გარდაცვალებას. 4976

ღრმად დამწუხრებული მეუღლე მარიამი, შვილები: ალიპი, ფაცუნია, გოგოჩნა, კოტა, და ნონა, რძალი კატუშა, შვილის შვილები: ჟულიეტა და თენგიზ აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ მათთვის საყვარელ და დაუვიწყარ

მელეტი ივანეს ძე რიჟამაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა შაბათს, 6 სექტემბერს, სოფ. სიქთარვაში (შორაპნის მაზრა). 4977

დამწუხრებული ძმა ზაქარია შვილებით; დები: ივლიტა ცხადაძისა, კალიჩკა ტოგონიძისა, ანდრიოფი ხვადაგიანისა და მაშო ბარბაქაძისა ქმარ-შვილით აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს მათთვის ძვირფასი ძმის

მელეტი ივანეს ძე რიჟამაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა შაბათს, 6 სექტემბერს, სოფ. სიქთარვაში. 4977

ქვემოდ ჩამოთვლილი საბუთები

(დაკარგული და მოპარული) ჩაითვალოს გაუქმებულად

— პირადობის, ნამსახურობის და რევოლვერის ტარების მოწმობა გაცემული ოლია ფორჩხიძის სახელზე. 4958
— სამხედრო აღრიცხვის ბილეთი № 1928/1684 კონსტანტინე ბურჭულაძეს სახელზე. 4953
— შვიდწლედის ორი ჯგუფის დამთავრების მოწ. გალაქტიონ ლომიძის სახელზე. 4993
— პირადობის მოწმ. და კავშირის წიგნაკი დავით ხუნწარიას სახ. 4993
— პარტიის პირადი საქმე, გაცემული 1-ლი ქართულ მსროლ. ლეგიონის მიერ—აქსენტი ცაავას სახელზე. 4951
— კავშირის წიგნაკი კოლა ქავთარაშვილის სახელზე. 4462
— კავშირის წიგნაკი № 10553 მარგალიტა გორდელაძის სახ. 4973
— კავშირის წიგნ. № 21385—შალიკო ბუხრაძეს სახელზე. 4979
— პარტ. ბილეთი № 0868893 და კავშირის წიგნაკი № 5480 ამბროსი გაბიძაშვილის სახელზე. 4974
— კავშირის წიგნაკი № 90107, პირადობის მოწმობა № 13 და საშეფო წიგნაკი ნიკოლოზ სოლომონის ძე ორაშვილის სახელზე. 4965
— პარტბილეთი № 0849685 აკაკი თედორეს ძე კაჭარავას სახ. 4984
— კავშირის წიგნაკი № 26899 იონა სილოვანის ძე პოპუას სახ. 4990
— კავშირის წიგნაკი № 50803 ეკატერინე ნიკოლოზის ასული კახიანის სახელზე. 4970
— მეტრიკული ამონაწერი ელენე ბარვენიშვილის სახელზე. 4969
— პირადობის მოწმ. № 11/68 რაჟდენ სიმონის ძე ნუცუბიძის სახ. 4971
— დამზღვევ სალაროს წიგნაკი № 38 მარიამ გრიგოლის ასული სავანელის სახელზე. 4968
— პურის წიგნაკი ვასილ სოლომონის ძე კვაჭილაშვილის სახ. 4959
— პურის წიგნაკი რაჟდენ ნიკოლოზის ძე ქურჩიანის სახელზე. 4960
— სასურსათო ბილეთი და პირადობის მოწმობა დ./2 მარიამ დეკანოიძის სახელზე. 4952
— შვიდწლედის დამთავრების მოწმობა № 44, მეტრიკული ამონაწერი ქეთო მიხას ასული ბუაჩიძის სახელზე. 4952
— მეტრიკული ამონაწერი № 202 გივი მამანტის ძე მენაღარიშვილის სახელზე. 4952
— პურის წიგნაკი ცაცუ ჩიქვანის სახელზე. 4952
— მუშკოოპის წიგნაკი № 758 ბეზგვინ ჩახალ ოღლის სახელზე. 4952
— ახალგაზრდობის სკოლის დამთავრების მოწმობა ვარლამ ბატას ძე ჯანგვალაძის სახელზე. 4952
— მუშკოოპის სასურსათო წიგნაკი ალექსანდრე კიმოთეს ძე კაჭარავას სახელზე. 4952
— სამხედრო წიგნაკი ბათლომე ივანეს ძე ლეჟავას სახელზე. 4952
— სამხედრო ნუსხა სამსონ ყარამანის ძე ბარლიძის სახელზე. 4952
— პირადობის მოწმობა ვასილ ანდრიას ძე ჟივჩენკოს სახელზე. 4952
— მუშკოოპის წიგნაკი № 2145/3134 მიხეილ ჩიგვავას სახელზე. 4952
— მუშკოოპის წიგნაკი № 3439/4226 ოლღა ჩიგვავას სახელზე. 4952
— მუშკოოპის წიგნაკი № 675—ფედოსია თადეოზის ასულ რურუას სახელზე. 4952

ბიძაშვილები თამარი და იგორი გეინაც-ციციშვილები, დავით, ნატა, კოსტია, ლია, ნინო, გიორგი, დათო, ალიკო, ნინა, ქეთო, ირაკლი ციციშვილები, დეიდაშვილები ირაკლი და ნათელა ვაჩნაძეები დასტირიან დაუვიწყარ უფროს დის, მათი აღმზრდელ-მეგობრის

თამარ ჯავახიშვილის

უდროოდ გარდაცვალებას. 4956

ქართულ მუშათა ფაკულტეტთან არსებული პ. ბიურო-კოლექტივი, ა.ლ.კ.კ. ბიურო-კოლექტივი და ადმასბიურო ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ ამავე მუშფაკის პედაგოგის

თამარა ჯავახიშვილის

უდროოდ გარდაცვალების გამო. 4967

ქართული მუშფაკის ლექტორთა კოლეგია გულწრფელი მწუხარებით აუწყებს მეგობრებს და ნაცნობთ დაუვიწყარი ლექტორის

თამარ ილიას ასულ ჯავახიშვილის

უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება 5 სექტემბერს, საღამოს 5 საათზე, პეტრიაშვილის ქუჩა (ყოფილი უდელის) № 9. 4975

ა/კ. სამთო-მეტალურგიული ინსტიტუტი მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას მისი თანამშრომლის, ლექტორ

თამარ ილიას ასული
ჯავახიშვილის

უდროვოთ გარდაცვალებას. 4961

ამხ. მ. კახიანის სახელობის მუშათა ფაკულტეტის გაერთიანებული ადგილკომი მწუხარებით აუწყებს ნაცნობთ და მეგობრებს მუშფაკის ლექტორის

თამარ ილიას ასულ ჯავახიშვილის

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა 5 სექტემბერს, საღამოს 5 საათზე. გამოსვენება პეტრიაშვილის ქ. № 9 (ყ. უდელის). 4975

ამხ. მიხა კახიანის სახელობის მუშფაკის მსმენელები: ნატა ჯარიევა, ანეტა გორგაძე, თამარა ჩხეიძე და ანიკო მირიანაშვილი იუწყებიან ძვირფას და საყვარელ მასწავლებლის

თამარ ჯავახიშვილის

უდროვოდ დაკარგვას. 4996

ნელი ჯულელი, ვარია კახეთელიძე, თამარ ივანიცკი, ბაბიკო პაატაშვილი, თამარ ვაჩიბერიძე და ნინა მეუნარგია დავსტირით ძვირფას მასწავლებლის

თამარ ილიას ასულ ჯავახიშვილის

უდროოდ დაკარგვას. (ე)

განუსაზღვრელ მწუხარებას გამოვსთქვამთ ძვირფასი ლექტორის

თამარა ჯავახიშვილის

უდროოდ დაკარგვის გამო. ქართული მუშფაკის მსმენელები: თ. კიკაბიძე, ა. ლაფანაშვილი, შ. ჯიქია, რ. ჩხაიძე, ვ. მაისურაძე, ა. სილაგაძე, ო. ციმინტია, ს. კიკალიშვილი, დ. ქანტურია, გ. გაბრიაძე.

ღრმად დამწუხრებული თამარ ჩერქეზიშვილი აუწყებს საზოგადოებას იშვიათი ადამიანის, დაუვიწყარ და საყვარელ მასწავლებლის

თამარ ილიას ასულ ჯავახიშვილის

უდროოდ გარდაცვალებას. 4983

მე-8-ე შრომის სკოლის ძველ მოწაფეთა ჯგუფი დასტირის ძვირფას მასწავლებლის და გამგის

თამარ ილიას ასული ჯავახიშვილის

უდროოდ დაკარგვას. 4982

ცუცა ჯიაძე, მარო და ეთერ შოშიაშვილები, ბაბულია ნასიძე, მაყვალა მრევლიშვილი, ქეთო და თამარ გოგიჩაიშვილები მწუხარებით იუწყებიან ძვირფას დაუვიწყარ მასწავლებ. და აღმზრდელის

თამარ ილიას ას. ჯავახიშვილის

გარდაცვალებას. 4968

ლიუდმილა რაჟდენის ასული და სერგო იესეს-ძე დანიელიები თავისი შვილებით გიორგი და ალექსანდრეთი აუწყებენ საზოგადოებას ძვირფასი მეგობრის

თამარ ილიას ასულ ჯავახიშვილის

უდროოდ დაკარგვას. 4985

დამწუხრებულნი: ცოლი ბარბარე, შვილი თამარი და შვილი შვილი გიორგი (შურა) დარჩიები აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობთ მათთვის ძვირფას და დაუვიწყარ

გიორგი დანიელის ძე ჭრელაშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა სოფ. მალაროში, სიღნაღის რაიონი. 4961

მე-8 შრომის სკოლის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას ამავე სკოლის ყოფილი გამგის ძვირფასი ადამიანის

თამარ ილიას ასულ ჯავახიშვილის

უდროოდ გარდაცვალებას. (ე)

სამუდამოდ გაუბედურებული მეუღლე თამარა შვილებით: შურა, სოსო და მარო ჭალაგანიძენი, დები: ბატუა ქმრით, ბეჭ არიონ გაბუნია შვილით ნინა და სიძე ძუკუ ხაფავათი, ბაბილინა ქმრით ილიკო შვილით ილიუშა ლალიაშვილები და ტასო ჭალაგანიძე ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ თბილისში გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი, თავდადებული მასწავლებელი და საზოგადო მუშაკი

პეტრე სიმონის ძე ჭალაგანიძე

გადასვენება კამოს საავადმყოფ. პროზექტურიდან 5 სექტემბერს, საღ. 6 საათზე რკ. გზის სადგურზე. დასაფლავება მარტვილში კვირას, 7 სექტემბერს, დღ. 4 საათზე. 4987

დამწუხრებულნი რაჟდენ გიორგის ძე მეუღლით პარასკევა, შვილებით—ანიჩკა, გიორგი (ჟორჟი), ვალია ცოლშვილებით და ფომკა ჭალაგანიძენი ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობთ, რომ 4 სექტემბერს თბილისში ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი ბიძაშვილი მასწავლებელი

პეტრე სიმონის ძე ჭალაგანიძე

4987

თავზარდაცემული და გულმოკლული იოსებ გიორგის ძე კვეზერელი-კოპაძე აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ მან დაჰკარგა დაუვიწყარი და საყვარელი ერთად-ერთი და—მეგობარი

ლიზიკო კვეზერელი-კოპაძე

სამოქ. პანაშვიდი დღეს, საღ. 7 საათზე, (კახეთის ქ. № 22) გამოსვენება ბინიდან, 6 სექტემბერს, 5 საათზე. დაკრძალვა ავლაბრის სასაფლ., რკინის გზის გადასახვევი. 4463

ივანე ნიკოლოზის ძე და მარიამ ალექსის ასული კვეზერელი-კოპაძეები, რძლები: ქეთია და თამარი, შვილები: ნიკო, ლევანი, შურა და შვილიშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ძვირფასი და დაუვიწყარი ძმისწული და ბიძაშვილი, ოდონტოლოგიური ინსტიტუტის სტუდენტი

ლიზიკო კვეზერელი-კოპაძე

სამოქ. პანაშვიდი დღეს, 7 საათზე, (კახეთის ქ. № 22). გამოსვენება შაბათს, 6 სექტემბერს, 5 საათზე, ავლაბრის სასაფლაოზე, რკინის გზის გადაღმა. 4463

ღრმად დამწუხრებულნი: დედა ვარდიკო, და—თამარა და სიძე ივანე სურგულაძე იუწყებიან საყვარელი და ძვირფასი შვილის და ძმის, უკანასკნელი კურსის სტუდენტის

კოლია ფითლიძის

უდროოდ დაკარგვას. სამოქალაქო პანაშვიდი ყოველ დღე—6 საათზე, დაკრძალვა კვირას, 7 სექტემბერს, ვერის ახალ სასაფლაოზე. გამოსვენება საღამოს 5 საათზე დიდუბიდან (ოზურგეთის შესახვევი № 11). 4978

გულდამწვარი მშობლები დათიკო და ნინა, ძმა რეზიკო, მამიდა ვერიჩკა, ბებია კატო და ბაბუა მიხეილ (იაგორ) მინდაძეები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ, რომ უდროოთ გარდაიცვალა მათი საყვარელი გოგონა

გურანდა დავითის ას. მინდაძე

დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე შაბათს, 6 სექტემბერს, 4 საათზე, გამოსვენება მატერიალური ქუჩა № 18/5 (უნივერსიტეტამდე ტრამვაის პირველი გაჩერება მარჯვნივ). 3-2 ნ. 1317

ღრმად დამწუხრებულნი ბებია ეკატერინე, ბიძია კონსტანტინე, ბიცოლა მარო და ბიძაშვილები ვოვა და ზინა მოდებაძენი აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს, რომ გარდაიცვალა მათთვის საყვარელი პატარა

გურანდა მინდაძე

გამოსვენება მატერიალური ქ. № 18, შაბათს 6 ენკენისთვეს, 4 საათზე, კუკიის სასაფლაოზე. 4954

უახლოესი მეგობრები: კაკო და ქეთო ხინთიბიძეები, ვასო პატიეშვილი და ბენიკო ლორია მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს მათი მეგობრის დათიკო მინდაძის

პაწია გურანდას

უდროვოდ დაკარგვას. 4972

გულმოკლული მეუღლე თებრონე, შვილები: ლუბა, თინა, გიორგი, სერგო, პიმენი, ილარიონი, კაკო და მიშა, რძლები: ნადია, ოლია, მარიამი, ოლია და ნინა; სიძე შალიკო ბაბუნაშვილი, შვილიშვილები: დათიკო, ჟორჟიკა, რეზო, ახიკო, ალიკო, ქვისლი ერასტი ჯიქია თავის ოჯახით, აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ, რომ დაუვიწყარ

არსენ მიხეილის-ძე ხოშუას

ხსოვნის აღსანიშნავად 6/IX ქ. ხონში ყოფილ მაცხოვრის სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი. 498

უღრმეს მწუხარებაში მყოფი ალექსანდრა სიმონის ასული აბაშიძისა შვილებით: სერგო, ლიალია დიმიტრის ასული, გოგი და ძიტუშა აბაშიძეები, იულია სიმონის ასული აბაშიძისა შვილებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ დღით შაბათს, 6 აგვისტოს, 12 საათზე ქ. ზესტაფონში გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი მათი ძვირფასი უდროოდ დაკარგული

სოსიკოს

ხსოვნის აღსანიშნავად. (წ)

ტირაჟი—56.215 საგაზეთო გამომცემლობათა სტამბა, „კოლექტივი", კამოს ქ. № 68. მთავლიტი № 904